გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
სამშაბათი, 24 მაისი, 2005 წელი.
№121 (5154)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუ ლიბით და ჭორებით ბუდის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ პრეზიდენტი

## თანამედროვე საბაჟო

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროპული სტანდარტების შესაბამისი ქართული საბაჟო პუნქტების გახსნას მდინარე ფსოუზე და როკის გვირაბთანაც გეგმავს.**

— მე არ მოვისვენებ, სანამ ფსოუზე და როკის გვირაბთან ევროპული სტილის ქართული საბაჟოები არ გაიხსნება, — ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე „წითელ ხიდზე“ ახალი, თანამედროვე საბაჟო-გამტარი პუნქტის პრეზენტაციაზე გააკეთა.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ევროპული სტილის საბაჟო-გამტარი პუნქტის მშენებლობა ამერიკელების დახმარებით გასული წლის მარტში დაიწყო. ამ მიზნით აშშ-მა საქართველოს 4 მილიონი ლარი გამოუყო.

## ზრუნავენ სტიქიით დაზარალებულებზე

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დავალებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები მოქალაქეებისთვის თეთრი წყაროსა და ახმეტის რაიონებში 26 სახლი შეიძინა.**

როგორც ინტერ-პრესს სამინისტროში აცნობეს, უახლოეს პერიოდში სახლებს სტიქიით დაზარალებული 100-მდე ოჯახისთვის შეიძენენ.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას ინფორმაციით, სამინისტრომ მაღალმთიანი აჭარიდან ოჯახების თეთრი წყაროსა და წალკის რაიონებში ჩასასახლებლად 170 ათასი ლარი განკარგა.

მისივე თქმით, სამინისტროს 4 ჯგუფი თეთრი წყაროს, წალკისა და ახმეტის რაიონებში აქტიურ მუშაობას განაგრძობს მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებთათვის და სტიქიით დაზარალებულებისთვის სახლების შესაძენად.

**ინტერ-პრესი.**



## საქართველო ისევ გახდება მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სპორტული სახელმწიფო

იხ. მე-7 გვ.

◎ უკანონობა კანონის სახელით?!

## სახელმწიფო ბიუჯეტის ღალატი

**ქვემორე სტატიაში აღძრულ, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე, ყურადღების გამახვილებას და რეაგირებას ვთხოვთ სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძეს და ეკონომიკური განვითარების მინისტრს ალექსი ალექსიშვილს**

**მკითხველს კარგად მოეხსენება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტენდერის გამო ატეხილი ვნებათაღელვა და ამასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები. ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.**

**მით უფრო, რომ საკონკურსო კომისიის აშკარა ტენდენციურობასა და კორუფციული გარიგების საფუძველზე „გამარჯვებულის“ გამოვლინების შესახებ უკვე მრავალგზის წერდა ჩვენი გაზეთიც, „ალიაც“, „ასავალ-დასავალიც“ „რეზონანსიც“...**

**მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას: კონკურსის მიზანი იყო იმ გაზეთის გამოვლინება, რომელიც ყველაზე იაფად გამოაქვეყნებდა საბიუჯეტო ორგანიზაციათა სატენდერო განცხადებებს, რითაც საგრძნობლად დაიზოგებოდა საბიუჯეტო სახსრები.**

**იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკურად დალხენილი ნაღდად არა ვართ, რაკი პრეზიდენტის ინიციატივით პრესა მრავალი გადასახადისგან გათავისუფლდა და ცოტათი ამოვისუნთქეთ, გადავწყვიტეთ, ამჯერად ერთგვარად ჩვენც შევხიდებოდით ბიუჯეტს და საბიუჯეტო ორგანიზაციათა სატენდერო განცხადებებისთვის დაგვეწესებინა სპეციალური ტარიფი 10 თეთრის ოდენობით, გვერდების განურჩევლად.**

**ჩვენმა კონკურენტმა გაზეთმა („24 საათი“) კი კომისიას 21 ცენტი წარუდგინა, რაც 38 თეთრზე მეტია.**

**ამის მიუხედავად, კომისიამ რაღაც გაუგებარი და ყურით მოთრეული მიზეზებით გამარჯვებულად მაინც „24 საათი“ გამოაცხადა (?!).**

**ამიტომაც ხმამაღლა განვაცხადეთ და გაზეთებშიც გამოვაქვეყნეთ, რომ ეს იყო აშკარად კორუფციული გარიგება, რისი უარყოფაც გაზეთებითვე ვთხოვეთ სატენდერო კომისიის თავმჯდომარეს და აღნიშნული სააგენტოს ხელმძღვანელს გიორგი მელაძეს.**

**რაკი მან პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალა, ახლა მთელი კატეგორიულობით ვაცხადებთ, რომ ეს იყო არა მარტო კორუფციული გარიგება, არამედ უფრო მეტიც — სახელმწიფო ბიუჯეტის ღალატი.**

**შევეცდებით, ეს უმძიმესი ბრალდება დოკუმენტურად დავასაბუთოთ.**

**რიდი „პერიოდული საინფორმაციო საშუალების შემრჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმიდან“, რომელიც 20 აპრილს გაიმართა, და რომელზეც უფალმა მელა(ძე)მ, კერძოდ, განაცხადა (სტილი დაცულია — „სრ“ რედაქცია):**

> **„...ღია ტენდერის ჩატარების შემთხვევაში სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით განცხადებას ტენდერის ჩატარების შემთხვევაში აქვეყნებს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, რაც აიძულებს შემსყიდველ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ხარჯები გასწიონ სატენდერო განცხადებების გამოქვეყნებაზე. აღნიშნული მიზეზისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნების გათვალისწინებით მიღებულ იქნას გადაწყვეტილება კონკურსის გზით შეირჩეს საინფორმაციო საშუალება“...**

**ესე იგი, კანონის შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის სურვილით ვიწვითო, აცხადებს უფალი მელა(ძე), და დაბალტარიფიანი გაზეთის გამოსავლინებლად კონკურსს ატარებს, თვით ამ კონკურსზე კი რეალურად საპირისპიროს აკეთებს: გაზეთ „24 საათის“ მიერ შეთავაზებულ 21 ცენტს, ანუ 38 თეთრზე მეტს, ამჯობინებს „საქართველოს რესპუბლიკის“ 10-თეთრიან სატარიფო განაკვეთს(?!).**

**ამ ორ ციფრს შორის განსხვავება 28 თეთრზე მეტია, რისი გათვალისწინებითაც „24 საათში“ მხოლოდ ერთ საგაზეთო გვერდზე სატენდერო განცხადების გამოქვეყნება ნებისმიერ საბიუჯეტო ორგანიზაციას, ჩვენ მიერ შეთავაზებული სატარიფო განაკვეთისგან განსხვავებით, ლამის 600 ლარით ძვირი დაუჯდება!**

**რით არ არის ეს ნაღდ კორუფციულ გარიგებაზე დამყნობილი სახელმწიფო ბიუჯეტის ღალატი და უკანონობა?**

**რაო, უფალო მელა(ძე)ვ, — რაკი რევოლუციურ ტალღაზე მოვხვდი თანამდებობაზე, როგორც მინდა, ისე გამოვჭრი და შევკერავ, კანონი თავად მე ვარო?**

**თუმცა ბევრი რიტორიკა საჭირო არ არის. ისმება ლოგიკური კითხვა: სჭირდება კი ქვეყანას სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ამგვარად „მზრუნავი“ სახელმწიფო მოხელე, ბატონო მინისტრებო,**


...ამად, მაშინ რის ფასად?
უნამუსობის დოღი
ანუ როცა მელა(ძე)ს, ურცხვად გამარჯვებინებულ „24 საათ...
რედაქციასთან ერთად, მოწმეებად თავისი კუდ(ებ)ი მოჰყა...
აშკარად უსამართლო გადაწყვეტილების გამართლების მი...

**ჯერ კიდევ კონკურსის ჩატარებამდე უფალმა მელა(ძე)მ განგვიცხადა, რომ შეფასების უმთავრესი კრიტერიუმი იქნებოდა ფასი, ანუ გამარჯვებულად გამოცხადდებოდა ის გაზეთი, რომელიც სატენდერო კომისიას სხვებზე დაბალ სატარიფო განაკვეთს წარუდგენდა.**

**ამ უმთავრესი კრიტერიუმის გამოყენებას მას უშუალოდ კანონიც ავალდებულებდა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის როგორც ამჟამად მოქმედ, ისე ახალ ვარიანტშიც, რომელიც 2006 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, შავით თეთრზე წერია:**

**„ამ კანონის მიზანია: სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა“ (მეორე მუხლი, „ა“ პუნქტი).**

**რაციონალურ ხარჯვაში რაც იგულისხმება, ვფიქრობ, ამის განმარტება საჭირო არ არის.**

**ეს კარგად იცის მელა(ძე)მაც.**

**აი, ამის დამადასტურებელი ამონარომელთაც ამ წერილში აღძრულ საკითხზე ყურადღების გამახვილებას და რეაგირებას გთხოვთ?**

**იმედია, თქვენგან მაინც მივიღებთ პასუხს.**

* * *

***დაბოლოს, ალბათ ბევრად უმჯობესი და უფრო უპრიანი იქნება, თუ სატენდერო განცხადებებს გამოაქვეყნებს არამონოპოლიურად ერთი რომელიმე გაზეთი (თუნდაც ხელისუფლების წინაშე რაღაც დამსახურებისა გამო), არამედ ისინი გადანაწილდება იმ ყოველდღიურ გაზეთებში, რომელთაც სატენდერო განცხადებების ბეჭდვის სურვილი აქვთ. კონკურენციის შემთხვევაში კი, ბუნებრივია, დამკვეთი იქ ამჯობინებს თავისი განცხადების გამოქვეყნებას, სადაც თვითონ ურჩევნია ხელსაყრელი ფასისა თუ გაზეთის პოპულარობის გათვალისწინებით.***

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.**

◎ ვინც მოყვარესა არ ეძებს...

## ჩვეულებრივად დიდი სტუმარი

### ასი წლის მიხეილ შოლოხოვის გასახსენებლად




*ეს სურათი 1961 წელს ქალაქ გორშია გადაღებული. მიხეილ შოლოხოვი საგანგებოდ ჩავიდა ქართლის შუაგულში ი. სტალინის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად („სიტყვა მქონდა მიცემული, რომ აუცილებლად ჩამოვიდოდი გორშიო“). აქვე არიან მასპინძლები (მარცხნიდან) ირაკლი აბაშიძე, თამარ ბერიშვილი (ქალაქის მაშინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი), დავით მჭედლიშვილი, გიორგი ლეონიძე, გიორგი ჩიბლაძე, გურამ გოგიაშვილი.*

*ვლადიმერ ბინზბურგის ფოტო.*

**მსოფლიო** მწერლობის ერთ-ერთი უდიდესი წიგნის „წყნარი დონის“ ავტორს დღეს 100 წელი შეუსრულდებოდა. იუნესკოს გადაწყვეტილებით, 2005 წელი სწორედ ამიტომ მიხეილ შოლოხოვის წლად არის გამოცხადებული. ამ თარიღს დღეს მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ. ჩვენც, ქართველებმაც, უთუოდ ჩვენი სიყვარული უნდა გამოვხატოთ ამ ჭეშმარიტად დიდი მეოცესაუკუნელი რუსი მწერლის მიმართ, რომელსაც გულით უყვარდა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენი კულტურა, რის უშუალო მოწმეც და თვითმხილველიც თავად ვარ და არავითარი სხვა აზრი არ მალაპარაკებს, მით უმეტეს დღეს, ჩვენს დაკნინებულ დროში, როდესაც თვითონ მზეც „თითქოს კერძო სამსახურშია“ და „ვარდთა და ნეხვთა სწორად არ მოეფინების“. დრო კი, ცნობილი ამბავია, მაშინ კნინდება, როცა თვითონ ადამიანები კნინდებიან და ვიწრო, ღარიბი თვალით უქცერიან საკუთარ წარსულს.

იხ. მე-3 გვ.

◎ ინფორმაცია

### „სკამის“ კაცი

**პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის გიორგი გომიაშვილის ბოლო განცხადებებმა აჩვენა, რომ ის შენიშვნები, რაც საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან გომიაშვილის მიმართ გამოითქვა, სრულიად სამართლიანი იყო.**

ბურჯანაძის თქმით, გომიაშვილი მშვიდად იჯდა პარლამენტში მთავრობის ლოჟაში და უსმენდა საკუთარი კანდიდატურის განხილვას, თუმცა როგორც კი საქართველოს პარლამენტმა საკითხის გადადება მოითხოვა, მაშინვე გამოაშკარავდა მისი რეალური განწყობა ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებისა და უმრავლესობის მიმართ. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, როგორც აღმოჩნდა, გომიაშვილს მხოლოდ საკმაოდ მაღალი თანამდებობა ესაჭიროებოდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გომიაშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება შაბათს საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა. გადადგომის მთავარ მიზეზად მან საპარლამენტო უმრავლესობასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის არსებული დაპირისპირება დაასახელა.

### დახმარების ხელი თურქეთიდან

**თურქეთი საქართველოში წყალდიდობისა და მეწყერის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას ეხმარება.**

23 მაისს სარფის საბაჟოზე თურქეთის „წითელი ნახევარმთვარის“ მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული კონტეინერები შემოვიდა. ჰუმანიტარული ტვირთის ძირითადი ნაწილი საკვები პროდუქტებია. დახმარების საერთო ღირებულება 40 ათას დოლარს შეადგენს და 800 ოჯახისთვის არის განკუთვნილი.

### ახალი ხელმძღვანელი

**საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ უწყებას ზაზა ბროლაძე უხელმძღვანელებს, რომელიც დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა წარუდგინა.**

ზაზა ბროლაძე საქართველოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწვევით ამერიკიდან ჩამოვიდა. მას განათლება ილინოისის უნივერსიტეტში აქვს მიღებული, საერთაშორისო სავალუტო ფონდში გავლილი აქვს კურსები „ფინანსურ პროგრამირებასა და ფინანსურ პოლიტიკაში“.

მანამდე ბროლაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, მაკროეკონომიკის სპეციალობით. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი. ძველი ხელისუფლების პერიოდში მუშაობდა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში.

**ინტერ-პრესი.**

### ინტერპანორამა

**არჩევნები პალესტინის ავტონომიაში უნდა გაიმართოს მხოლოდ მაშინ, რაც ისრაელის ჯარები მთლიანად გავლენ ღაზის სექტორიდან, მიაჩნია პალესტინელ მინისტრს მოჰამედ დაჰლანს. ისრაელი ჯარების გასვლას ღაზის სექტორიდან უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება და ამაზე უნდა გავამახვილოთ ახლა მთელი ყურადღება, — ამბობს მინისტრი. მეორე არგუმენტი კი ის არის, რომ ნახევარი წლის განმავლობაში პალესტინის ავტონომიაში დანიშნულია 6 კენჭისყრა, რომელთა სათანადო დონეზე გამართვა ტექნიკურად შეუძლებელი იქნება.**



**იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის მეგობარი, 69 წლის ჩეზარო პრევიტი, რომელსაც თავის დროზე იტალიის თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა, ცნეს ბრალეულად სასამსახურო მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო. ჩეზარო პრევიტის ბრალად ედება მოსამართლის მოსყიდვა ორ მსხვილ კორპორაციაზე კონტროლის დაწესებისა და ისეთი ვერდიქტის გამოტანის მიზნით, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა ბერლუსკონის კუთვნილი „ფინინვესტ“ საჰოლდინგო კომპანიისთვის.**

◉ აქტუალური თემა

# უარის თქმას წერილობითი შეტყობინება რად უნდოდა?

**თბილისის აეროპორტის მშენებლობასთან და ჩატარებულ ტენდერთან დაკავშირებით, საპარლამენტო ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის, ან თუნდაც მომხსენებელთა ჯგუფის შექმნას მოითხოვს. მემარჯვენე ოპოზიცია თვლის, რომ კონტრაქტი, რომელიც მათი აზრით, ფარულად გაფორმდა, უნდა გაუქმდეს. კონტრაქტის გაუქმების წინააღმდეგია პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი, თუმცა აღნიშნავს, რომ ასეთი ტენდერები ბევრად უფრო სერიოზულად უნდა ტარდებოდეს.**



ნიკო ლეკიშვილი: „ხელშეკრულებაში ისეთ პირობებზეა ხელი მოწერილი, თუ ის არ შესრულდა, მაშინ მისი გასაჩივრება ლონდონის არბიტრაჟში მოხდება, ეს ისეთი პროცესი იქნება, რომელიც ყველაფერს აურ-დაურევს და შესაძლოა ჩვენი ქვეყნისთვის ნეგატიური მოვლენა გამოიწვიოს. ხელშეკრულების გაუქმება ძალიან რთული მგონია, თუმცა, თუ მის გაუქმებას მინისტრთა კაბინეტი საჭიროდ ჩათვლის, მას ამის უფლება აქვს.

**— ოპონენტები ამბობენ, რომ ხელშეკრულება ფარულად გაფორმდა, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ბოლო დოკუმენტს მე პირადად ხელს მოვაწერდი, მაგრამ მანამდე რაც მოხდა, ეს ჩემი აზრით, ძალიან არასერიოზული იყო. კომისიამ 21 აპრილს ეს საკითხი ისე განიხილა, ტენდერის არც ერთი მონაწილე არ მოიწვია, რაც უდიდეს შეცდომად მიმაჩნია. გაუგებრობაც სწორედ ამას მოჰყვა. შეიძლებოდა სამივე მონაწილე გაერთიანებულიყო. თვითონ ეს კომპანია „ტარკომი" არის ორგანიზაცია, რომელსაც აეროპორტის მშენებლობაში, მათი ტექნიკური აღჭურვილობის საკითხში საკმაო გამოცდილება აქვს. შეიძლებოდა რაღაცნაირად მათთან მუშაობაც.

**— „დაწუნებული" კომპანია სახელმწიფო გარანტიას ითხოვდა, ინდივიდუალურ შეღავათებს კი ცხადია, სახელმწიფო ვერ დაუშვებდა. უარს ასეთი აჟიოტაჟი რატომ მოჰყვა?**

— სახელმწიფო გარანტიას ვერავის ვერ მისცემს, იმიტომ რომ გარანტიების მიცემა სახელმწიფოს არ შეუძლია. ამდენად, სატენდერო კომისიის მხრიდან ასეთი მიდგომა სწორი იყო, მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო უფრო სერიოზულად. გაუგებრობები სწორედ იმან გამოიწვია, რომ გამარჯვებული ისე გამოავლინეს, საკითხის განხილვაზე მხარეები არ დაასწრეს. კომპანია „ტაკომს" კი წერილობით შეატყობინეს, ჩვენ თქვენ უარს გეუბნებით იმიტომ, რომ თქვენ სახელმწიფო გარანტიას ითხოვთო. გარანტიის მოთხოვნის გამო, სატენდერო კომისიის მხრიდან უარის თქმა სწორი იყო, მაგრამ ეს იქვე უნდა მომხდარიყო. უარი პირადად უნდა ეთქვათ. იქნებ ის კაცი ამ წინადადებას იქვე ხსნიდა. ნებისმიერი ტენდერის დროს ყველა მონაწილე უნდა დაიბარო და უთხრა, შენ მომწონხარ, შენ არ მომწონხარ. ტენდერის შედეგი საბოლოოდ ასე უნდა გაფორმებულიყო. ვთვლი, რომ აჟიოტაჟის მიზეზი სწორედ ეს გახდა.

**— „ტაკომი" ეკონომიკის მინისტრს აეროპორტის მშენებლობაში გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კონსორციუმის ლობირებაში ადანაშაულებს. ოპოზიცია მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხზეც საუბრობს.**

— ჩვენ არ ვთვლით, რომ აქ მაინცდამაინც მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. მინისტრის პასუხისმგებლობა იმდენად არ არის, რამდენადაც სატენდერო კომისიის. ამ კომისიას ჰყავდა თავმჯდომარე, წევრები. ჩემი აზრით, პასუხი უშუალოდ იმას უნდა მოეთხოვოს, ვინც უზუსტობები და არაკომპენტენტურობა დაუშვა".

**ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლექსო ალექსიშვილი აცხადებს, რომ თუ ვინმეს ტენდერის გამჭვირვალედ ჩატარებაში ეჭვი ეპარება, შეუძლია ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას გაეცნოს, რის შემდეგაც მინისტრის თქმით, ოპონენტები თავად დარწმუნდებიან, რომ კულუარულ გარიგებებს ადგილი არ ჰქონია.**

ლექსო ალექსიშვილი მიიჩნევს, რომ გამარჯვებულ კონსორციუმს, რომელიც ამერიკულ „ეიჯეის", ლუქსემბურგის „ჯითიესს" და თურქულ „ჩელების" აერთიანებს, ტენდერში ყველაზე კარგი წინადადებები ჰქონდა წარმოდგენილი. „არ ვიცი, ოპოზიციამ სახელმწიფო ინტერესების დაცვა რომელიმე ფირმის ლობირებასთან რატომ გააიგივა?" — უკვირს ეკონომიკური განვითარების მინისტრს. თუ განაწყენებული ფირმა სასამართლოში იჩივლებს, „ჩვენ შევძლებთ საკუთარი გადაწყვეტილების სისწორე დავამტკიცოთ", — აღნიშნა ლექსო ალექსიშვილმა.

**მზია გელენავა.**

◉ ოპოზიცია

# ვინ არის არსენა და ვინ — დამლაგებელი?

**მართალია, განსაკუთრებული ძლიერებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც არსებობდა საქართველოს კონსერვატიული პარტია, რომელსაც გოჩა ჯოჯუა ხელმძღვანელობდა. არსებობდა მისი მონათესავე პარტიაც, საქართველოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება — კონსერვატორები, რომელსაც ძიძიგური და დავითაშვილი ლიდერობდნენ და რომელიც, ძირითადად, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ გაიცნო ხალხმა. ამ ორი პოლიტიკური ორგანიზაციის გაერთიანება გუშინ ოფიციალურად დაამტკიცა საქართველოს კონსერვატიული პარტიის დამფუძნებელმა ყრილობამ.**

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია", — ეს კონსერვატიული პარტიის ჰიმნია, რომლითაც დაგვიანებულად გაიხსნა ყრილობა. ილიას სიტყვებს იმ ბუკლეტის გარეკანზეც შეხვდებოდით, რომელიც დელეგატებს პარტიის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდა. „ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც მისი გულწრფელი აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისთვის", — გასაგებია, რატომ დასჭირდათ ილიას ამ სიტყვების მოხმობა კონსერვატორებს.

ხმის დამთვლელი კომისიების არჩევის შემდეგ პარტიის ლიდერთა მისალმების ჯერი დადგა. ზვიად ძიძიგური ბოლოჯერ გამოვიდა ხალხის წინაშე როგორც ეროვნულ ძალთა გაერთიანების თავმჯდომარე. მისი თქმით, ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლას იმედგაცრუება მოჰყვა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონსერვატორები აპათიას მიეცემიან და გულზე ხელს დაიკრეფენ.

— ისევე, როგორც სახლს, ქვეყანასაც სჭირდება დალაგება. ჩვენ დამლაგებლის როლის შესრულებას ვაპირებთ.

გოჩა ჯოჯუამაც ილაპარაკა მომავალ ბრძოლასა და ნამდვილ გამარჯვებაზე აქამდე არსებული ფსევდოგამარჯვებათაგან განსხვავებით.

კობა დავითაშვილმა ყრილობის მონაწილეებს პარტიის წესდების პროექტი წარუდგინა.

— ეს არის საუკეთესო წესდება, მათ შორის, რაც აქვთ დღეს მოქმედ პარტიებს. მოგვიტევონ ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებსაც დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ დაგვიტოვეთ უფლება, ვიამაყოთ ჩვენი წესდებით.

ამ „საამაყო წესდების" უმნიშვნელოვანეს ასპექტად კობა დავითაშვილი დემოკრატიულ შიდაარჩევნების დამკვიდრებას მიიჩნევს. რაც შეეხება პარტიული სიის დაკომპლექტებას, აქაც ყველაფერი პირად დამსახურებაზე იქნება დამოკიდებული.

— არ იქნება შემთხვევა, რომლის დროსაც სიაში დავითაშვილის ან ძიძიგურის ერთგულების გამო ჩაიწერება ვინმე ან პირიქით, ამოიშლება — აქაოდა, მჟავე ღვინო დამალევინაო. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, ვინ როგორ იშრომებს თავის ადგილობრივ ორგანიზაციაში.

ბატონმა კობამ ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს — თანათავმჯდომარეობას გაუსვა ხაზი, რაც ხელმძღვანელობის გადასანაწილებლად და გასაწონასწორებლად არის საჭირო. ამ და სხვა პრინციპების გაცნობისა და წესდების დამტკიცების შემდეგ ეროვნული კომიტეტის წევრების არჩევის დრო დადგა.

საქართველოს კონსერვატიული პარტიის წესდების თანახმად, ეროვნული კომიტეტი ყრილობებსა და კრებებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს პარტიას. თავმჯდომარის და თანათავმჯდომარის გარდა კომიტეტში ხუთი წევრი შედის.

გუშინ ყრილობას კომიტეტის წერვობის შვიდი კანდიდატი წარუდგა. ზოგი ძალიან ღელავდა (მაგალითად, მაკა სახურია), ზოგიც საკუთარ თავსა და დელეგატებს შორის მოპოვებულ ნდობაში დარწმუნებული იყო (მაგალითად, კახა კუკავა, რომელიც, იმავდროულად, ყრილობას თავმჯდომარეობდა).

მას შემდეგ, რაც თითოეულმა კანდიდატმა მიმართა აუდიტორიას, პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატებმა — დავითაშვილმა და ძიძიგურმა გამოიჩინეს მჭევრმეტყველების უნარი. კობა დავითაშვილს ხელისუფლების კრიტიკა რომ არ გაუჭირდება, ყველამ ვიცით. გამონაკლისი არც გუშინდელი დღე ყოფილა. მისი ხანგრძლივი სიტყვის სრულად გადმოცემით არ დაგღლით, ერთ საინტერესო პარალელს კი შემოგთავაზებთ.

ბატონი კობას აზრით, თურმე არსენა ოძელაშვილი პიარ-კომპანიის დიდოსტატი ყოფილა. მართალია, ლექსში ნათქვამია, მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო, მაგრამ ასეც არ ყოფილა საქმე — ღარიბებისთვის რომ მიეცა, 700 თუმნის გადანახვას ვერ მოახერხებდაო, — ეჭვობს დავითაშვილი. სინამდვილეში საქმე ასე ყოფილა — მდიდარს რომ გამოართმევდა, მერე იმ ფულს მესტვირეებთან ხარჯავდა და პიარიც აგორებული იყო — ღარიბებს ეხმარებაო.

— დღევანდელი ხელისუფლება, ასე ვთქვათ, კოლექტიური არსენაა. ამოღებული ფულის ორი მესამედი არ მისულა ხალხამდე, ამ დროს კი პიარი კარგად ეხერხებათ. არჩევნებამდე გულუხვი იყო ჩვენი ხელისუფლება, მერე კი გულმავიწყი გახდა. ჩვენ მათს პოლიტიკურ ამნეზიას და სკლეროზს უნდა ვუმკურნალოთ.

ზვიად ძიძიგურმა პარტიის ამბიციებს გაუსვა ხაზი, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე პარტიული თანამდებობაა. მისი თქმით, კონსერვატორები თამაშის ახალ წესს ამკვიდრებენ, რაც ერთობლივ საქმიანობას გულისხმობს, სამომავლოდ კი კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ძიძიგურის სიტყვით, მაშინ, როცა სააკაშვილს მხოლოდ ის ხალხი ჰყავს გვერდით, ვინც მას მზეს და მთვარეს უწოდებს და შეჰღაღადებს, კონსერვატორები ხელისუფლებაში მრავალათასიანი გუნდით აპირებენ მოსვლას. ხოლო იმაში, რომ ეს დღე ნამდვილად დადგება, ზვიად ძიძიგურს ეჭვი არ ეპარება, უბრალოდ, ჯერ ზუსტი თარიღი არ იცის.

მანამდე კი კონსერვატორებმა პარტიის ხელმძღვანელობა აირჩიეს.

კახა კუკავა, მერაბ კაჭახიძე, გოჩა ჯოჯუა, ბიძინა გუჯაბიძე, ჯუმბერ თავართქილაძე, — ყრილობის დელეგატებმა ფარული კენჭისყრით, სწორედ ეს პიროვნებები აირჩიეს ეროვნული კომიტეტის წევრებად.

პარტიის თავმჯდომარე კობა დავითაშვილი გახდა, რომელმაც 15 ხმით მოუგო ზვიად ძიძიგურს. თავის „ძმას, მეგობარს, ნათესავს, თანამებრძოლს, უახლოეს ადამიანს" პირველმა ძიძიგურმა მიულოცა გამარჯვება. ამავე დროს, თავმჯდომარისთვის „სისხლის გასაშრობად" თანათავმჯდომარემ სარევიზიო კომისიის ორი წევრის კანდიდატურა დაასახელა — გიგა ბუკია და გიორგი კარტოზია. რაკი თავმჯდომარეს მხოლოდ ერთი წევრის წარდგენის უფლება აქვს, ერთი ქალბატონის, ლელა მიქავას კანდიდატურა დაასახელა. კანდიდატებმა ხელის აწევით დაამტკიცეს სამივე წევრი.

ჯერ „ჩაკრულო" გაისმა, შემდეგ კი კვლავ — კონსერვატიული პარტიის ჰიმნი. გულზე ხელდადებულმა ზვიად ძიძიგურმა ხმა ააყოლა ჰიმნს. უნდა ვთქვა, დავითაშვილის არჩევის გამო ნამდვილად არ ეტყობოდა იმედგაცრუება თანათავმჯდომარეს.

**რუსუდან გახარია.**

◉ ბაზარი

## სოფლის მეურნეობის პროდუქტების (კილოგრამობით) საშუალო სარეალიზაციო ფასები (ლარებში, ცენტრალურ სუპერმარკეტში)

2005 წლის 23 მაისისათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი საქონლის | – 6-6,50 | კომბოსტო ახალი | – 0,60-1 |
| ხორცი ღორის | – 5-7 | ჭარხალი | – 1-1,50 |
| ხორცი ბატკნის | – 7-8 | სტაფილო | – 1,50-2 |
| ქათამი სოფლის | – 1-13 | ტყემალი | – 1-1,50 |
| ქათამი ფაბრიკის | – 3-9 | ალუჩა | – 1,50-2 |
| ყველი იმერული | – 3-3.50 | მარწყვი | – 1,50-3 |
| ყველი თუშური | – 8-10 | ნიგოზი | – 7-18 |
| სულგუნი | – 4.50-5 | ბალი | – 3,50-5 |
| კვერცხი სოფლის | – 0,25 | კიტრი | – 1-2,50 |
| კვერცხი ფაბრიკის | – 0,20 | პამიდორი | – 2-5. |
| კარტოფილი ძველი | – 0,50-0,80 | | |
| კარტოფილი ახალი | – 0,80-1 | | |
| კომბოსტო ძველი | – 1.30-2 | | |

P. S. **ამ კვირაში ფასები ძირითადად სტაბილურია, ახალშემოსული ხილი და ბოსტნეული კი შედარებით ძვირი.**



◉ კანონმდებლების აზრით

# დაპირისპირება უსაფუძვლოა

**საკანონმდებლო ორგანოსა და საგარეო უწყებას შორის დაძაბულობაზე საკუთარი აზრი აქვთ პარლამენტარებს. ალექსანდრე შალამბერიძე შვეიცარიაში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი ელჩობის კანდიდატის დამტკიცებას დაპირისპირებად არ მიიჩნევს.**

„ჩვენ ხან გვიკიჟინებენ, რომ მხოლოდ პულტზე ხელის დამჭერები ვართ. გომიაშვილის კანდიდატურის გაუსვლელობის გამო ისევ გვიკიჟინებენ, რომ საგარეო უწყებასა და პარლამენტს შორის თურმე დაპირისპირებაა. ეს ასე არ არის. უბრალოდ, საგარეო უწყებისა და პარლამენტის შეხედულებები გომიაშვილის შესახებ ერთმანეთს არ დაემთხვა".

უმრავლესობის წარმომადგენლის აზრით, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის შემდგომი გამოსვლები განაწყენებული ადამიანის პროტესტს ჰგავდა: ხანდახან შესაძლოა კანდიდატურა არ დამტკიცდეს, ხანდახან კანონიც ჩავარდება, მაგრამ ეს ზოგიერთებმა პირად წყენად არ უნდა მიიღონო...

სალომე სამადაშვილის თქმით კი ხელისუფლების რამდენიმე განშტოებად დანაწილებას სხვადასხვა შტოების მიერ ურთიერთბალანსირებისა და ურთიერთკონტროლის მიზანი აქვს. „მსგავსი შეკითხვები პარლამენტს სხვადასხვა უწყების მიმართ პერიოდულად გაუჩნდება. ჯერჯერობით ეს უწყება საგარეო საქმეთა სამინისტროა. მომავალში მის ადგილს ალბათ სხვა სამინისტრო დაიკავებს"...

სალომე სამადაშვილი ამ პროცესების პოლიტიზებას გამორიცხავს და ამბობს, რომ საგარეო უწყებაში ნორმალური სამუშაო ვითარება სუფევს. იგი რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებს ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მისი აზრით, ამის შესახებ საკანონმდებლო ორგანო მეტ ინფორმაციას უნდა ფლობდეს, თუმცა ეს ძალზე მგრძნობიარე თემაა და მიზანშეწონილია თუ ბიურო დახურულ სხდომაზე მოისმენს საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიშს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე. მრავალი დეტალი არსებობს, რომელიც სასურველი არ არის საჯარო განხილვის საგნად იქცესო.

სალომე სამადაშვილი საგანგაშოს ვერაფერს ხედავს ელჩის დამტკიცების პროცედურაშიც. მას მართებულად მიაჩნია, რომ პარლამენტს შესაძლოა თავისი აზრი ჰქონდეს ამა თუ იმ კანდიდატზე.

იგივე ხდება სხვა სახელმწიფოებშიც, მაგალითად, ამერიკის სენატში დიდი ხანია მიმდინარეობს მწვავე დისკუსია გაეროში ამერიკის ელჩის კანდიდატურის, ბატონი გოლტონის შესახებ. მსგავსი პრობლემა ყველა იმ სახელმწიფოში შეიძლება გაჩნდეს, სადაც კი ელჩის კანდიდატურას პარლამენტი ამტკიცებს. ვფიქრობ, ჩვენთანაც იგივე მოხდა"...

**პარლამენტარებისთვის საკანონმდებლო ორგანოსა და საგარეო უწყებას შორის არსებულ რაიმე დაპირისპირებაზე მეტად მნიშვნელოვანია საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის შეხვედრა რუსეთის დელეგაციასთან, საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. ამიტომ თემის დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ.**

**თამარ შაიშმელაშვილი.**

**საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი პარლამენტში დღის ბოლოს მივიდა, როცა რუსეთის დელეგაციასთან და კონკრეტულად რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩთან იგორ სავოლსკისთან ქართულ-რუსული მოლაპარაკების მორიგი რაუნდი დაასრულა.**

**შეხვედრა, რომელიც ბიუროს სხდომის რეჟიმში გაიმართა, რუსულ ბაზებს უკავშირდებოდა და არცთუ მწვავედ წარიმართა. საგარეო საქმეთა უწყების მესვეურმა საკითხის გადასაწყვეტად გარკვეული დრო მოითხოვა.**

**რუსული ბაზების საქართველოდან გატანის თაობაზე მოლაპარაკებები დღესაც გაგრძელდება, ალბათ ბაზების გატანის საბოლოო თარიღიც დასახელდება.**

◉ რაც ყველას ენაზე გვაკერია

# ვლადიმერ პუტინი საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ



**გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციაში სტუმრობის დროს, ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. ერთ-ერთი შეკითხვა საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის პრობლემას შეეხო.**

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, „პოლიტიკურად ეს მაინც და მაინც კარგი არ არის... ეს ნიშნავს, რომ ჩვენს მეზობლებს ჩვენი იქ ყოფნა არ სურთ, მაგრამ უფრო უარესი იქნებოდა, ჩვენ თუ წინააღმდეგობას გავუწევდით მათ სუვერენულ უფლებას".

ვლადიმერ პუტინმა უკმაყოფილება გამოთქვა საქართველოს ხელისუფლების განცხადებების ტონალობის გამო რუსეთის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების დროს. მისი თქმით, „მოლაპარაკების წარმოებისას ასეთი ზეწოლა დაუსაბუთებელი მეჩვენება... არაფერი ისეთი მიზეზი არ არის, რომ ბაზების მომენტალურად, დაჩქარებულ გატანას განაპირობებდეს... მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ საკითხის გადაჭრისას უფლება გვაქვს თუ მეგობრული არა, პარტნიორობის იმედი მაინც გვქონდეს, მაგრამ პარტნიორულ დამოკიდებულებას, გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ ვერ ვგრძნობთ".

რუსეთის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთმა ბაზების გამოყვანის დროს თავისი ინტერესებიც არ უნდა დაივიწყოს: „ჩვენი კონტინგენტის გამოყვანისა და მათი განთავსებისათვის შესაბამისი პირობები უნდა შევქმნათ როგორც რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე სხვა ადგილზე". გარდა ამისა, პრეზიდენტის თქმით, „საქართველოში არსებული ბაზები, უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ინტერესს არ წარმოადგენენ, თუმცა ეს ჩემი აზრი კი არა, ეს გენერალური შტაბის აზრია... ამასთანავე, რუსეთს სურს, რომ საქართველოდან მისი ბაზების გატანის შემდეგ ამ ბაზების ადგილი სხვა, მესამე ქვეყნის სამხედრო კონტინგენტმა არ დაიკავოს. ეს უკვე ჩვენს უსაფრთხოებას ეხება და როგორც ვიცი, ქართული მხარე ამას გაგებით ეკიდება".

**მომზადებულია რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული მასალების მიხედვით**

◉ ინფორმაცია

## პირველ ნავთობს მილებში გაუშვებენ

**საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები 25 მაისს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ნავთობს საზეიმოდ გაუშვებენ. დიდი საექსპორტო მილსადენის მშენებლობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ (BTC Co") უკვე დაასრულა. როგორც 23 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ვაშაკიძემ განაცხადა, ნავთობსადენში ნავთობის გაშვების საზეიმო ცერემონიალს საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტების გარდა, ყაზახეთის პრეზიდენტი და აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი დაესწრებიან.**

**— ის ფაქტი, რომ ნავთობსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიალს ყაზახეთის პრეზიდენტი ესწრება, იმის მაუწყებელია, რომ ნავთობსადენში ყაზახური ნავთობის გატარების საკითხი უკვე გადაწყვეტილა. 25 მაისს ბაქოში გაფორმდება სამთავრობათაშორისო შეთანხმება, სადაც უკვე ოფიციალურად გაირკვევა, რა რაოდენობის ყაზახური ნავთობი გაივლის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში, — განაცხადა ვაშაკიძემ.**

**მისი თქმით, 25 მაისს ბაქოში ნავთსადენში გაშვებული ნავთობი საქართველოს საზღვარს ივლისის დასაწყისში გადმოკვეთს, ხოლო სექტემბრის ბოლოს უკვე ჯეიჰანამდე მიაღწევს.**

## ციხეა თუ კავშირგაბმულობის პუნქტი?

**შესაძლოა ახლო მომავალში ბათუმის მესამე საპყრობილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. ამის მიზეზი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ იზოლატორში ჩატარებული არაგეგმიური ჩხრეკა გახდა. ჩხრეკის შედეგად, საკანში სხვადასხვა სახის აკრძალული ნივთები, მათ შორის მობილური ტელეფონები, დანები, არყის ბოთლები და ორი ერთეული პორტატიული კომპიუტერი აღმოჩნდა.**

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარდება მოკვლევა, რის შედეგადაც გაირკვევა საპყრობილის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი.**

## საკუთარი თავი... თვითონ გალახა?



**არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრთა განცხადებით, გენერალური პროკურატურა დაკავებულთა მიმართ სასტიკ მოპყრობასა და წამებაში ეჭვმიტანილ მაღალჩინოსან პოლიციელებს მფარველობს.**

**არასამთავრობო ორგანიზაცია გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის 17 მაისის დადგენილებასაც აპროტესტებს. ამ დადგენილების საფუძველზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდა პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ისანი-სამგორის პოლიციის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი მამუკა დავითინიძე, რომელსაც „თავისუფლების ინსტიტუტი" დაკავებულის სასტიკ ცემაში ადანაშაულებს.**

**„თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის თეა თუთბერიძის ინფორმაციით, ზურაბ ადეიშვილის დადგენილების საფუძველზე მამუკა ჩუბინიძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება შეწყდა. გენერალური პროკურატურის მონაცემებით, დაკავებულმა სხეულზე დაზიანებები თავად მიიყენა.**

**ინტერ-პრესი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ნინო ბურჯანაძე: სასურველია, რომ 2008 წლის არჩევნებამდე საქართველოში აღარ იყვნენ რუსი სამხედროები

**23 მაისს თბილისში უნდა დაიწყოს ბაზების გატანის საკითხზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების ძირითადი რაუნდი. მოსკოვისა და თბილისის ამ რთული დიალოგის თავისებური „დამჩქარებელი" გახდა საქართველოს პარლამენტი. ხალხის რჩეულთა გადაწყვეტილებით, თუ მოლაპარაკება წარუმატებელი იქნება, მაშინ რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში ჯერ კიდევ 15 მაისიდან აღმოჩნდებიან „გატანის რეჟიმში", ანუ მათ გამოუცხადებენ ყოველმხრივ ბლოკადას. თბილისში „ვრემია ნოვოსტეის" საკუთარი კორესპონდენტის მიხეილ ვიგნანსკის კითხვებს პასუხი გასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.**

**— თუ იქნება მიღწეული რაიმე კომპრომისი? რა განწყობილებით მიდის ამ მოლაპარაკებაზე საქართველოს მხარე?**

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენს დადგენილებაში არაფერია ისეთი, რაც საფრთხეს უქმნის რუსი სამხედროების უშიშროებას. საიდუმლო არავისთვის ყოფილა ის, რომ 15 მაისიდან ამოქმედდებოდა ჯერ კიდევ 10 მარტს მიღებული დადგენილება. ამიტომ, ჩემთვის გაუგებარია ამ საკითხის ირგვლივ ატეხილი ისტერია და პანიკა. დიახ, იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ გარკვეულ მორიგებათა მიღწევას. ის წინადადებები, რომლებიც ბოლო მომენტში მივიღეთ რუსეთის მხარისგან, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კიდევ უფრო დაახლოვდება ჩვენი პოზიციები.

**— თუ არის შესაძლებელი ის, რომ ბაზები საქართველოდან გაიტანონ ორისამი თვის დაგვიანებით?**

— გულახდილად რომ გითხრათ, მე მომხრე ვარ, რომ ბაზების გატანა დასრულდეს 2008 წლის 1 იანვრისთვის. მაგრამ თუ დანარჩენი საკითხების შეთანხმება მეტ-ნაკლებად მაინც მოხერხდება, აქ უკვე ორი ან სამი თვე დიდ როლს აღარ შეასრულებს. რუსეთის ბაზების საკითხი დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ურთიერთობას. რუსი სამხედროების ყოფნა საქართველოში დამატებითი გამღიზიანებელია. დიახ, არ გჭირდებათ თქვენ ეს ბაზები! ამას აღიარებს ყველა სამხედრო, მეტ-ნაკლებად ობიექტური პოლიტიკოსი. რუსეთის ბაზები საქართველოში სჭირდებათ მხოლოდ იმ ძალებს, რომლებსაც არანაირად არ სურთ შეიგნონ, თუ რა ჭეშმარიტი ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ მოსკოვს და თბილისს. სამხედროების ყოფნის გარეშე ხომ ჩვენი ურთიერთობა გაცილებით უკეთესი იქნება.

**— როგორ შეაფასებას მისცემდით რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელ ურთიერთობას?**

— როგორც კონსტრუქციულ-ცივს. გარკვეული ძალები მტრულად არიან განწყობილი. ჩემი აზრით, ასეთები რუსეთში უფრო მეტი არიან, ვიდრე საქართველოში.

**— რუსეთთან ურთიერთობის შესახებ რას ამბობენ ამერიკელები?**

— ამერიკელები დაინტერესებული არიან იმით, რომ საქართველოს არ ჰქონდეს გამწვავებული ურთიერთობა მეზობლებთან. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ასევე ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს ბაზების გატანას. ეს სულაც არ არის საკვირველი, რადგან, შეთანხმება ბაზების შესახებ, არ გახლავთ რუსეთ-საქართველოს შეთანხმება. იგი მიიღეს 1999 წელს სტამბოლში, ეუთოს სამიტზე.

**— ბაზების გატანის პრობლემა დროის მიხედვით ემთხვევა საქართველოს პარლამენტის არჩევნებს, რომელიც 2008 წელს უნდა გაიმართოს. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ უნდა უჩვენოს ამომრჩევლებს, რომ ასრულებს დაპირებებს?**

— დიახ, სასურველი იქნებოდა, რომ არჩევნების დროისთვის რუსი სამხედროები აღარ იყვნენ საქართველოში. იცით, ძალზე გულსატკენია, რომ რუსეთთან ჩვენს ურთიერთობაში ახლა ასე აქტიურად ჟღერს მხოლოდ „ბაზების საკითხი". სწორედ ამიტომ ვთავაზობთ რუს კოლეგებს იმ პრობლემების სასწრაფოდ გადაჭრას, რომლებიც მეგობრობაში გვიშლიან ხელს.



**— ახალი პრეზიდენტისა და ახალი პარლამენტის არჩევიდან ერთ წელიწადზე ოდნავ მეტი დროის გასვლის შემდეგ, საქართველოს ხელმძღვანელობის რეიტინგი გაცილებით უფრო დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე „ვარდების რევოლუციის" დროს იყო.**

— ეს აბსოლუტურად ნორმალურია. საქართველოში ამჟამად შექმნილი სიტუაციისთვის, რეიტინგი საკმაოდ მაღალიც კია. ჩვენ იძულებული ვართ განვახორციელოთ მძიმე, არაპოპულარული რეფორმები. მე მსურს, რომ ყველაფერი გაკეთდეს სწორად და ადამიანებმა დღეს თუ არა ხვალ მაინც დაინახონ, რომ ჩვენ არ შევმცდარვართ.

**— საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაკარგა პრემიერი ზურაბ ჟვანია. მის ოჯახის წევრებს და ახლობლებს არ სჯერათ, რომ იგი მხუთავი გაზით მოიწამლა. რა კომენტარს გაუკეთებდით ამას?**

— ოჯახს უფლება აქვს, დასვას ნებისმიერი კითხვა, ეს ხომ უდიდესი ტრაგედიაა. მაგრამ მიმაჩნია, რომ გამოძიება ობიექტური იყო. თუ ყველა კითხვას ჯერჯერობით არ გაეცა პასუხი, საჭიროა საქმის დამატებითი გამოძიება.

**— ედუარდ შევარდნაძის გადადგომიდან მიხეილ სააკაშვილის არჩევამდე, თქვენ ასრულებდით საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას. ხომ არ გსურთ კვლავ დაბრუნდეთ პრეზიდენტის სავარძელში?**

— მე თავს იქ კომფორტულად არ ვგრძნობდი. ამის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ეს ძალზე მძიმე ტვირთია... საქართველო რომ იყოს, მაგალითად, ავსტრიასავით ან შვეიცარიასავით ქვეყანა, მაშინ, იქნებ უარიც კი არ მეთქვა. მაგრამ აქ ძალზე ძნელია იყო ღირსეული პრეზიდენტი.

**— როგორც საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, თქვენ, 2003 წლის დეკემბერში მოსკოვში შეხვდით პრეზიდენტ პუტინს. როგორც მახსოვს, იგი მაშინ მოიწვიეთ გუდაურში სათხილამუროდ. ეს მოწვევა ძალაში რჩება?**

— ამჟამად გუდაურში თოვლი აღარ არის. მაგრამ საქართველო მშვენიერია წელიწადის ნებისმიერ დროს. ჩვენ ყოველთვის სიხარულით ვუმასპინძლებთ რუსეთის პრეზიდენტს. საჭიროა გამოვნახოთ ურთიერთგაგების და ურთიერთპატივისცემის ენა, თვით იმ შემთხვევაშიც კი, რომ რუსეთი უდიდესი სახელმწიფოა, საქართველო კი — პატარა ქვეყანა. მთავარია, შევიგნოთ, რომ ჩვენ, ყველა თანასწორნი ვართ.

**— ერთი წლის წინ, თქვენ თქვით, რომ შეისწავლიდით აფხაზურ ენას, აფხაზეთის რთული საკითხის უკეთ მოწესრიგების მიზნით. როგორ მიდის საქმე?**

— ცუდად. უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ რამდენიმე ფრაზა შევისწავლე. აფხაზური უაღრესად რთული და უნიკალური ენაა! მაგრამ მე ყოველთვის მზად ვარ, ჩავიდე სოხუმში და გავმართო დიალოგი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირველ ეტაპზე ჩვენ ერთმანეთს მთლად ტკბილი სიტყვებით არ მივმართავთ. მაგრამ აფხაზები რატომღაც არ მიწვევენ...

**— იქნებ, არ ავიწყდებათ თქვენს მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ახალი ომის დაწყების შემთხვევაში, თქვენი ორივე ვაჟი საბრძოლველად წავიდოდა?**

— აბა, სხვა რა უნდა მეთქვა? ხომ არ შეიძლება ფრონტზე გავუშვა სხვისი შვილები, ჩემები კი სადღაც გადავმალო? ალბათ, ნებისმიერი აფხაზი დედაც ამას იტყოდა. მაგრამ პოლიტიკოსების და დედების ამოცანაა ის, რომ ომი აღარ განმეორდეს.

**„ვრემია ნოვოსტეი", 23 მაისი.**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

◉ ვინც მოყვარესა არ ეძებს...

# ჩვეულებრივად დიდი სტუმარი

## ასი წლის მიხეილ შოლოხოვის გასახსენებლად

(პირველი გვერდიდან)

დღეს თუ საქართველოს სულიერ ავტორიტეტზე გვიხდება ლაპარაკი, ეს, უწინარესად, იმ დიდი ქართველების დამსახურებაა, რომელთაგან ბევრის ხილვა და რომელთა სიახლოვე ბედმა მეც მარგუნა, ისინი იქ, მეოცე საუკუნეში დარჩნენ და ამჟამინდელი ეს ოცდამეერთე საუკუნე, დიახაც, იმათი დასაძირკველებულია.

აი, სწორედ ზოგ ამ ადმიანს ვიხსენებ დღეს დიდი მწერლის დაბადების ასი წლის თავზე, რომელ მწერალსაც, გასული საუკუნის სამოციან წლებში სტუმრად ორჯერ ჩამოსულს საქართველოში, მართლაც დაუვიწყარი მასპინძლობა გაუწიეს...

„წყნარი დონის“ წერა მწერალმა 20



100

წლის ყმაწვილკაცმა დაიწყო და ასევე სრულიად ახალგაზრდამ დაამთავრა. ამ ამბავმა მიხეილ შოლოხოვის ავტორობა ბევრის თვალში საეჭვო გახადა. თუ არა სტალინის თანადგომა, იქნებ წერაზე ხელიც კი აეღოო, დაწერს მერე მწერალი და ამ სიტყვებს გორში სტუმრობისასაც გაიმეორებს 1961 წელს („გაუფრთხილდით ყველაფერს, რაც დღეს ამ პატარა სახლის ჭერქვეშ ინახება. ეს ყველაფერი მომავალს ეკუთვნის“). რევოლუციური ხანის კრიტიკოსებიცა და მკითხველებიც აიძულებენ მწერალს, რომ წიგნის ტრა- [illegible]

უყვებოდა მიხეილ შოლოხოვი გიორგი ლეონიძეს (რომელიც ცოცხალთა შორის საქართველოს პირველ პოეტად ჰყავდა მონათლული და როგორც სადმე საშუალება მიეცემოდა, აუცილებლად წითელ ვარდს მიართმევდა ხოლმე). ერთხელ მოსკოვში, სასტუმრო „ცენტრალნაიაში“ სტუმრები მყავდნენ. თვითონ პირადად დამელაპარაკა და თავისთან მიმიწვია კუნცევოში, დაბადების დღე მე უნდა გადაგიხადოო, მანქანა მოგაკითხავთო. მგონი, 1939 წელი იყო, იმ წელს ორივენი ერთად აგვირჩიეს აკადემიაში. რა ნომერი მანქანა იქნება-მეთქი, ჩემდა უნებურად ვკითხეო. ნუ ღელავ, როგორმე მოგაგნებენ, გიპოვნიანო, სიცილნარევი ხმით დამამშვიდაო. გიორგი ლეონიძეს სიამოვნებდა სტუმრის მონაყოლი და თავისებურად აქეზებდა, აგულიანებდა. სუფრაზე „ხიხვი“ მოიტანა და მკითხა, დიდი ჭიქით დავლიოთ თუ პატარათიო. აკადემიკოსი კაცი ბავშვივით დავიბენი, სტალინს ჭიქის სიპატარავე ვერ შევბედე და დიდით-მეთქი, ვუთხარიო. რა იყო შე კაცო, სად გეჩქარება, პატარათი ვსვათ და დიდხანს ვისხდებითო, უთქვამს მასპინძელს, რომლისთვისაც პირობა ჯერ კიდევ მაშინ მიუცია, რომ აუცილებლად ნახავდა საქართველოს...

პირველი ჩამოსვლისას მიხეილ შოლოხოვი დავით მჭედლიშვილმა შინ მიიწვია (თბილისში სტუმრობისას იგი ვასილ მჟავანაძესაც ეწვია შინ, ირაკლი აბაშიძესაც და გიორგი ჯიბლაძესაც). სტუმრებს შორის იყო იმხანად საქართველოში ხრუშჩოვისგან მეორე კაცად გამოგზავნილი პავლე კოვანოვი, რომელიც ძალიან აქტიურობდა, რის გამოც შოლოხოვმა რამდენიმეჯერ იუმორნარევი შენიშვნა მისცა. მაგრამ როცა მან უთხრა, ხვალ რუსთავში მე თვითონ გამოგყვები, ეს ინტერნაციონალური ქალაქი ერთად დავათვალიეროთო, შოლოხოვმა ველარ მოითმინა: შენ ნუ გავიწყდება, რომ ახალი ტიპის მეფისნაცვალი ხარ, ამ შემთხვევაში ხრუშჩოვის ნაცვალიო, მე საქართველოს სანახავად ჩამოვედი და არა ინტერნაციონალური ქვეყნის გასაცნობადო. ამ ამბავმა მცირე ხანს უხერხული დუმილი ჩამოაგდო სუფრაზე, მაგრამ ბოლოს ყველაფერი „ტიბაანს“ დაპრალდა და „მეორე კაცს“ [illegible]

ნართაულად ზოგ-ზოგთა სამგზის სიბრიყვეზე („ტრიჟდი დურაკ“) ალაპარაკდა. მაგას მე ამერიკაშიც არ მივყვებოდი, ძალით წამიყვანაო, პირდაპირ მიახალა იმ პირველ პირს, რომელმაც, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა მოძურწა.

მეორედ მიხეილ შოლოხოვი 1968 წელს ჩამოვიდა საქართველოში, უკვე ნობელის პრემიის ლაურეატი. მაშინ თავისიანების დიდი ჯგუფი ჩამოიყვანა, თითქმის 14 კაცი, ცოლი, შვილიშვილები, ახლობლები, ვასილ მჟავანაძემ თავისი აგარაკი დაუთმო გაგრაში (ე. წ. ბერიას ყოფილი აგარაკი), სადაც მწერალი თავის ბოლო რომანზე მუშაობდა („ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“). გაგრაში დაწერილი თავები მალე „პრავდაში“ გამოქვეყნდა.

სხვათა შორის, ვასილ მჟავანაძის, ირაკლი აბაშიძისა და დავით მჭედლიშვილის წრეში მიხეილ შოლოხოვმა ამ რომანზე ლაპარაკში კიდევ ერთი ამბავიც გაიხსენა. თავიდან რომანის სათაურად „სამშობლოსათვის“, სტალინისათვის“ მქონდაო, როგორც მაშინ ფრონტზე ნამდვილად იყო, მაგრამ სტალინს, მგონი, ფადეევისგან გაეგო, შოლოხოვი ახალ რომანს წერს ამა და ამ სათაურითო, და შემომითვალა, კარგად დაფიქრდი, მაშინ კი იყო, ოღონდ დღეს უკვე საჭირო აღარ არისო.

იმხანად პრაღაში აჯანყების ჩასაქრობად საბჭოთა ტანკები შევიდნენ. მახსოვს, რა აღელვებულმა დაურეკა მიხეილ შოლოხოვმა „პრავდის“ რედაქტორს და საპროტესტო განცხადება გადასცა, რომელიც გაზეთმა არ გამოაქვეყნა, ამან ისე ალაშფოთა მწერალი, რომ თვითონ ბრეჟნევთან დალაპარაკება სცადა. ჩანს, ის ვ. მჟავანაძეს დაუკავშირდა, რადგან ვ. მჟავანაძეს მთელი ორი დღე იმის დამშვიდების მეტი არაფერი უკეთებია. არ ვიცი რა გზით, მაგრამ შოლოხოვმა მაშინ მაინც მიაღწია საქართველოდან თავისი აზრის მთელ მსოფლიოში გახმაურებას.

იმხანად მწერალმა თავის მრავალრიცხოვან ჯალაბთან ერთად უკვე მთელი დასავლეთ საქართველო მოინახულა. განსაკუთრებით გურულ მეჩაიე ქალებს მოეფერა. როგორ შეიძლება ლამაზი ქართველი ქალების პლანტაციებში მუშაობაო. ეს ჯანმრთელობასაც ვნებს და სილამაზესაცო. ეს საქმე სასწრაფოდ მექანიზებული უნდა გახადოთო. დაწერს მერე, მგონი, გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე (მექანიზებული კი არა, მეჩაიეობა დღეს საქართველოში, როგორც ბევრი სხვა დარგი, ჩვენდა სავალალოდ, საერთოდ ჩამკვდარია).

რასაც მე დღეს ვყვები, ზოგი რამ, რასაკვირველია, მცირე ნაწილი, აღბეჭდილია თავის დროზე ცნობილი დოკუმენტალისტის შალვა ჩაგუნავას ფილმში — „მიხეილ შოლოხოვი საქართველოში“, რომლის ერთი პირი თვითონ მწერალსაც აჩუქეს და ამჟამად სტანიცა ვეშენსკაიაში, მწერლის სახლ-მუზეუმში ინახება. ნამდვილად კარგი იქნება, თუ ამ დიდი რუსი მწერლის საიუბილეო დღეებში ხსენებულ ფილმს ჩვენი რომელიმე სატელევიზიო არხიც უჩვენებს დღევანდელ მაყურებელს, რომელიც მხოლოდ შავ ფერებში ხედავს ჩვენს ახლო წარსულს. ძველი მეგობრობისა და სიყვარულის გახსენება „აროდეს გვიზამს ზიანსა“.

სწორედაც ამ მეგობრული ურთიერთობისა და სიყვარულის თავისებური გამოხატულება მგონია დროდადრო მწერლის უფროსი ქალიშვილის სვეტლანას ზარი პეტერბურგიდან. სვეტლანას თავის ადმირალ მეუღლესთან ერთად უკვე მერე, 70-იან წლებში, ერთი ხანობა საქართველოში, თბილისში მოუხდა ცხოვრება. გარკვეული დრო მან ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზია“-ში იმუშავა ლიტერატურულ თანამშრომლად და მუდამ ძალიან თბილად იგონებს იმ დროს. ამ დღეებშივე დარეკა თბილისში მწერლის შვილიშვილმა ალექსანდრემ (უმცროსი ვაჟის, მამის სეხნია მიხეილის შვილმა). ვეშენსკაიაში, მიხეილ შოლოხოვის სახლ-მუზეუმში საქართველოში სტუმრობის ექსპონატებიც არის გამოფენილი. ამ ადგილს „ საქართველოს კუთხე“ ჰქვიაო...

უსტუმრო არც ოჯახი ვარგა და, მით უმეტეს, ქვეყანა და თან სტუმარსაც გააჩნია. მეოცე საუკუნის საქართველოში ბევრი დიდი ადამიანი სტუმრობდა როგორც ევროპიდან და აზიიდან, ისე ამერიკიდან. ბევრმა გაიყოლა თან ჩვენი ქართული სითბო და სიყვარული. ბევრმა დაწერა კიდეც ამის შესახებ და ალბათ ეს ყველაფერი ჯერ მოსაძიებელია.

„წყნარი დონის“ გენიალური ავტორის სტუმრობას თანდათან, ცხადია, მეტი ფასი დაედება და ყოველთვის სიამოვნებით მოსაგონარი იქნება.

**გურამ გოგიაშვილი.**

◉ კატასტროფა?

# „წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია...“

*საქართველოში გაზაფხული ყოველთვის უხვი ნალექებით გამოირჩეოდა. შეჩვეულებიც კი ვართ, მაგრამ რაც წლევანდელმა ამინდმა დაატეხა თავს საქართველოს, ამის გაფიქრებაც კი გზარავს ადამიანს. გადაუღებელ წვიმებს წყალდიდობა და მეწყერი მოჰყვა. ლამის აოხრდა რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, ზემო და ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, კახეთი. მტკვარი წალეკვით დაემუქრა დედაქალაქსაც.*

*აი, სწორედ ამას ჰქვია, — წყალში ვდგავართ და ცეცხლი გვიკიდიაო, — დატბორილი სახლის მეორე სართულზე მდგარმა ერთმა კახელმა ხატოვნად ამცნო ტელევიზიით ქვეყანას. ათასობით ადამიანი, სახლ-კარს ვინღა ჩივის, საქონლისა და სახნავ-სათესის გარეშე დარჩა. სტიქიამ სასმელი წყლის დაბინძურების საშიშროება შექმნა და ზოგ რაიონს დღეს პირი უშრება...*

*— მეორედ მოსვლაა, წარღვნაა, აბა, რა არისო, — ამბობენ შეწუხებული ადამიანები და შიშით შესცქერიან ცას, რომელიც არა და არ აპირებს ღრუბლების გადაყრასა და გამოდარებას. სამწუხაროდ, სინოპტიკოსების ვარაუდით წვიმები მაისის ბოლომდე გასტანს.*

*ვესაუბრებით მწვანეთა პარტიის თავმჯდომარეს ბატონ გიორგი გაჩეჩილაძეს.*



**— ბატონო გიორგი, ცნობილია, რომ ჰიდრომეტეოროლოგები, ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში გვაფრთხილებდნენ დიდთოვლობისა და დიდი წვიმების შესახებ. ამას კი, რაც საქართველოს თავს დაატყდა, თუ არ ვცდები, ეკოლოგიური კატასტროფა ჰქვია. რა არის ამის მიზეზი?**

— მდინარეებზე წყალდიდობები არაერთხელ დაფიქსირებულა, მაგრამ საქართველო ასე ერთიანად რომ მოეცვას, ნამდვილად არ მახსოვს. ეს ღვთის რისხვას უფრო ჰგავს. პირველად ეკოლოგიური ლტოლვილები აჭარაში გაჩნდნენ, ამჯერად კი ეკოლოგიური მიგრანტები მთელ საქართველოდან გვეყოლება. ეს კი ქვეყანაში სერიოზულ პრობლემებს შექმნის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ კატაკლიზმებზე, რაც კიდევ არის მოსალოდნელი.

ბუნებრივია, ამ კატასტროფას, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები აქვს.

ობიექტური მიზეზი გახლავთ დედამიწაზე მიმდინარე გლობალური დათბობის პროცესი. ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა მატულობს, შესაბამისად, აორთქლება და ნალექების რაოდენობაც იზრდება. ამდენად, უნდა ველოდეთ, რომ დიდთოვლობა და თავსხმა წვიმები მოიმატებს.

**— ნუთუ ამ შემოტევის დამცავი რაიმე მექანიზმი არ არის?**

— ასეთ სიტუაციაში ყველაზე დიდ როლს ტყის საფარი ასრულებს. ტყე ამგვარი კატაკლიზმებისგან განსაკუთრებით მთიან რეგიონებს იცავს. საქართველოში ტყის საფარის 97 პროცენტი ფერდობებზეა განლაგებული, ამიტომ ღვარცოფების, წყალდიდობების, მეწყერებისგან დაცვის განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია.

**— ხშირად ლაპარაკობენ ტყის სამეურნეო დანიშნულების შესახებ, მაგრამ ჩვენთან გაცილებით მნიშვნელოვანი მისი ეკოლოგიური ფუნქცია ყოფილა.**

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ ჩვენთან, ამ საოცარ სიმდიდრეს, ძალიან უდიერად ექცევიან. ტყეს ყოველთვის სჭირდება გამოხშირვა, გაწმენდა, სანიტარიული ჭრა, რაც თავად ტყისთვისაა კარგი, მაგრამ ტყის ჭრა იმ მასშტაბებით, როგორც საქართველოში წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა, და, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება, კატასტროფაა, რომელმაც თავისი შედეგი უკვე გამოიღო. ტყის ხელაღებით განადგურება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სუბიექტური მიზეზი გახლავთ.

ფაქტობრივად, სატყეო პოლიტიკა არ არსებობს. არის ტყის კოდექსი, სხვადასხვა ნორმატიული აქტი, დადგენილებები, მაგრამ მათი აღსრულების საშუალება არ არსებობს. ტყე დღესაც ძირითადი რესურსი გახლავთ კლანური და მაფიოზური ჯგუფების, ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლების გამდიდრებისთვის. ამას გარდა, ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისი ყოველ ზამთარს ადამიანებს აიძულებს ტყის გაჩეხვას.

ამიტომ, აღარავის აღარ უნდა უკვირდეს, რომ კატაკლიზმები ასეთი სისწრაფით ვითარდება ქვეყანაში და კიდევ უფრო მეტად კატასტროფულ შედეგებს უნდა ველოდოთ.

**— როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა ამ კატასტროფის თავიდან აცილება ან მისი მასშტაბების ოდნავ მაინც შემცირება?**

— ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად რამდენიმე დარგი უნდა მუშაობდეს — ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი, რომელმაც წინასწარ გააფრთხილა ქვეყანა; გეოლოგიის დეპარტამენტი, სადაც ჯერ კიდევ საუკეთესო კადრებია თავმოყრილი, ისინი ადგენენ რუკებს, დადიან ექსპედიციებში და სწავლობენ იმ ადგილებს, სადაც ეს საშიშროება შეიძლება წარმოიშვას, ადგენენ რა უნდა გაკეთდეს, რომ წყალმოვარდნებსა და წყალდიდობებისას მოსახლეობა არ დაზარალდეს. არსებობს საქსანაპირო დაცვა, რომლის დანიშნულებაა მდინარეთა კალაპოტების დაცვა და სანაპირო ზოლების გამაგრებაც. ეს ყველაფერი დღეს მივიწყებულია. არადა, უსაფრთხოების ზომების მიღება შეიძლებოდა. მთელ მსოფლიოში არის და საქართველოშიც იყო საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი. სპეციალისტები სათანადო ტექნიკით გადიოდნენ, საგანგებო სიტუაციების დროს, ადგილებზე. სად გაქრა ეს დეპარტამენტი? არ ვიცი, რამდენად შეიძლება რეზერვისტთა ჩანაცვლება სიცოცხლის საფრთხესთან დაკავშირებულ სამუშაოებში?! ეს სამსახური შს სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო და ამგვარი კატასტროფებით მიყენებულ ზარალსაც ისინი აფასებდნენ. იყო მეცნიერებათა აკადემიის ქვედანაყოფიც, რომელიც ამავე საკითხებს სწავლობდა, ყველა ეს სახელმწიფო ინსტიტუტი გაქრა. იმაზე მაინც ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ წინასწარი პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების დროს ბიუჯეტს ნაკლები ზარალი ადგება, ვიდრე პოსტ-ფაქტუმ?

**— როგორც თქვენ ბრძანეთ და მეც მოვისმინე ტელევიზიით, თუ ხელისუფლება გაფრთხილებული იყო, რატომ არაფერი იღონეს?**

— შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დადონ მასალები და გვითხრან, რატომ არ აიცილა ხელისუფლებამ ამგვარი შედეგი თავიდან...

**— მეწყერი რომ წაიღებდა სოფლებს, ხელისუფლებამ რა იცოდა?**

— რათა წყალი სოფლებში არ შევარდნილიყო წინასწარ შეიძლებოდა ტერიტორიების გამაგრება. თბილისში დაბალი ჯებირების გამაგრება ხომ მაინც იყო შესაძლებელი. წყლის კანონში ერთი თავია, სადაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული წყლის კატასტროფისას როგორ უნდა იმოქმედონ. ამ დროს საკოორდინაციო საბჭო იქმნება მთავრობაში, შემდეგ ადგილებზე მოქმედებენ... ზევიდან ქვევით. იქნებ ახლა მაინც წაიკითხონ ეს კანონი, იმათ, რომელთა კომპეტენციაშიც ეს საქმე შედის.

**— გლობალური დათბობის გამო, კატასტროფული მოვლენები მთელ მსოფლიოში გახშირდა. თავს მაინც იმით ვიმშვიდებ, რომ ვიცი, ამ პრობლემის გლობალური მოგვარების ცდა მიმდინარეობს.**

— 1992 წელს გაიმართა რიო-დე-ჟანეიროს ცნობილი სამიტი, სადაც შემუშავდა მსოფლიოს მდგრადი განვითარების კონცეფცია. როტაციის პრინციპით, წლეულს, ამ კონცეფციის ხელმძღვანელობა, საქართველოსა და მის ეკონომიკის მინისტრს მოუწია. მინდა გითხრათ, ჩვენი ქვეყანა ცოტა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. საქართველომ, საგადასახადო კოდექსის მიღებისას, საერთოდ ამოიღო გარემოს დაბინძურების გადასახადი, რაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. გარემოს ეკონომიკური ბერკეტებით მართვა გულისხმობს — თუ აბინძურებ, უნდა გადაიხადო კიდეც!

**— რა იყო ძირითადი საკითხები მსოფლიოს მდგრადი განვითარების კონცეფციისა?**

— გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული პრობლემები. პოლუსზე არსებული მყინვარები დნება, ზღვის დონემ, როგორც მეცნიერები ამბობენ, 25 სანტიმეტრით აიწია. ეს საქართველოშიც შეიმჩნევა. თუ ასე გაგრძელდა, ორ მეტრამდეც აიწევს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ზღვის სანაპირო ზოლში ცხოვრობს. აფრიკაში შარშან თოვლი მოვიდა, ახლახან ჩინეთი გადაათეთრა. საქართველოში ოთხი წელიწადი გვალვა იყო. ჩვენ ზამთრიდან, პირდაპირ, ზაფხულზე გადავდივართ, რაც პერსპექტივაში შიმშილთან არის დაკავშირებული. გვალვების გამო ტყის ხანძრებიც გახშირდა, ზაფხულში, ტემპერატურის მომატებასთან ერთად, სიკვდილიანობაც იზრდება. განსაკუთრებით, სისხლძარღვთა პრობლემების მქონე ასაკოვან ადამიანებში. წარმოიქმნება, ახალი ტიპის ინფექციური დაავადებები, გადამტანი მიკროორგანიზმები, რომელთაც თვალით ვერ ვხედავთ და მათთან ბრძოლა შეუძლებელია.

**ესაუბრა
მარადი ანასაშვილი.**








◉ არქეოლოგიური აღმოჩენა

# წიქარას ორმოში ფეხი ჩაუვარდა...

## რას გვიჩვენებს დიდი ლიახვის ხეობაში აღმოჩენილი ახალი სამარხის შესწავლა?

**ქართული ზღაპრის გმირი წიქარა მუდმივად ადამიანების სამსახურშია. იმ დღესაც ზღაპრიდან გამოპარული იყო და ქემერტში, ოთინაშვილების ეზოში, ძოვდა ბალახს.**

ქემერტი დიდი ლიახვის ხეობის ერთი ღონიერი სოფელია. აქაური ემზარ ოთინაშვილი, ახალგაზრდა, ცოლშვილიანი კაცი შორს იხედება. წვრილშვილის პატრონია და მამასაც აქედანვე უჭირავს თადარიგი — მომავალში ყველა ცალ-ცალკე უნდა დაასახლოს.

ამიტომაც გადაწყვიტა ემზარმა, იქვე, თავის ეზოში, ახალი სახლის მშენებლობა წამოეწყო. მაგრამ სად? იდგა და ეზო-მიდამოს ზვერავდა. მოულოდნელად, იქვე მობალახე ხარს, წიქარა რომ ჰქვია და დიდ-პატარა თავს ევლება, ფეხი თითქოს ორმოში ჩაუვარდაო, წინა ფეხებით ჩაიკეცა. ემზარი ხარს მივარდა და რის წვალებით ფეხი მოზრდილი ხვრელიდან ამოაღებინა.

დაკვირვებულმა — ეს რა ხვრელი გამოჩნდაო — ხელდახელ იქაურობა გათხარა და მის წინ ადამიანების ჩონჩხებიანი უძველესი სამარხი აღმოჩნდა.

ცნობილი არქეოლოგის, პროფესორ იულონ გაგოშიძის აზრით, სამარხი ადრეული ქრისტიანული ხანისაა, თუმცა მასში ერთი ადამიანი წარმართული წესითაა დაკრძალული.

სამარხში აღმოჩენილი ადამიანის თავის ქალები თბილისში ანთროპოლოგიის ინსტიტუტში გადაიტანეს. შემდგომ გამოკვლევებსაც აქვე ჩაატარებენ.

ქემერტში, ოთინაშვილების ეზოში აღმოჩენილი სამარხი ახალი ფურცელია შიდა ქართლის, კერძოდ, დიდი ლიახვის ხეობის ისტორიის შესწავლაში. ახლა მთავარია, ეს ფურცელი ყურადღებით და დაკვირვებით წავიკითხოთ.

**გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.**

◉ ინფორმაცია

### თურქეთის ხელშეწყობით

**საქართველოს შეიარაღებული ძალების კოჯრის სპეციალური დანიშნულების ბრიგადას თურქეთის მთავრობა მილიონ რვაასი ათასი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკას და აღჭურვილობას გადასცემს.**

**როგორც ინტერ-პრესს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურში განუცხადეს, „თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის საბჭო“ კოჯრის ბრიგადას „ლენდ კრუიზერის“ მარკის 36 ავტომანქანას, 4 საველე სამზარეულოს, კომპიუტერებს, ტანსაცმელს და ბრიგადის კეთილმოწყობისთვის საჭირო ტექნიკას გადასცემს.**

### გარევაჭრობის დასასრული

**რუსთავის მთავრობა ქალაქის საპატრულო პოლიციას გარევაჭრობის აღკვეთაში დახმარებას სთხოვს. ამის შესახებ განცხადება ქალაქის ვიცე-მერმა ლევან ჩიკვაიძემ გუშინ ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე გააკეთა.**

**მესხიშვილის ქუჩაზე გარევაჭრობა მოიშალა, თუმცა, მოვაჭრეებმა სტიქიურად სხვა ადგილზე გადაინაცვლეს. რა მნიშვნელობა აქვს მესხიშვილის ქუჩაზე იქნება გარევაჭრობა თუ სხვაგან. ამიტომ, საპატრულო პოლიციას ვთხოვ, ამ ტერიტორიებს ყურადღება მიაქციოს, — განაცხადა ჩიკვაიძემ.**

### განათლება ბუღალტრებსაც სჭირდებათ

**სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 8 რაიონულ ფილიალში 1 ივნისიდან ახალი მთავარი ბუღალტრები დაიწყებენ მუშაობას.**

**როგორც ინტერ-პრესს ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ კობა ძაძამიამ განუცხადა, მთავარი ბუღალტრების შესარჩევად კონკურსი 24 რაიონში მაისის დასაწყისში გამოცხადდა, თუმცა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სურვილი მხოლოდ 10 რაიონული ფილიალის დასაკომპლექტებლად საკმარისმა კანდიდატებმა გამოთქვეს.**

**ძაძამიას თქმით, კონკურსის პირობების მიხედვით, კანდიდატს პირველი ეტაპისთვის მაღალკვალიფიციური მონაცემები უნდა ჰქონოდა. ეს მოთხოვნა კი 93 კანდიდატიდან მცირე ნაწილმა დააკმაყოფილა. კონკურსანტების ნაწილმა საკუთარი გადაწყვეტილებით უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე.**

### გალინჩვას გადაურჩნენ

**ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მძიმე ტრავმებით წყალტუბოელები გია ქუთათელაძე და ვახტანგ და თემურ ტყაბლაძეები გადაიყვანეს.**

**გასულ პარასკევს ისინი წყალტუბოს სოფელ ქვილიშორის მოსახლეობას ერთ-ერთ სახლში ჰყავდა ალყაშემორტყმული და ლინჩის წესით ანგარიშსწორებას გეგმავდა. საბოლოოდ, სამართალდამცველებმა ალყაშემორტყმულთა გადარჩენა მოახერხეს.**

**აღნიშნულ სამ პირს სოფელი მიმდინარე წლის 20 აპრილს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მამაშვილის თემურ და ირაკლი სულაბერიძეების მკვლელობაში ადანაშაულებს.**

**ინფორ-პრესი.**

◉ დარგი

# ეშველება, თუ... სახელმწიფოს ნებაც იქნება

***მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგი და სუბტროპიკური ზონის მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის უმთავრესი წყარო იყო. ბოლო ათწლეულში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე უკიდურესად შემცირდა ჩაის წარმოება, რასაც სამომხმარებლო ბაზრის დაკარგვა მოჰყვა. უკანასკნელი წლების ღონისძიებათა მიუხედავად, დარგი კვლავ მნიშვნელოვან ხელშეწყობას საჭიროებს.***

***ამას წინათ ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია — „საქართველოს ჩაის“ შეკრება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროები, პარლამენტის, რუსეთის ჩაის ასოციაციის, ბიზნესმენთა ფედერაციის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები, გუბერნატორები, დასავლეთ საქართველოს რაიონების გამგებლები და არსებული ყველა ჩაის საწარმოს წარმომადგენლები.***

***დარგში შექმნილ მდგომარეობასა და ასოციაციის საქმიანობაზე გვესაუბრება ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თენგიზ სვანიძე.***

**— დღეს რა პოტენციალი გააჩნია მეჩაიეობას და როგორ აპირებს დარგის წარმართვას ასოციაცია?**

— მეჩაიეობის შესაძლებლობები დღეს მხოლოდ ათი-თხუთმეტი პროცენტითაა გამოყენებული. ადრე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის თვრამეტი და მიღებული მოგების ორმოცი პროცენტი მეჩაიეობაზე მოდიოდა. სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში მისი ხვედრითი წილი კი თორმეტ პროცენტს აღემატებოდა. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებაში. აქედან გამომდინარეობს დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის რაოდენობისთვის ამ დარგის განსაკუთრებული ფუნქცია.

პლანტაციების დიდი ნაწილი პრივატიზებულია. მის ოც პროცენტზე შესაძლებელია მობილური ტექნიკის გამოყენება, ხოლო მცირე მექანიზაციისა — ყველგან. ქართული ჩაი სხვა ქვეყნების პროდუქციასთან შედარებით ეკოლოგიურად სუფთაა, გამოშვებული პროდუქციის თითქმის ასი პროცენტი უცხოეთში იყიდება.

ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმოებში მოდერნიზაციისთვის ადეკვატური ფართობი არსებობს. ათასობით ტონა ჩაის დაფასოების სიმძლავრეები გვაქვს. ისინი აღჭურვილია თანამედროვე, იმპორტული ტექნიკით. დარგს გააჩნია მძლავრი სამეცნიერო და ინტელექტუალური პოტენციალიც. ამჟამად ორმოციათას ჰექტრამდე ჩაის პლანტაცია გვაქვს.

**— არსებობს თუ არა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ უახლოეს წლებში ჩვენი პლანტაციები სრულად გამოვიყენოთ? რა რაოდენობის ჩაის ფოთლის მიღება შეგვეძლება?**

— სულ ცოტა ასსამოცი ათასი ტონა ჩაის ფოთლის წარმოება გარანტირებულია. გადამუშავების შედეგად ორმოც ათას ტონა მზა პროდუქციას გავყიდით. უფრო მეტიც: საქართველოს ჩაის შეუძლია საერთაშორისო ბაზარზე სერიოზული კონკურენცია გაუწიოს უცხოურ პროდუქტს. ამ ყველაფრის მისაღწევად კი საჭიროა დარგისადმი ახლებური, თანამედროვე მიდგომები როგორც ხელისუფლების, ასევე კერძო სტრუქტურების მხრიდან.

**— „ახლებურ გააზრებაში“ რას გულისხმობთ?**

— ზოგიერთ ქვეყნებში დარგებს მართავენ ისეთი ასოციაციები, რომლებიც თვითონ ირჩევენ სტრუქტურებს და დარგის შიგნით აწესებენ ეგრეთ წოდებულ „თამაშის წესებს“, განსაზღვრავენ წარმოებული პროდუქციის მახასიათებლებს და მარეგულირებელ მექანიზმებსაც ფლობენ.

ასოციაცია ხელს უწყობს ისეთი სტრუქტურების შექმნას, რომლებიც აყალიბებენ თავისუფალი კონკურენციის პირობებს, ებრძვიან მონოპოლიზაციას. მასში გაწევრიანებულ სუბიექტებს ხელს არ აძლევთ პროდუქციის ხარისხის გაუარესება და ქართული ჩაისთვის სახელის გატეხვა. სუბსიდიების განხორციელება „საქართველოს ჩაის“ აზრის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ასოციაციის პასუხისმგებლობითვე უნდა ეწყობოდეს ტენდერები და ყალიბდებოდეს მისი პირობები.

წინა პლანზე უნდა წამოიწიოს სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვის, პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობების საკითხები, საკანონმდებლო თუ სხვა სახის ინიციატივების ჩამოყალიბება და წარდგენა.



უნდა დადგინდეს გარკვეული პარამეტრები ჩაის საწარმოებისთვის, რათა ისინი დაემსგავსონ კვების საწარმოებს. ამ საკითხზე უნდა მომზადდეს დოკუმენტი და წარედგინოს შესაბამის ორგანოს გადაწყვეტილების მისაღებად.

გარკვეული რეგულირების მექანიზმია შესაქმნელი ამორტიზებული ჩაის პლანტაციების ამოძირკვისთვის. ამ მიმართულებას არ უნდა მიეცეს ქაოსური სახე, საჭიროა მრავალი ფაქტორის გათვალისწინება: ეროზია, მეწყერი და სხვა. ჩვენი წინადადებაა, რომ კანონში შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება, რათა პრივატიზებულ პლანტაციებს არ შეეცვალოს პროფილი თუნდაც რამდენიმე წლის განმავლობაში. ამით თავიდან ავიცილებთ ეკოლოგიურ პრობლემებსაც.

ჩვენ არ ვიწყებთ ნულიდან, მაგრამ გვინდა გავაფართოოთ საქმიანობის არეალი, რომ ხელისუფლების მიდგომას ჩაის დარგისადმი ბიზნესმაც აუწყოს ფეხი. უამრავი სიკეთის მოცემა შეუძლია ამ სფეროს ქვეყნისთვის.

მუშაობის კარგი ორგანიზაციის პირობებში შეიძლება შეიქმნას დარგის საინვესტიციო ფონდი.

უკვე დაწყებულია შიდა დარგობრივი მეწარმეობისა და ვაჭრობის ეთიკური კოდექსის მომზადება. მეწარმეთა შორის წარმოდგენილი დავების გადაწყვეტის მექანიზმების შემუშავება.

ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია უნდა გახდეს ხიდი ხელისუფლებასა და მეწარმეებს, აგრეთვე პოტენციურ ინვესტორებსა და მეწარმეთა ურთიერთობაში.

**ლელა მანავლიშვილი,
ნაზი იმნაიშვილი.**

განსჯა

# დღეს თუ არა, ხვალ მაინც შესაცვლელი გახდება

## მოსაზრებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით

9. ქართულ სამართალში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა ფარული აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მტკიცებულებად მიღების თაობაზე. საბოლოოდ 2004 წლის 13 თებერვალს მივიღეთ კანონი, რომლის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში პირი ჩვენების სარწმუნოობის შესაფასებლად დასაშვები გახდა ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერი. ამასთან კანონმდებელმა აქვე დააწესა გარკვეული შეზღუდვები. 2005 წლის 25 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებია: კ) ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას. ამ შემთხვევაში ფარული გადაღების მწარმოებელი პირი დაკითხული უნდა იქნეს სასამართლოში მოწმის სახით ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით“.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინა ფარული აუდიო და ვიდეოგადაღების დროს პირადი ცხოვრების საიდუმლოებების დაცვასთან დაკავშირებით, მაგრამ ნორმის ასეთი რედაქცია დაიცავს კი ფარული აუდიო და ვიდეოგადაღების დროს პირის პირადი ცხოვრების საიდუმლოებას? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ ფარული აუდიო და ვიდეო გადაღების დროს ხელყოფილი იქნება პირადი ან ოჯახური საიდუმლოება, მისი გადამღები დაისჯება სისხლის სამართლის წესით. ეს აიძულებს პირს წინასწარ გაერკვეს ფარული გადაღების დროს ხომ არ დაირღვა პირადი ან ოჯახური საიდუმლოება და თუ მყარად დარწმუნდება, რომ არ დარღვეულა, შემდეგ წარუდგენს ჩანაწერს შესაბამის ორგანოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ მისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ე. ი. გამოდის, რომ პირი აწარმოებს ფარულ ვიდეო და აუდიო გადაღებას, მაგრამ იგი მას მხოლოდ მისთვის სასურველ შემთხვევაში წარადგენს. პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევა შესაძლებელია სახეზე იყოს, მაგრამ იგი ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩეს. მიგვაჩნია, რომ ეს ტენდენცია უაღრესად სახიფათოა.

ჩვენი აზრით, წინათ მოქმედი ნორმა (რომელსაც აგრეთვე ხარვეზები გააჩნდა), სამართლებრივი თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი იყო და უფრო იცავდა მოქალაქეთა კანონით დაცულ ინტერესებს, ვიდრე იგი ცვლილების შემდეგ გახდა.

საერთოდ, ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულებად მიღებას უდიდესი სიფრთხილე და წინდახედულება სჭირდება, რადგან იგი პროვოკაციის კარგი საშუალებაა (უკანასკნელ პერიოდში კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე, ბევრმა თავის თავზე უკვე იწვენია მისი უარყოფითი შედეგი, რის გამოც ზოგიერთი ხმამაღლა ალაპარაკდა კიდეც ფარულ ჩანაწერთა უარყოფით მხარეზე). ყოველ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ნებაა, ფარული ჩანაწერის მტკიცებულებად მიღება, შესაბამისი დეფინიციაც ისე უნდა იქნეს მოფიქრებული, რომ არ დაზიანდეს მეტი სამართლებრივი სიკეთე – ანუ არ დაირღვეს კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა უფლებები. გაუგებარია ისიც, თუ რატომ არის ხაზგასმით კანონში მითითებული, რომ ფარული გადაღების მწარმოებელი პირი დაიკითხოს სასამართლოში. გამოძიების პროცესში არ უნდა დაიკითხოს?

10. დამსწრის ინსტიტუტთან დაკავშირებულ პრობლემებზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მაგრამ ის რედაქცია, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებითაა შემოთავაზებული, სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია. იქნებ სჯობდა კიდეც, უარი გვეთქვა დამსწრის ინსტიტუტზე, ვიდრე მსგავს არაფრის მაქნის ნორმას შემოვიღებდით? საქმე ისაა, რომ დამსწრეს თვითონ მოიწვევს ეჭვმიტანილი ბრალდებული თუ განსასჯელი და ასეთ პირობებში რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს დამსწრის პოზიციის ობიექტურობას? ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში დამსწრე ოქმში დააფიქსირებს იმ პოზიციას, რაც ბრალდებულს აწყობს, ანუ იმას, რომ იარაღი თუ ნარკოტიკული საშუალება მას ჩაუდეს. ასეთ პირობებში გამოძიებაც და სასამართლოც სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდებიან მტკიცებულებათა შეფასების თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში, მის უარყოფით შედეგებს ძალიან მალე დავინახავთ.

11. საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული ხარვეზები ცალკე განხილვის საგანია. ამჯერად მხოლოდ ერთ საკითხს შევეხებით.

საპროცესო შეთანხმების დროს, ფაქტობრივად, იგნორირებულია დაზარალებულის, როგორც პროცესის ერთ-ერთი მონაწილის და ბრალდების მხარის უფლებები. კერძოდ, 679[7] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით განაჩენი არ ექვემდებარება გასაჩივრებას, ე. ი. დაზარალებულს არა აქვს უფლება გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმების შედეგად გამოტანილი განაჩენი. ეს მაშინ, როცა საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე ან შეცვლის ბრალდებას, დაზარალებულს უფლება აქვს მხარი დაუჭიროს სასამართლოში წინანდელ ბრალდებას. გარდა ამისა, იმავე კოდექსის 69-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზარალებულს უფლება აქვს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოში განაჩენი თუ სხვა გადაწყვეტილება – სააპელაციო ან საკასაციო წესით: არსად არ არის მითითებული, რომ მას ეს უფლება აქვს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ცხადია, უფლებრივი საკითხის ასეთი იგნორირება დაუშვებელია, მით უმეტეს, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აგებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე.

12. 243-ე მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით, პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთა მიერ 24 საათში ზემდგომ სასამართლოში. ეს ნორმა აშკარად დაუხვეწავია და დაზუსტებას საჭიროებს. მაგალითად, რაიონული სასამართლოსთვის ზემდგომი სასამართლო საოლქო სასამართლოა, მაგრამ საოლქო სასამართლოში რომელმა კოლეგიამ თუ პალატამ უნდა განიხილოს შუამდგომლობა პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ, კანონში მითითებული არ არის. თავის მხრივ, საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლისთვის, რომელიც პატიმრობის ვადას აგრძელებს ოთხ თვემდე – ზემდგომი ინსტანცია არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. კანონში არც ამის შესახებ არის მითითებული.

არამართებულად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნაც იმის შესახებ, რომ „ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. ესე იგი, იმავე სასამართლოში. სხვაგვარად, თანაბარი დონის სასამართლოში. ასეთი პრაქტიკა უზენაეს სასამართლოში იყო დამკვიდრებული და ისიც იძულებით, რადგან მეტი მაღალი ინსტანციის სასამართლო აღარ არსებობდა, ხოლო მხარეს კონსტიტუციურ უფლებას გასაჩივრების შესახებ ვერ დაუკარგავდი. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს და საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატებისთვის ასეთი უფლების მინიჭება კი სრულიად მიუღებელია. მით უმეტეს, თუ კოლეგიის თავმჯდომარე იმავდროულად სასამართლოს თავმჯდომარეცაა (ძნელი დასაჯერებელია, რომ მასთან შეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილება პალატის მოსამართლეებმა შეცვალონ). უცნაურია ისიც, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა საჩივრდება ზემდგომ სასამართლოში, ხოლო არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი (თუ უფრო მეტი არა) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, საჩივრდება იმავე სასამართლოში.

13. სამწუხაროდ, საკანონმდებლო ცვლილებებში ძალზე ბევრია ტერმინოლოგიური უზუსტობები. მაგალითად, 151-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებულია, რომ „სასამართლო უფლებამოსილია აღკვეთის ღონისძიების სახით პირს შეუფარდოს პატიმრობა“. სიტყვა პატიმრობის ნაცვლად უნდა იყოს „დაპატიმრება“, რადგან 152-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების სახეა არა პატიმრობა, არამედ ბრალდებულის დაპატიმრება.

137-ე მუხლის I ნაწილში აღნიშნულია, რომ „დაკავებული ან დაპატიმრებული პირი გადაიყვანოს საგამოძიებო იზოლატორში“. ეს მაშინ, როცა საგამოძიებო იზოლატორი საქართველოში, კარგა ხანია, აღარ არსებობს. არსებობენ საპყრობილეები. 162-ე მუხლის მე-10 ნაწილში გამოყენებულია ტერმინი „აღმკვეთი ღონისძიება“, უნდა იყოს „აღკვეთის ღონისძიება“.

**საკანონმდებლო ცვლილებებში ხარვეზები, ჩვენი აზრით, სხვაც არაერთია (მათ შორის კონცეპტუალურ მიმართულებებზე), რის შესახებაც დისკუსია კვლავაც გაგრძელდება. აზრთა სხვადასხვაობა საშუალებას მოგვცემს შეძლებისდაგვარად დაიხვეწოს საპროცესო კანონმდებლობა და მაქსიმალურად აღმოიფხვრას მასში არსებული შეუსაბამობები.**

**ვენედი ბენიძე,**
**იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 119, 120.**

სკოლა

# სწავლობენ და შრომასაც ეჩვევიან

**„ზოგადი განათლების შესახებ“, პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული კანონის მე-5 მუხლში ნათქვამია: „ეროვნული სასწავლო გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ საგნებსა და საგნობრივ ჯგუფს: „ა) ქართული ენა და ლიტერატურა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური და ქართული); ბ) საზოგადოებრივი მეცნიერებები; გ) მათემატიკა; დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ე) უცხო ენები; ვ) ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა“.**



ეროვნული სასწავლო გეგმების შესრულება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, თანაც – სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლება აკადემიური უნდა იყოს. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონმა სიახლე შეიტანა თბილისის 172-ე სკოლაშიც (დირექტორი – მურმან ჩანთაძე), სადაც ყველა საგანთან ერთად სათანადო ყურადღება ექცევა შრომით სწავლებას. სკოლის ხელმძღვანელთა აზრით I-II საფეხურზე შრომითი სწავლება სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგეს, რათა მოზარდს ადრეული ასაკიდან გამოუმუშავდეს შრომითი საქმიანობის უნარ-ჩვევები. ასეც არის! ამ სკოლას აქვს სადურგლო, საზეინკლო და მეოჯახეობის კაბინეტები. ვაჟებთან შრომის მასწავლებელი ზაალ ნიქაცაძე მუშაობს (იგი „ღირსების ორდენის“ კავალერია). მისი ხელმძღვანელობით, მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენაში, გასაყიდადაც გააქვთ თავიანთი ნამუშევრები. გოგონებთან საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტში ციური ცერცვაძე მუშაობს. ერთი კია, შრომის კაბინეტებში სამუშაო მასალის ნაკლებობას განიცდიან. დაინტერესებულ მოსწავლეებს ზოგჯერ შინიდანაც მოაქვთ დაზიანებული ნივთები და შრომის კაბინეტში შეაკეთებენ ხოლმე.



ამ სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები მრავალგზის გამოფენილა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეშიც. ნათქვამია, ვინც შრომობს, ქონებაც იმასა აქვსო, თუ კაცი ადრეული ასაკიდან მიეჩვევა შრომას, მის შრომისმოყვარეობას შედეგიც მოაქვს, ის არის მისი სამომავლო გზის გამკვალავი.

**ნათელა ფაილოძე,**
**გენადი სანაიას ფოტო.**

აღზრდა

# სევდიანი თვალების სამყარო

**ქვეყნის მომავალი ჯანსაღ საზოგადოებაში სრულფასოვნად აღზრდილი ბავშვია, რომლის უფლებებიც არსებობის პირველივე წუთებიდან აღიარებული და დაცული უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ რეალობაში უამრავი მწვავე და მოუგვარებელი პრობლემა არსებობს, მთავარი აქცენტი მაინც მომავალი თაობის სწორ აღზრდაზე უნდა გაკეთდეს, რადგან მათკენ მიპყრობილი მომავლის მზერა სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება, სადაც ამდენი მიუსაფარი და ობოლი ბავშვია?! როდესაც შვილების მიტოვებისა და მშობელთა სისასტიკის ფაქტებმა სისტემატური ხასიათი მიიღეს? მართალია, დღევანდელ ყოფაში დალხენილი არავინაა, მაგრამ მოყვასის გასაჭირი დროებით მაინც საკუთარზე მაღლა უნდა დავაყენოთ და განგაშის ზარები შემოვკრათ ქვეყნის მომავლის დასაცავად.**

სიტყვები ალბათ არაფერს შეცვლის, თუ საკუთარი თვალით არ ნახავ ამ პატარა არსებებს, რომელთა მხრებზეც ასაკისათვის შეუფერებელი განცდებისა და ტკივილის ტვირთია, სანამ თვალებში არ ჩახედავ და ბავშვური ოინების მიღმა მოლოდინის მწარე სევდას არ შეიგრძნობ... ერთადერთი, რისი გაკეთებაც ჩვენ ამ ბავშვებისათვის შეგვიძლია, მათი ხმის მიწვდენაა მთავრობისა ან იმ კეთილი ადამიანებისადმი, რომლებიც არსებულ ყოფას ცოტათი მაინც გაულამაზებენ, თუნდაც მშობლებისადმი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომის გამოსწორებისა და მეორე შანსის საშუალება ეძლევათ.

მდგომარეობის უკეთ შესასწავლად დიღმის №1 საბავშვო სახლისა და მის დირექტორს ვეწვიეთ. პროფესიით მხატვარი ნინო ყანდარელი სამხატვრო აკადემიასა და კულტურის უნივერსიტეტში მოღვაწეობის შემდეგ, საბავშვო სახლის ახალი ხელმძღვანელია. აქამდე ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია, თუმცა ნორჩ აღსაზრდელებს ადვილად შეეწყო და დაუმეგობრდა კიდეც. ამჟამად მის დაქვემდებარებაში 6-დან 16 წლამდე ასაკის 63 ბავშვია. თითქმის ყველა მათგანი აქ საკუთარმა მშობლებმა „გაამწესეს“. მათთვის შეძლებისდაგვარად ოჯახური გარემოს შექმნას 15 აღმზრდელი და 2 ფსიქოლოგი ცდილობს. ბავშვები ახლომდებარე 147-ე საშუალო სკოლაში სწავლობენ, დადიან ფეხბურთზე, ცურვაზე, მათემატიკის, ხატვის, სიმღერისა და მუსიკის წრეებზე.

საბავშვო სახლის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ხდება. წელს მისი რაოდენობა 175300 ლარია. ბავშვების კვებისა და შემოსვის პრობლემაც სწორედ ამ თანხის მეშვეობით გვარდება. კვება კი 3-ჯერადია, რომელსაც სადამოს სამხარი ასრულებს.

ყოფითი პრობლემებიც, დირექტორის განცხადებით, ნელ-ნელა გვარდება. განათლების სამინისტრომ მათ ახალი კორპუსი გამოუყო, სადაც ძველი წერტილებისა და სამზარეულოს მოწყობა ხდება. სახელმწიფოს გარდა, ბავშვებს ხანდახან სპონსორებიც ეხმარებიან. სათავსოებისათვის განკუთვნილი შენობის გადახურვას ამჟამად „კანარგო“ აწარმოებს. რამდენიმე დღის წინ პატარები ტელეკომპანია „იმედის“ და გადაცემა „ვაკაჭი News“-ის თანამშრომლებმაც მოინახულეს და საბავშვო ფილმების კასეტები უსახსოვრეს. ფეხბურთის ბურთებით კი ნორჩ სპორტსმენებს ცნობილი ფეხბურთელები „ამარაგებენ“.





პატარ-პატარა „გამონათების“ გარდა, ძირეული რეფორმა საბავშვო სახლს ჯერ არ შეხებია. „ამას დრო და გაცილებით მეტი სახსრები სჭირდება“, – განმარტავს ნინო ყანდარელი.

– მაგრამ, სად მიდიან ბავშვები 16 წლის მერე? – ვკითხეთ დირექტორს.

ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ, ბავშვებს სურვილის მიხედვით, კოლეჯში ჩაბარებაში, სამსახურის პოვნასა და ბინის დაქირავებაში ეხმარებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი მშობლებთან ბრუნდება.

გასულ ზაფხულს ერთმა გოგონამ დიდი მონდომებისა და სიბეჯითის წყალობით თეატრალურ ინსტიტუტშიც ჩააბარა.

დირექტორთან საუბრის შემდეგ, ინტერესით მომზირალი თვალები შევნიშნე, თუმცა ამ სახლის ვერც ერთ პატარა ბინადართან გასაუბრება ვერ გავბედე, მათ ხომ მარტოობის მოუშუშებელი ჭრილობიდან ჯერ კიდევ სისხლი სდით, ამიტომაც იარის „გაღიზიანებას“ მოვერიდე. მათ მაგივრად კი კომენტარის გაკეთება ერთ-ერთ ახალგაზრდა აღმზრდელს – ნუცა ყიფიანს ვთხოვე.

„აქ ნოემბრიდან ვმუშაობ. ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ ბავშვები 7-დან 11 წლის ჩათვლით არიან. მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ვისურვებდი ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კავშირი და მეტი მეგობრობა ჰქონოდეთ“.

ნუცა შეძლებისდაგვარად ცდილობს აღსაზრდელებს მშობლიური მზრუნველობა არ მოაკლოს და ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს სიმარტოვის განცდა. ამ ბავშვებს ხომ მშობლები იშვიათად აკითხავენ. არც შვილობილობის მსურველები „ამტვრევენ კარებს“. ბოლო პერიოდის მანძილზე ასეთი მხოლოდ 1 შემთხვევა იყო. შვილობილობის შემთხვევაში, ბიოლოგიურ მშობლებს ბავშვების კვების საფასურად თვეში 60 ლარს უხდიან, ხოლო სხვა შემთხვევაში ამ თანხას „ხელფასის“ სახით 40 ლარი ემატება.

ბავშვის შენახვის ხარჯები თვეში 100 ლარს ბევრად აღემატება. შესაძლოა, ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ისედაც გაჭირვებულ მასას არა თუ აყვანილი ბავშვის, საკუთარი თავის შენახვაც კი საკმაოდ უჭირს, მაგრამ მათ გარდა შეძლებული ოჯახებიც ხომ არსებობენ, რომლებისთვისაც ეს, ერთი შეხედვით, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა დევიზი „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირია“.

საბავშვო სახლში ყოფნის მანძილზე ჩემს სიახლოვეს ერთი პატარა, ექვსიოდე წლის გოგონას არსებობას ვგრძნობდი. კარს უკან ამოფარებული პატარას მრგვალი სახე, „ეშმაკური“ ღიმილი და დიდი, ამოუცნობი თვალები ახლაც წინ მიდგას. მათ სიღრმეში რაღაც უხილავი სევდა და ბავშვური, უმწიკვლო იმედი ერთდროულად ბუდობდა. გოგონას „ცელქი მზერა“ ჩემს ყოველ სიტყვასა და მოძრაობას იჭერდა. იქნებ, მოულოდნელ სტუმარში იგი „ახალ დედას“ ეძებდა და მოთმინებით ელოდა მის წასაყვანად გაწვდილ ალერსიან ხელს...

**ნინო ბერძნიშვილი.**

**სურათებზე: ასე მეცადინეობენ, ასე ერთობიან საბავშვო სახლში.**
**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

ეკონომიკის სიახლე სწავლებაში

# საფუძველი – „დოვლათის“ შექმნა

საქართველოს ზოგიერთ სკოლაში, ორი წელიწადია, რაც საგანი „ეკონომიკა“ ისწავლება. მოსწავლეებს საშუალება აქვთ დაეუფლონ ეკონომიკის საფუძვლებს. ამ სიახლის აუცილებლობა თვით ცხოვრებამ მოიტანა და მოსწავლეთა ეკონომიკური განათლება დღის წესრიგში დააყენა. ასე რომ, სკოლის კურსდამთავრებულები ეკონომიკურ ინსტიტუტებსა და ფაკულტეტებზე სწავლას გაუთვითცნობიერებლად, მექანიკურად, ან სხვისი რჩევით, არ დაიწყებენ და მომავალ სპეციალობაზე წარმოდგენა ექნებათ. ამ საქმეს საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი უძღვება. ცენტრმა ამერიკის შეერთებული შტატების განათლების ეროვნული საბჭოს დაფინანსებით ეკონომიკაში პირველი სრულიად საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა ჩაატარა. იგი სამ ეტაპად გაიმართა. პირველი და მეორე ეტაპები სკოლებსა და განათლების განყოფილებების ბაზაზე ჩატარდა, რომელშიც საქართველოს 195 სკოლის 1200 მოსწავლე მონაწილეობდა, იმ სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, სადაც საგანი „ეკონომიკა“ ისწავლება, ხოლო მესამე ეტაპში მონაწილეობის უფლება 168 მოსწავლიდან 43 მიეცა.

ფინალური ეტაპის მონაწილენი – თამარ ჯინჭველაძე, ზვიად ჩიქოვანი, გვანცა ხოჯავა, შოთიკო კაკულია, სალომე იზორია, ირინა ჯავახიშვილი, თამარ გოგორელიანი, ლიკა ქვათაძე, ფიქრია ჯღარკავა, თამარ შუდრა და სხვები – სულ 43 მოსწავლე (მათთან ჩამოჰყვათ განათლების განყოფილებების მუშაკები ზუგდიდიდან, რუსთავიდან, ხაშურიდან, ზესტაფონიდან, ქუთაისიდან, ამბროლაურიდან, ახალციხიდან) მიუჯდა მერხს სასტუმრო „საქართველოს“ დიდ დარბაზში. ტესტებზე სამუშაოდ ოლიმპიადის მონაწილეებს დრო ორი საათი ჰქონდათ მიცემული, მათ 5 კითხვისთვის უნდა გაეცათ გააზრებული პასუხი.

სრულიად საქართველოს პირველი სასკოლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგებს განსჯიდნენ ჟიურის წევრები – საქართველოში ამერიკის საელჩოს პოლიტიკურ ეკონომიკური განყოფილების ოფიცერი ლორენ კაპიტონი, საქართველოში მშვიდობის კორპუსის (Peace Corps) ადმინისტრაციული განყოფილების ოფიცერი ადამ ქაგელსკი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თემურ სამადაშვილი, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე პროფესორი ეთერ ხარაიშვილი და თბილისის 54-ე სკოლის ეკონომიკის მასწავლებელი ლუიზა ხალაძე. ფინალის მონაწილე მოსწავლეებთან მუშაობდნენ საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ გიორგაძე და თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი NCEE-ის პროგრამის კურსდამთავრებული მარინა ნაცვალაძე.

ეკონომიკაში პირველი ოლიმპიადის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა ქების სიგელებითა და კარლო ღურწკაიას მიერ ქართულად თარგმნილი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ჩემბელ მაკონელის წიგნით „ეკონომიკსი“ ფინალის მონაწილე 43 მოსწავლიდან სამმა მოსწავლემ პრიზი დაიმსახურა. პირველ ადგილზე სკოლა „მთიების“ მოსწავლე ერეკლე დურმუხტაშვილი გავიდა. იგი კომპიუტერით დაჯილდოვდა, ხოლო მე-2 და მე-3 ადგილებზე გასულებს ნინო დოღონაძესა და გელა გოგიჩაიშვილს ფერადი ტელევიზორები გადაეცათ. ერეკლე დურმუხტაშვილს საქართველოში მოქმედ საზოგადოება „ჯუნიორ ეჩივმენტის“ ხელმძღვანელმა ეკა გეგეშიძემ კომპაქტური თამაშის სახელმძღვანელო „წარმატების მოპოვების უნარ-ჩვევები“ გადასცა.

ეკონომიკაში სრულიად საქართველოს სასკოლო პირველი ოლიმპიადა შეაჯამა საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის დირექტორმა **ნინო ტალახაძემ**:

– „ეკონომიკაში პირველი ოლიმპიადის, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერითა და ამერიკის განათლების ეროვნული საბჭოს დაფინანსებით გაიმართა, მიზანი იყო მოსწავლეებში ეკონომიკური განათლების პროპაგანდა. მასში X-XI კლასის მოსწავლეები იმ სკოლებიდან მონაწილეობდნენ, სადაც საგანი „ეკონომიკა“ ისწავლება. ოლიმპიადის ტესტები და ამოცანები ქართულ ენაზე საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მომზადდა. (პროექტის ავტორები არიან შორენა მაღლაფერიძე და მარინე ნაცვალაძე). კარგ იდეას, კარგი დასაწყისი მიეცა, ამით მოხდა ბეჯით მოსწავლეთა გამოვლენა და წახალისებაც, რომლებსაც ეკონომიკა აინტერესებთ. ოლიმპიადის პროგრამაში შედიოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა „ეკონომიკა ადამიანის საქმიანობის შესახებ“. „ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება“, „ეკონომიკური სისტემები“, „ფული“, „მეწარმე და მეწარმეობა“, „შრომა და შრომის ბაზარი“, „სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები“, „საოჯახო ეკონომიკა“ და ა. შ.

კონკურსი კოდირებული ჩატარდა, რამაც გამარჯვებულის სუბიექტური არჩევა გამორიცხა. ოლიმპიადამ ისიც გამოავლინა, რომ ბევრ სკოლაში საგნის „ეკონომიკის“ სწავლების დონე ძალზე დაბალია. იმედი გვაქვს ჩვენი ორგანიზაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს (NCEE) ერთობლივი მოღვაწეობით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ყველაფერი გაკეთდება მოსწავლეებში ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. არადა დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საზოგადოებრივი ინსტიტუტები ეფექტურად მაშინ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, როდესაც ამ ქვეყნის მოქალაქეები ეკონომიკაში კარგად ერკვევიან, ამიტომ სკოლების სასწავლო გეგმის ბადეში ეკონომიკას მეტი დრო უნდა დაეთმოს. სკოლის შემდეგ ახალგაზრდის წინაშე ცხოვრების ახალი ფურცლები გადაიშლება... მართალია, საბაზრო ეკონომიკა რთულია, მაგრამ საინტერესოა; წამოჭრილ მრავალ კითხვაზე პასუხის გაცემას მშობლები ვერ შეძლებენ, ძირითადად მოსწავლეებს პასუხი ეკონომიკის წიგნმა უნდა გასცეს, მან ეკონომიკა სკოლის წლებიდან უნდა ისწავლოს“.

...ქვეყანა იცვლის თავის ცხოვრების წესს. კომანდური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ხდება, ამიტომ აუცილებელია ახალგაზრდა სკოლის წლებიდან გაეცნოს საბაზრო ეკონომიკის არსს, მის თეორიას და შემდეგ პრაქტიკაში ეცადოს მისი განხორციელების გზების მოძებნას, ეკონომიკის მეცნიერების საფუძველს ხომ „დოვლათის“ შექმნა წარმოადგენს და ეს „დოვლათი“ საზოგადოების არსებობის საფუძველია. მოცემული საზოგადოებრივი წყობილების წარმოებითი ურთიერთობანი ხომ უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარებას, მას კი ეკონომიკა ქმნის, ქმნის ერთიან სისტემას, რაშიც მთავარი და განმსაზღვრელი წარმოების საშუალებებთან უშუალოდ მწარმოებლების დამოკიდებულების ხასიათია. ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური განათლების კადრების მომზადებას ეკონომიკური განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ახალგაზრდები ეკონომიკას სკოლის წლებიდან უნდა გაეცნონ.

**ნათელა ფაილოძე.**
**ხავარ ლომაძის ფოტო.**





ადამიანი დროში

# მან ყველაფერი მოასწრო

**ნაპოლეონ ქარქაშაძე ქვეყანაში ცნობილი ადამიანია, რომელმაც სამეცნიერო საქმიანობის ბრწყინვალე გზა განვლო [illegible]**

ამ დღეებში ბატონ ნაპოლეონს 70 წელი შეუსრულდა. [illegible]



[illegible] ერთპატივისცემის, მამულის და საქმის სიყვარული.

***— თქვენი თაობა 1956 წლის მარტის მოვლენების მონაწილეა, რას გაიხსენებდით ამ პერიოდიდან?***

— პიონერიც ვიყავი, კომკავშირელიც, კომკავშირის კომიტეტის მდივანიც და ა.შ. როდესაც თავდადება გახდა საჭირო, კომკავშირელობას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, რათა ჩვენი სიტყვა გვეთქვა, ჩვენი ღირსება და პატივი დაგვეცვა. სტალინის აღვირახსნილი კრიტიკა ქართველი ხალხის ღირსებისა და პატივის შელახვად მივიჩნიეთ, სტალინის სახელი მხოლოდ საბაბი იყო იმ პროტესტისა, რომლითაც მაშინდელი თაობა იმპერიას დაუპირისპირდა. მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან დაიწყო, რომელიც დღევანდელ მე-9 საავადმყოფოს კორპუსში იყო განლაგებული. გზაში შემოგვიერთდნენ ზოოვეტელები, პედინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შემდეგ მთლიანად მთელი საქართველო. სხვათა შორის, მაშინდელ ჩვენს მოძრაობას თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორი შეეწირა, დარტყმა მათ აიღეს თავის თავზე, სტუდენტობა არ გაწირეს. ეს მაგალითიც ჩამრჩა მეხსიერებაში და როდესაც ქ. სოხუმში სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტებმა შიმშილობა გამოაცხადეს და კ. გამსახურდიას სახელობის თეატრის საფეხურზე დასხდნენ, ბევრის გასაკვირად, მეც მათთან დავჯექი.

მაშინდელი სტუდენტობა აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. მასობრივი იყო საზაფხულო სამუშაოები, ძეგლების აღდგენა, იმართებოდა შეჯიბრებები ინსტიტუტებს შორის, ხშირი იყო მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივების გასვლა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. სასოფლოს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "გორდამ" კი თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. მე ყოველივე ამის მონაწილე და ხშირად ორგანიზატორიც ვიყავი, ამიტომ ძალიან მეადვილებოდა სტუდენტებთან მუშაობა, ამის შედეგიცაა ალბათ ის, რომ 30 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი უმაღლეს სასწავლებლებს.

***— თქვენ საკმაოდ ახალგაზრდა იყავით, როდესაც სოხუმში დაგნიშნეს რექტორად. აქ კი მართლაც ბევრი რამ გაქვს გასახსენებელი. თქვენი იქ მოღვაწეობა ხომ მარტო რექტორობა არ იყო... მახსოვს 1989 წელი, როდესაც*** [illegible]

— სოხუმში 1975 წელს ჩავედი და ძალიან მალე მივხვდი, რომ იქ მარტო რექტორი არ უნდა ვყოფილიყავი. მალე დავრწმუნდი იმაშიც, რომ აფხაზეთში ქართული ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ და საერთოდ ქართულ-აფხაზური ინტელიგენცია კარგ ტანდემს ქმნიდა. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით მათთან და იგივეს ვგრძნობდით მათი მხრიდანაც. პირველმა სტუმრობამ აფხაზურ ოჯახში მომიწია და ეს გახლდათ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სახალხო პოეტის ბაგრატ შინკუბას ოჯახი. მან თავის სახლში მოუყარა თავი აფხაზეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. ძალიან გულთბილი და შთამბეჭდავი იყო ეს შეხვედრა.

ძალიან მალე გავაცნობიერე, რომ არსებობდა აფხაზური საზოგადოების აგრესიული ნაწილიც, რომლებიც შეურიგებლები იყვნენ, არა მარტო ქართველების, არამედ ყოველგვარი ქართულის მიმართ. ისინი ამას არც მალავდნენ (სხვათა შორის სამჯერ დამესხნენ თავს, მართლაც უფალმა მიხსნა).

დავრწმუნდი იმაშიც, რომ თბილისს აფხაზებთან ურთიერთობის არავითარი პროგრამა არ ჰქონდა და ეს საქმე თვითდინებაზე იყო მიშვებული. ე.ი. ჩვენ თვითონ, იქაურ ქართველებს უნდა გამოგვეკვეთა ჩვენი პოზიციები და დაგვეცვა იგი, ეს კი არ იყო იოლი საქმე, ვინაიდან ცენტრის დამთმობი პოზიციის გამო ბევრჯერ აღმოვჩნდით წაგებულ მდგომარეობაში.

მახსოვს, როდესაც აფხაზებმა 1978 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ ბევრი შეღავათი მიიღეს, მათ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სახელწოდების გადარქმევაც მოინდომეს, რასაც სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე და რომ არა მაშინდელი ცკ-ის მდივნის, უმშვენიერესი ქალბატონის ვიქტორია სირაძის გამოსარჩლება, ალბათ ჩემი კარიერაც დამთავრდებოდა. და არა მარტო კარიერა.

***— თქვენ ძალიან პოპულარული ქართველი იყავით აფხაზეთში, მეგობრობდით ბორის ადლეიბასთან და სხვებთან, თითქმის ყველა საკადრო საკითხს გითანხმებდნენ, დღევანდელი პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში და სხვებიც თქვენი სტუდენტები იყვნენ. რატომ არა ხართ ჩართული ქართულ-აფხაზურ დიალოგებში?***

— იმ პერიოდში მართლაც გარკვეული ავტორიტეტი [illegible] შამბამ და სხვებმა. სერგეი ბაღაფში ძალიან ზრდილი ახალგაზრდა იყო, კალათბურთელი, მაშინ ინსტიტუტის ღირსებას ერთად იცავდნენ აფხაზები და ქართველები. სხვათა შორის, ბორის ადლეიბას თხოვნით, ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად იგი ჩემი რეკომენდაციით აირჩიეს. თბილისში გადმოსვლის შემდეგ რატომღაც გამომთიშეს აფხაზეთის პრობლემებიდან, ყველაფერი ხელში პარლამენტის აფხაზურმა დეპუტაციამ და აფხაზეთის მთავრობამ აიღო, რატომღაც ყველამ თავი აფხაზეთის ექსპერტად ჩათვალა, ერთხანს ეს თემა პოლიტიკურად მომგებიანი იყო და ბევრი პოლიტიკოსი ამოეფარა კიდეც მას. ახლა, როგორც, ჩანს, ეს თემა აღარაა მომგებიანი, ამიტომაც, იშვიათად ჟღერს ტელეეკრანზე. მე დასაწყისშივე ჩამოვაყალიბე აფხაზეთთან ჩვენი ურთიერთობის სქემა, წერილობით მივწერე კიდეც ამის შესახებ მაშინდელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია ...

***— ვინ დაგვაკარგვინა აფხაზეთი?***

— უპირველესად მხოლოდ ჩვენმა, ქართველების უნიათობამ.

***— დავიბრუნებთ ოდესმე აფხაზეთს?***

— მე ამის იმედი მაქვს.

***— თბილისშიც ძალიან რთულ დროს მოგიწიათ რექტორობამ, იგი დაემთხვა კომუნისტური მმართველობის ბოლო თვეებს, ზვიად გამსახურდიას პერიოდს, სამოქალაქო და აფხაზეთის ომებს. თქვენ მაინც შეძელით 14 წლის განმავლობაში გეკეთებინათ საქმე, შეინარჩუნეთ კოლექტივი, გაიხსნა ახალი სპეციალობები, გადადით სწავლების ახალ მეთოდებზე, დაამყარეთ კავშირები უცხოეთთან და ა.შ.***

— თუ როგორ დამიფასდა ყოველივე ეს, კარგად იცით. თუმცა კაცი იმისათვის არ უნდა შრომობდეს, რომ ვიღაცამ ორდენები ჩამოკიდოს ...მე გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა და ამაში აგრარული უნივერსიტეტის კოლექტივის დიდი დამსახურებაა, იქ მართლაც ჭეშმარიტი მამულიშვილები და მეცნიერები მუშაობენ, თუმცა ამ კოლექტივშიც აღმოჩნდა თითო-ოროლა სულმოკლე, ფუნქციადაკარგული ადამიანი, რომლებიც ყოველივე ამას თურმე შურით უყურებდნენ და როდესაც დრო იხელთეს, ამოხეთქა კიდეც მათმა ბოღმამ...

***— დაახლოებით ვიცი, თქვენი სამეცნიერო კვლევის მიმართულება, ვიცი, რომ კარგად ერკვევით მსოფლიოს სოფლის მეურნეობაში. ელის თუ არა კაცობრიობას შიმშილის საფრთხე?***

— საბჭოთა მეცნიერებამ ერთი სერიოზული შეცდომა დაუშვა: გვიან აღიარა მალთუსის თეორია. კაცობრიობა მართლაც გეომეტრიული პროგრესიით მრავლდება, ამას ემატება ისიც, რომ თანამედროვე მედიცინამ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა მნიშვნელოვნად გაზარდა. მარჩენალი მიწის რაოდენობა კი განსაზღვრულია, ასე ვთქვათ, მოცემულია ერთხელ და სამუდამოდ. დღეს რაციონალური მიწათმოქმედების ეპოქაა, რაც მიწის გონივრულ გამოყენებას გულისხმობს.

ახლახან დავბრუნდი სირიიდან, სადაც ქ. ალეპოში ჩატარდა „იკარდას" გენერალური კონფერენცია. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია თითქმის ყველა საერთაშორისო საფინანსო და კვლევითი დაწესებულება, რომლებიც წელიწადში ერთხელ იკრიბებიან და აჯამებენ შესრულებული სამუშაოების შედეგებს. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება შეშფოთებულია იმით, რომ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალური დათბობის პროცესი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია. ცხადია ეს პროცესი კაცობრიობის დაკანონებულ ცხოვრების წესში ცვლილებებს გამოიწვევს, შეიმჩნევა ნიადაგებში სტრუქტურული ცვლილებები, მოსალოდნელია შეიცვალოს კულტურული მცენარეების გენე- [illegible] ლის მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და გამოიტანს სწორ დასკვნებს, იგი შეძლებს საფრთხის თავიდან აცილებას, საქართველოც კაცობრიობის ნაწილია და მანაც თავისი წილი ტვირთი უნდა ზიდოს.

***— ამ ბოლო დროს ინტენსიურად მიმდინარეობს აკადემიების და საერთოდ კვლევების რეორგანიზაციის პროცესი. თქვენი შეფასება!***

— საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია. ის, რასაც დღეს მეცნიერების რეფორმას უწოდებენ – მოუფიქრებელი და გაუაზრებელი პროცესია, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ მექანიკურ ცვლილებებს. მეცნიერება, თავისი სტრუქტურებით, ასე თუ ისე, ასრულებდა თავის მოვალეობას, ხელისუფლებას ეს საკითხი შედარებით გვიან უნდა განეხილა, როდესაც ქვეყანაში ხელსაყრელი ეკონომიკური ფონი შეიქმნებოდა, დღეს ამ სისტემის დანგრევა ძალიან ძვირად დაუჯდება ქვეყანას და როდესაც დადგება მეცნიერების აღორძინების აუცილებლობა (და იგი უეჭველად დადგება) ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება მისი ხელახალი აღორძინება. სამწუხაროა, რომ ეს პროცესი გასაიდუმლოებულია და მეცნიერებს თითქმის არაფერს გვეკითხებიან.

***— ვიცი, რომ არ გიყვართ თქვენს დაკავებასთან დაკავშირებით ლაპარაკი, მაგრამ მაინც იქნებ ორიოდე სიტყვით...***

— დღევანდელ ვითარებაში ძნელად იპოვი ხელმძღვანელს, რომელსაც არ მიესადაგოს (თუ ვინმეს ამისი სურვილი აქვს) სამსახურებრივი გულგრილობა, გადაცდომა, თუნდაც ბოროტად გამოყენება. ეს ის მუხლებია, რომლითაც შეიძლება ნებისმიერი კაცი დააკავო. აგრარულ უნივერსიტეტში, იმ დანგრეულ და გაუბედურებულ პერიოდში ჩემს 14-წლიან მოღვაწეობაშიც ცხადია იყო გადაცდომების რაღაც ელემენტები, რამაც 4 თვე მამყოფა იქ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი. ახლა ყველაფერი გაირკვა და მე დავუბრუნდი ჩემს საქმეს და თანამდებობას.

***— თავიდან რომ დაგეწყოთ, შეცვლიდით თუ არა რამეს თქვენს ცხოვრებაში?***

— არა, მეამაყება ჩემი განვლილი გზა, რომ მყავდა ღირსეული მეუღლე სულიკო როგავა, მყავს შესანიშნავი ქალიშვილი ქეთინო, მყავს ულამაზესი შვილიშვილები, მყავს კარგი მეგობრები, ვემსახურები ჩემს საყვარელ საქმეს, ვცხოვრობ ყველაზე ლამაზ ქვეყანაში. თუმცა ტკივილიც ყოფილა, ღალატიც, ამაგის დაუფასებლობაც, ზოგიერთის მიერ ჩემი მდგომარეობის სათავისოდ გამოყენება და ა.შ. მაგრამ ეს დეტალებია, რომლებიც ჩემს მიერ განვლილ გზას ვერ გააფასურებს.

**ბატონმა ნაპოლეონმა ამ დღეებში უამრავი მილოცვა მიიღო მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერებისაგან. მან არ თქვა, რომ იგი დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებაში სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. არც ის, რომ რუსეთის სოფლის მეურნეობის (ადრე „ვასხნილი") აკადემიის ნამდვილი წევრიცაა, არჩეულია სან-ფრანცისკოს და სხვა საერთაშორისო აკადემიების წევრად, აიოვასა და სხვა უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად და პროფესორად, მიღებული აქვს საბერძნეთის მეცნიერთა ასოციაციის დიდი ოქროს მედალი, არის 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და პოპულარული პოლიტიკური რომანების „სტალინის", „ხრუშჩოვის", „ბრეჟნევის" ავტორი. („სტალინი" 2002 წელს გამოვიდა მოსკოვში რუსულ ენაზე და ათ საუკეთესო პოლიტიკურ ნაწარმოებში მე-4 ადგილი დაიკავა. სწორედ ამიტომაა, რომ ამჟამად მისი თარგმნა მიმდინარეობს ლონდონში ინგლისურ ენაზე). არც ისა თქვა, რომ ალეპოში იგი „იკარდას" საერთაშორისო ორგანიზაციის თანათავმჯდომარედ აირჩიეს ...**

**ალეკო ასლანიშვილი.**



# შრედერს ვადამდელი არჩევნების გამართვა სურს

**გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა განაცხადა, რომ აპირებს გამართოს ვადამდელი საყოველთაო არჩევნები მიმდინარე წლის შემოდგომაზე – დადგენილ ვადაზე ერთი წლით ადრე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა იმან, რომ შრედერის პარტიამ განიცადა მორიგი დამარცხება.**

„ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში ჩემი პარტიის დამარცხებამ დაბადა ეჭვი იმის თაობაზე, აქვს თუ არა პოლიტიკური მხარდაჭერა ჩვენს მიერ განხორციელებულ რეფორმებს", – თქვა კანცლერმა.

არჩევნები გერმანიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის პროვინციაში სრული კრახით დასრულდა შრედერის სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის, რომელიც 39 წლის განმავლობაში აკონტროლებდა ადგილობრივ პარლამენტს.

პირველი მონაცემები გვიჩვენებს, რომ სოციალ-დემოკრატებმა მოაგროვეს ამომრჩეველთა ხმების 37,5 პროცენტი, მაშინ, როცა ოპოზიციაში მყოფ ქრისტიან-დემოკრატებს მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 45 პროცენტმა.

შრედერი და პარტიის თავმჯდომარე ფრანც მიუნტეფერინგი აცხადებენ, რომ არჩევნების მიმდინარე წლის შემოდგომაზე დანიშვნის ინიციატივით, ისინი მიმართავენ ქვეყნის პრეზიდენტს და პარლამენტს.

საქმე ის არის, რომ რეგიონებში გამართულ არჩევნებზე სოციალ-დემოკრატების მიერ განცდილმა მარცხმა კიდევ უფრო გააღრმავა დისბალანსი ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის – პარლამენტების ქვედა და ზედა პალატების პარტიულ პალიტრაში.

ბუნდესტაგი ყალიბდება საყოველთაო არჩევნების მიმდინარეობისას, ბუნდესრატში კი ადგილები ნაწილდება რეგიონულ დონეზე გამართული არჩევნების შედეგების გათვალისწინებით. მაგრამ ჯერჯერობით ოპოზიციას ბუნდესრატში არ გააჩნია ხმათა აუცილებელი ორი მესამედი იმისთვის, რომ განახორციელოს მთავრობის ყველა ინიციატივის ბლოკირება.

„ვფიქრობთ, რომ ახლა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში ქრისტიანი დემოკრატების გამარჯვების შემდეგ, ვითარება პარლამენტის ზედა პალატაში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება, და ზედა და ქვედა პალატების ურთიერთობაში წარმოქმნილი ჩიხური სიტუაცია როგორღაც უნდა მოვაგვაროთ", – განაცხადა ფრანც ნიუნტეფერინგმა.

2002 წელს გერმანიაში გამართულ ბოლო საყოველთაო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გერჰარდ შრედერმა დიდი გაჭირვებით შეძლო კანცლერის პოსტის შენარჩუნება.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია 1966 წლიდან ხლმძღვანელობდა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეს, რურის ველის დასავლეთ რეგიონს, რომელიც გამოირჩევა მაღალი ინდუსტრიული განვითარებით. იქ 18,1 მილიონი კაცი ცხოვრობს. მაგრამ უმუშევრობის ზრდამ და ბერლინის მთავრობის კურსმა, რომელიც ითვალისწინებს სოციალური გადასახდელების შემცირებას, ამომრჩეველთა სიმპათიები დაუკარგა მმართველ პარტიას. ამის შედეგად სოციალ-დემოკრატებმა გერმანიის სხვა მხარეებშიც განიცადეს დამარცხება. მიმდინარე წლის დამდეგს მათ დაკარგეს ხელისუფლება შლეზვიგ-ჰოლშტაინის ჩრდილოეთ პროვინციაშიც.

# ბი-ბი-სის თანამშრომლები გაიფიცნენ

**ბი-ბი-სის ჟურნალისტები და ტექნიკური პერსონალი აწყობს 24-საათიან საპროტესტო გაფიცვას. ისინი ასეთი გზით აცხადებენ პროტესტს კორპორაციაში შტატების შემცირების გამო.**

გაფიცვამ შეფერხებები გამოიწვია კომპანიის სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ სამსახურების მუშაობაში.

ისინი აცხადებენ პროტესტს რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნებული ხელმძღვანელობის გეგმების წინააღმდეგ, რომელთა თანახმადაც უნდა შეამცირონ 3780 თანამშრომელი და განხორციელდეს კორპორაციის ზოგიერთი ნაწილის პრივატიზაცია.

პროფკავშირების მტკიცებით, ასეთი ნაბიჯი კორპორაციას მიაყენებს უმძიმეს დარტყმას. ბი-ბი-სის ხელმძღვანელობა კი დაჟინებით აცხადებს, რომ ამის გაკეთება აუცილებელია და ასეთი ღონისძიების განხორციელებით შესაძლებელი იქნება მეტი სახსრების დაბანდება პროგრამებში.

გაფიცვაში მონაწილეობს ბი-ბი-სისთან დაკავშირებული სამი პროფკავშირი, მათ შორის, ჟურნალისტთა ეროვნული პროფკავშირიც.

კორპორაციის ხელმძღვანელობამ გამოთქვა გულისტკივილი პროფკავშირების ასეთი გადაწყვეტილების გამო და განაცხადა, რომ ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ გაფიცვამ, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენოს პროგრამების ხარისხს.

გაფიცვის მომდევნო ეტაპი დანიშნულია 31 მაისისთვის. ჟურნალისტები უკვე 48-საათიანი გაფიცვის გამოცხადებას აპირებენ.

პროფკავშირებს იმედი აქვთ, გაფიცვაში ბი-ბი-სის 27 ათასი თანამშრომლიდან სულ ცოტა 11 ათასი მაინც მიიღებს მონაწილეობას. ჟურნალისტთა ეროვნული პროფკავშირი ამტკიცებს, რომ მის რიგებში შევიდა 2 ათასი ახალი წევრი მას შემდეგ, რაც მარტში კორპორაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა მომავალი შემცირებების შესახებ.

გაფიცვის შედეგად, ყველაზე მეტად დაზარალდებიან ის პროგრამები, რომლებიც გადაიცემა პირდაპირი ეთერით, განსაკუთრებით – ახალი ამბების გამოშვებები, რომელთა მომზადება წინასწარ შეუძლებელია.




# დელის ორ კინოთეატრში ბომბები აფეთქდა

**აფეთქებების შედეგად დაიღუპა ერთი და დაშავდა 50-მდე ადამიანი. პოლიციას ჯერჯერობით ვერ დაუდგენია, თუ ვინ უნდა იყოს ამ აფეთქებების ორგანიზატორი, მაგრამ ორივე ტერორისტული აქტი მოხდა მაშინ, როცა კინოთეატრებში უჩვენებდნენ ფილმს „კურთხეულია ის, ვინც უფალს ევედრება", რომელსაც გმობენ ინდოეთის სიქხთა თემის წარმომადგენლები.**

აფეთქებები მოხდა 15-წუთიანი ინტერვალით ინდოეთის დედაქალაქის დასავლეთ ნაწილში, კაროლ ბაგჰის ხალხმრავალ სავაჭრო რაიონში.

აფეთქებების შემდეგ ორივე კინოთეატრის შენობებს პოლიციელებმა შემოარტყეს ალყა, ქალაქის სხვა კინოთეატრებიდან კი სასწრაფოდ გამოიყვანეს მაყურებლები. გარდა ამისა, ამ ფილმის ჩვენება გადაიდო დელის გარეუბნების კინოთეატრებშიც.

„კურთხეულია ის, ვინც უფალს ევედრება" სიქხთა რელიგიის წმინდა მოწოდებაა, რომელსაც ჩვეულებრივ, წარმოთქვამენ ტაძრებში ან ბრძოლის ველზე. ამავე სახელწოდების ფილმის მთავარი გმირი არის ეროვნებით სიქხი პოლიციელი, რომელიც სდევნის დამნაშავეს.

სიქხთა ორგანიზაციებმა, მათ შორის, სიქხიზმის უზენაესმა ორგანომაც დაგმეს ფილმი მის სათაურში ამ წმინდა მოწოდების გამოყენების, აგრეთვე, იმის გამო, რომ სურათში არის სცენები, როცა ადამიანები სიქხთა ტაძრებში შედიან ფეხსაცმლის გაუხდელად და თავსაბურავის გარეშე, რისთვისაც, ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში მთავარ გმირს გამოედევნენ ნახევრად შიშველი ქალები.

ფილმის ჩვენება ინდოეთის პენჯაბის შტატში, რომელშიც, ძირითადად, სიქხები სახლობენ, ასეთი საპროტესტო გამოსვლების გამო გადაიდო. სიქხიზმი დასაბამს იღებს XV საუკუნიდან, მას მისდევს დაახლოებით 20 მილიონი კაცი, რომელთა უმრავლესობაც ინდოეთში ცხოვრობს.



# ანტიოქსიდანტები – დღეგრძელობის საწინდარია?

**ადამიანის ორგანიზმში ანტიოქსიდანტების შემცველობის გაზრდას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდებისთვის, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს.**

მათი მონაცემებით, თაგვები, რომელთა ორგანიზმშიც გამოიწვიეს ანტიოქსიდანტური ფერმენტების გამომუშავების გადიდება, თავიანთ „თანამოძმეებთან" შედარებით 20 პროცენტით მეტს ცოცხლობენ და ნაკლებად ავადდებოდნენ გულის სნეულებებით და ორგანიზმის დაბერების შედეგად გამოწვეული დაავადებებით.

თუ ყოველივე ეს მისაღები იქნება ადამიანის ორგანიზმისთვისაც, მაშინ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 100 წელზე მეტი იქნება.

ამერიკის შეერთებული შტატების ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევები ადასტურებს ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ ჟანგბადის მაღალაქტიური მოლეკულები, რომლებსაც სხვაგვარად თავისუფალ რადიკალებსაც უწოდებენ, იწვევს სიბერეს. მათ უკავშირდება გულის დაავადებების, კიბოსა და ასაკთან დაკავშირებული სხვა სნეულებების წარმოქმნა.

მეცნიერებმა თაგვებზე განახორციელეს ცდები, და ამ მღრღნელების ორგანიზმში გამოიწვიეს კატალაზის ფერმენტის გამომუშავების გადიდება. იგი მოქმედებს როგორც ანტიოქსიდანტი და ორგანიზმიდან გამოაქვს წყალბადის ზეჟანგის საშიში ელემენტი, რომელიც არის მეტაბოლიზმის პროდუქტი და თავისუფალი რადიკალების წყარო.

თავისუფალი რადიკალების მოქმედება აფერხებს ქიმიურ პროცესებს უჯრედებში, და როგორც ყოველივე ამის შედეგი, იწვევს დამატებითი თავისუფალი რადიკალების გამომუშავებას. იქმნება თავისებური მანკიერი წრე.

მეცნიერთა დასკვნები შესაძლოა დაედოს საფუძვლად ახალი პრეპარატების ან მკურნალობის ისეთი მეთოდების გამოგონებას, რომლებიც დაიცავენ ორგანიზმს [illegible]

## განცხადება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ

### პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი, კრედიტი №3702-GE

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,** პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს ქუთაისის პერინატალური ცენტრისთვის განკუთვნილი ფართის ნაწილის (დაახ. 1,840 $m^2$) რეაბილიტაციისათვის საჭირო **არქიტექტურული დიზაინის შესამუშავებლად და საავტორო ზედამხედველობის სამუშაოების განსახორციელებლად.** ქუთაისის პერინატალური ცენტრი განლაგებულია ქუთაისის დედათა და ბავშვთა რეგიონალური სადიაგნოსტიკო ცენტრის შენობაში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №85. პროექტის მიზანია, ქუთაისის პერინატალური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია შემდეგი სამედიცინო მომსახურების განსათავსებლად: მაღალი რისკის ფეხმძიმობა, ნეონატალოგია, ნეონატალური ინტენსიური მკურნალობა და ნეონატალური ქირურგია.

**არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:**

- შეიმუშაოს არქიტექტურული მონახაზი;
- შეიმუშაოს საბოლოო არქიტექტურული დიზაინი (პროექტი);
- მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, საინჟინრო სპეციალური სამუშაოების ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.
- სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ობიექტის აღჭურვისა და დაკომპლექტების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა სტანდარტებთან და პროექტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- წარმოადგინოს რეგულარული ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**შენიშვნა: ფირმამ უნდა მოამზადოს ყველა ნახაზი არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad/autoCad-ში) და ყოველთვიურად წარმოადგინოს ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის წამყვან სპეციალისტებს (არქიტექტორო/ინჟინერი) უნდა გააჩნდეს მინიმუმ 7 წლის სამუშაო გამოცდილება, ხოლო სხვა პერსონალს – მინიმუმ 5 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში.

**სამუშაოების ხანგრძლივობა 10 თვე (რაც მოიცავს: 2 თვეს არქიტექტურული დიზაინის მოსამზადებლად).**

ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: „დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 1997 წლის იანვარი (შესწორება – 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი).

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები, ArchiCad/autoCad-ში შესრულებული მასალები და ა. შ.);
3. **სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე;**
4. ინფორმაცია ფირმის ძირითადი პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა – CV).

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2005 წლის 3 ივნისის 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

**ტელ/ფაქსი: +995 (32) 33-19-34, 33-18-39**

**ელ. ფოსტა: info@hpic.ge**

**საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი.**

მშენებლობა

# რაც უფრო მეტია ფული, მით უფრო საშურია მათი ყაირათიანად ხარჯვა

**მადლობა ღმერთს, დამთავრდა უძრაობის პერიოდი, ძველი ხელისუფლების დანაშაულებრივი უმოქმედობა, საშინელი ქაოსი, რაც ქვეყანაში და მის ეკონომიკაში სუფევდა. ისტორიას ჩაბარდა ქვეყნის ბიუჯეტის სეკვესტრების პერიოდი, როცა ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფდა ბიუჯეტის შესრულებას, რომელსაც თვითონვე ამტკიცებდა.**

ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ არ დაინახოს ის საგრძნობლად გაზრდილი შესაძლებლობები, რაც შექმნა ახალმა მთავრობამ.

პირველად უკანასკნელ ათწლეულში, სახელმწიფო მიერ გათვალისწინებულია ათობით მილიონი ლარი კაპიტალური მშენებლობისათვის. პრიორიტეტულ საკითხთა შორის განისაზღვრა ქვეყანაში საგზაო მეურნეობის განვითარება – ახალი გზების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და რემონტი.

ახლა მთავარია ამ სახსრების პირდაპირი დანიშნულებით და მომჭირნეობით გამოყენება, მთავრობის მიერ დასახული შედეგების რეალიზაცია, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად. სამწუხაროდ, სახელმწიფო სახსრების გამოყენების დადებითი პრაქტიკა ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, უარყოფითი მაგალითები კი, რამდენიც გნებავთ. სახელდობრ: არამიზანდასახული ხარჯვა, სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ გაფორმებული ხელშეკრულებები, ხელოვნურად გაზრდილი ხარჯთაღრიცხვებისა და არაეფექტური პროექტების საფუძველზე, ამ თანხების პირდაპირი მითვისება ცალკეული ჩინოვნიკების მიერ. ყოველივე ეს განპირობებული იყო აღრიცხვის არარსებობით, ან მიზანდასახული დამახინჯებებით, სრული უკონტროლობით და, რაც ალბათ გადამწყვეტია, სამშენებლო დარგში მომუშავეთა პატიოსნების დეფიციტით.

სახელმწიფო მოხელეთა ის კონტინგენტი, რომელიც ვალდებული იყო ებრძოლა ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებათა წინააღმდეგ, უმრავლეს შემთხვევაში თავიდან იცილებდა პასუხისმგებლობას იმ „ძირითადი გამამართლებელი არგუმენტით", რომ ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო საქმიანობის კანონმდებლობა იყო არასრულყოფილი და იგი არ იძლეოდა საშუალებას ამ დარგში დანაშაულებათა ეფექტური ბრძოლის განხორციელებისათვის, რაც არასწორია და მიუღებელია.

აპელირება კანონების არასრულფასოვნებაზე ნაწილობრივ სწორია, რადგან აბსოლუტურად იდეალური კანონები არ არსებობს. კანონმდებლობის სრულყოფა მუდმივი პროცესია და იგი კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ ის კანონები, რომლებიც დარღვევა-დამახინჯების პერიოდში მოქმედებდნენ და დღესაც ძალაშია, აგრეთვე, სამშენებლო საპროექტო საქმიანობაზე კონტროლისა და ზედამხედველობის მაშინდელი და ახლა მოქმედი მექანიზმები, იძლეოდნენ და იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ სამშენებლო საპროექტო საქმიანობაში არ იყოს მასობრივი დარღვევა-დამახინჯებები.

ასე მაგალითად: რატომ და ვის მიერ განხორციელდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტერიტორიაზე (აკადემქალაქი) მასობრივი კერძო საბინაო მშენებლობა, მაშინ, როდესაც მოქმედი კანონით აკრძალული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქონების, მათ შორის მიწების პრივატიზება; რატომ და ვის მიერ აშენდა საცხოვრებელი კერძო სახლები, ვაკის პარკის ტერიტორიაზე, მუშტაიდის პარკში (ბიზნეს-ცენტრი), სასტუმრო ქართვლის დედის მონუმენტის მიმდებარე ხეივანში, მაშინ როდესაც საქართველოს პარლამენტის 1998 წლის დადგენილებით აიკრძალა გამწვანებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე ყოველგვარი მშენებლობა, ხოლო 2000 წლიდან ძალაშია კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ". რატომ და რის საფუძველზე გასცა ნებართვები „არქმშენინსპექციამ" კერძო საბინაო მშენებლობისათვის „მზიურის" ტერიტორიაზე, აბანოთუბნის რეკონსტრუირებულ ისტორიულ ზონაში, ხილიანის ქუჩის დასაწყისში, მამადავითის მთის ფერდობებზე, სოლოლაკში და ა. შ. მით უმეტეს, რომ ამ ობიექტების პროექტების უმრავლესობას არ გაუვლია სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზა, რომლის გარეშეც პროექტების დამტკიცება არ შეიძლებოდა საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონით „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" ანდა რატომ მხოლოდ მას შემდეგ „ახმაურდებოდა" ხოლმე „არქმშენინსპექცია", როდესაც უნებართვოდ მშენებარე ობიექტები დამთავრების ეტაპს მიაღწევდნენ?

რატომ კადრულობდნენ არქიტექტურული ქალაქთმშენებლობითი თუ სხვა სახელწოდების საბჭოები, ისეთი პროექტების მოწონებას და მათი განხორციელებისათვის დადებითი რეკომენდაციების მიცემას, რომლებსაც თვით არქიტექტურული საზოგადოება „კატეგორიულად მიუღებელ ობიექტებად" მიიჩნევდა. [illegible]

ზემოთ აღნიშნული უკვე აშკარა ფაქტია, მაგრამ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის სამსახური ის მოქმედი მექანიზმია, რომელიც მშენებლობაში დარღვევების მსურველებს ბარიერებს უქმნის. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ დანაშაულებრივი საქმიანობით ფულის მკეთებლები ათასნაირი ხრიკებით ცდილობდნენ (სამწუხაროდ ზოგიერთი ახლაც ცდილობს), გვერდი აევლოთ მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისთვის. ზოგი ხელოვნურად ამცირებდა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, რადგან სახელმწიფო ექსპერტიზას ექვემდებარებიან ობიექტები ღირებულებით 500 ათასი ლარი და მეტი. ზოგი აშკარად უგულებელყოფდა კანონს და საერთოდ არ წარუდგენდნენ სახელმწიფო ექსპერტიზას იმ პროექტებს, რომლებსაც კანონით უნდა გაევლო ექსპერტიზა. ასე მაგალითად, რევოლუციამდელ წინა ათწლიან პერიოდში პროექტები საერთოდ არ წარმოუდგენიათ: გზების სახელმწიფო დეპარტამენტს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, რკინიგზის დეპარტამენტს, ყოფილ კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სამინისტროს, ასევე იქცეოდნენ სხვადასხვა ფონდები.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა უკეთესობისაკენ. დასახელებული უწყებების ახალი ხელმძღვანელები, ასრულებენ რა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა პროექტს, რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფო ექსპერტიზას, აგზავნიან იქ რეკომენდაციის მისაღებად. შედეგად, დამკვეთებისა და ექსპერტიზის ორგანოთა მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ხორციელდება ამ პროექტების სათანადო შესწავლა და ანალიზი, რის საფუძველზეც საპროექტო გადაწყვეტები მოდიან საქართველოს სახელმწიფოს ტექნიკური პოლიტიკის და სამშენებლო ნორმებისა და მოთხოვნათა შესაბამისობაში; იცვლება ან კორექტირდება ის საპროექტო გადაწყვეტები, რომლებიც იწვევენ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კანონით დაცული უფლებების შელახვას; რეკომენდაცია ეძლევა მხოლოდ ისეთ პროექტებს, რომლებშიც უზრუნველყოფილია: ობიექტების საიმედო სიმტკიცე და მდგრადობა, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე, პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, ენერგომომჭირნეობა, ცხოვრებისა და საქმიანობის კომფორტული პირობები. სწორდება ხარჯთაღრიცხვები, მათი გაზრდის ან შემცირების თვალსაზრისით (განსაკუთრებით სახელმწიფო ბიუჯეტით ასაშენებელი ობიექტებისა).

ამრიგად, სახელმწიფო ექსპერტიზის შედეგად მნიშვნელოვნად მაღლდება პროექტების ხარისხი და იგი მოდის სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების შესაბამისობაში. სხვაგვარად წარმოუდგენელია, მაგრამ რეფორმატორთა ერთი ნაწილი ხშირად სვამს კითხვას, „რატომ მაინც და მაინც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პროექტის ხარისხი? მაშინ, როდესაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ამ საკითხს? ის ორგანიზაციები, რომლებიც უხარისხო პროექტებს გამოუშვებენ, ხომ დაკარგავენ დამკვეთებს და გამოეთიშებიან ამ საქმიანობას". ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ აქ მთავარია დროის ფაქტორი, აქ მთავარია უხარისხო პროექტით განხორციელებული მშენებლობის უდიდესი ზარალი, რასაც მიიღებენ სახელმწიფო, უცხოელი თუ ჩვენი კერძო ინვესტორები. ალბათ სადავო არ არის, რომ სახელმწიფო და მისი კანონმდებლობა უნდა იცავდეს სამშენებლო-საინვესტიციო საქმიანობის ყველა მონაწილის ინტერესს და უპირველეს ყოვლისა ადამიანთა კონსტიტუციური უფლებების საიმედო გარანტი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია: „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში". ეს კი ნიშნავს, რომ ამ კონსტიტუციური უფლების გარანტი არის სახელმწიფო და როგორ შეიძლება უზრუნველყოს სახელმწიფომ უსაფრთხო გარემო, თუ მშენებლობის პროექტებში არ არის დაცული უსაფრთხოების პირობები? სწორედ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეს ფუნქცია. ამის თითქმის ერთადერთი მექანიზმი კი არის მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზა.

კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ბიუჯეტის და მათთან გათანაბრებული სახსრების, მაშასადამე ჩვენი მოქალაქეების მიერ გადახდილი თანხის ეკონომიკური და მიზანდასახული ხარჯვა. ამის განხორციელება კი შესაძლებელია სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემოწმებით და ანალიზით (ექსპერტიზით), თუ რამდენად სწორად არის იგი განსაზღვრული (მოცულობები და მიმდინარე ფასები). ამ თვალსაზრისით საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის მთავარი სამმართველოსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლობის მაგალითი. აღნიშნულმა დეპარტამენტმა გასულ წელს წარმოადგინა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის 2 პროექტი, საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 2,8 მლნ. ლარი. ექსპერტიზის შენიშვნების საფუძველზე დეპარტამენტმა ამ ობიექტების რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვების განსაზღვრული ღირებულება შეამცირა 320 ათასი ლარით. მიმდინარე წელს, ასევე საავტომობილო გზების რეაბილიტაციის 23 მლნ. ლარის ღირებულების 11 პროექტია წარმოდგენილი, აქაც აღნიშნული ღირებულება შემცირდა რამდენიმე ასეული ათასი ლარით.

ასევე წარმატებით ითანამშრომლა ექსპერტიზის სამმართველომ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტთან, რომელიც დიდი ყურადღებით ეკიდება სახელმწიფო ექსპერტიზის მოთხოვნებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან კანონი ითვალისწინებს ამ მოთხოვნათა უპირობო შესრულებას. ამ დამკვეთის მიერ ბოლო ნახევარი წლის პერიოდში წარმოდგენილი პროექტების ექსპერტიზის შედეგად სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3061,10 ათასი ლარით შემცირდა.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია რიგი საპროექტო ორგანიზაციების მაღალი პროფესია და სახელმწიფოებრივი მიდგომა ექსპერტიზის შენიშვნებისადმი. ისინი ოპერატიულად ასწორებენ პროექტებს ექსპერტიზის შენიშვნების მიხედვით („საქგზამეცნიერება", რკინიგზის დეპარტამენტის საპროექტო ორგანიზაცია „საქგზაპროექტი", „პროგრესპროექტი"), მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაცია თავგამოდებით იბრძვის, რათა არავითარ შემთხვევაში არ მიიღოს ექსპერტიზის შენიშვნები და დასაბუთებით თუ მის გარეშე „ამტკიცონ", რომ მათი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უმაღლესი ხარისხისაა და მათი ცვლილება დაუშვებელია. მართალია საბოლოოდ მათ უწევთ მიიღონ ეს შენიშვნები, როგორც სავალდებულო შესასრულებელი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე (სათანადო არგუმენტაციით), მაგრამ ეს იწვევს ექსპერტიზის გაჭიანურებას, რაც, რა თქმა უნდა, დაუშვებელია.

ჩვენთვის არ არის ცნობილი, ასეთი მიდგომა განპირობებულია „მუნდირის ღირსების დაცვით" თუ სხვა ინტერესებით, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ასეთი მიდგომის მთავარი „არგუმენტია" ის, რომ დღეს ხარჯთაღრიცხვა აღარ წარმოადგენს ფასს; რომ იგი საორიენტაციოა, რომ ფაქტიურად იგი არ არის დამკვეთსა და მოიჯარეს შორის ანგარიშსწორების საფუძველი და ა. შ.

ისმება კითხვა: რატომ იბრძვიან ასე თავგამოდებით ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელობის დაკნინებისათვის? ალბათ, იმიტომ, რომ უხარჯთაღრიცხვო მუშაობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის კორუფციონერებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტში ხელის ფათურისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ხარჯთაღრიცხვა ხომ მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციაა. ხარჯთაღრიცხვა, ხომ ერთადერთი ძირითადი საბუთია, რომლის საფუძველზეც იგეგმება სახელმწიფო ობიექტებისათვის მშენებლობის დაფინანსება. იგი ასევე ერთადერთია ცალკეული უწყებებისათვის მშენებლობის სატიტულო სიების შესადგენად და ამ ობიექტებს შორის სახსრების სწორად განაწილებისათვის. იგი ხომ დამკვეთის ხელში ხარჯების მიზანდასახულად ხარჯვისა და ხარჯვის სამართლიანობის ზედამხედველობისა და კონტროლის საფუძველია.

სახელმწიფო ექსპერტიზა დამკვეთებისადმი საიმედო მოკავშირე და დამხმარეა, რათა სწორად დაიგეგმოს და მიზანმიმართულად დაიხარჯოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები: უცხოური და ქართველი ინვესტორების გამოყოფილი თანხები, მსოფლიო ბანკისა და სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოქვეყნებული კრედიტები. სწორი ხარჯთაღრიცხვა და ტექნიკურად მაღალი დონის პროექტები ხომ წარმატებული მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია.

მაშ რატომ აკნინებენ ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელობას? რატომ იბრძვიან ხარჯთაღრიცხვის გასაუქმებლად საერთოდ? რატომ ცდილობენ, რომ სახელმწიფომ არ განახორციელოს მარეგულირებელი ღონისძიებები? ზოგიერთები ოცნებობენ, რომ მიაღწიონ საერთოდ სახელმწიფო ექსპერტიზის გაუქმებასაც კი. ამაზე ალბათ ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს და გასცეს ამ კითხვებს პასუხი, რომელიც ქვეყნისა და ხალხის ინტერესების მიხედვით იქნება განსაზღვრული.

**რეფორმა ზოგადად ის ღონისძიებაა, ან ღონისძიებათა კომპლექსი, რომელმაც შედეგად ხალხს და ქვეყანას სარგებლობა უნდა მოუტანოს, აწმყოში ან მომავალში.** ის რეფორმა, რომელიც აწმყოში იწვევს უმრავლესობის აღშფოთებას და უკმაყოფილებას, მათი მდგომარეობის გაუარესების გამო, ხოლო მომავალში რა შედეგებს მოუტანს ხალხს, თვით ავტორებსაც არ აქვთ განსაზღვრული – ანტირეფორმაა. ასეთი რეფორმების გატარების დაჟინებული მოთხოვნა კარგად შენიღბული დემაგოგიაა.

მიგვაჩნია, რომ მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზა, როგორც კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფოებრივი რეგულირების, დღეისთვის ერთადერთი ეფექტური მექანიზმი, უნდა გაძლიერდეს. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის შემდგომი სრულყოფისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია და აუცილებელიც, რომ ეს საკითხი სპეციალურად განიხილონ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებმა. მაგალითად, პარლამენტის დარგობრივმა კომიტეტმა შეისწავლოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორ სრულდება პარლამენტის მიერ 1999 წელს მიღებული მეტად მნიშვნელოვანი და ეფექტური კანონი, „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის მიღებისა და დამტკიცების შესახებ", ანდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილოს და დაამტკიცოს მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის შემდგომი სრულყოფის პროგრამა (ასეთი პროგრამის პროექტი არსებობს).

ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ასეთი მიდგომით დამყარდება სახელმწიფოებრივი წესრიგი კაპიტალურ მშენებლობაში, რაც ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, უაღრესად მნიშვნელოვანი და გადაუდებლად გასაკეთებელი საქმეა.

**სამშენებლო და საპროექტო საქმიანობის ექსპერტები**
**ლ. მახვილაძე, საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი; ქ. ბირკაია, არქიტექტურის დოქტორი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მე-20 საუკუნის ღირსების ოქროს მედლის მფლობელი, მსოფლიო ლაურეატი; მ. ბედიაშვილი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, შპს „მშენაღდგენის" გენერალური დირექტორი; ო. ქუცნაშვილი, გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი, პროფესორი, „ჯეოინჟინერინგის" გენერალური დირექტორი; მ. ზოცაძე, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე; ზ. ბერუაშვილი, არქიტექტორი, სოცურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, სს „სპეცმონოლითის" გენერალური დირექტორი; დ. ჩხეიძე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; გ. კიკაჩეიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ლ. მეძმარიაშვილი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, დამსახურებული არქიტექტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; გ. ჭოხონელიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გ. ბედევანიშვილი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, სს „სპეცმონოლითის" პრეზიდენტი; ბ. მურღულია, მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს გენერალური დირექტორი; მ. ჩაჩანიძე, საქართველოს დამსახურებული მშენებელი; ვ. ვარდოსანიძე, სტუ-ს ურბანისტიკის კათედრის პროფესორი, საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, გერმანიის რაიონული დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი – კომპიუტერული ტექნიკა**
**დაფინანსების წყარო – გრანტი**

| ლოტი | დასახელება | სპეციფიკაცია | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერი | CPU Intel P4 LGA775/3.0GHz/800/1024KB // Motherboard i925X // DDR2 DIMM 240pin//128MB/533 x2 // HDD SATA 120GB // FDD // Combo 52x24x52x CD-RW + 16x DVD-ROM // Video PCI Express 128MB // Monitor 17" 0.2mm/1280x1024@75Hz/ 1024x768@100Hz // Keyboard // Mouse | 48 |
| 2 | კომპიუტერი | CPU Intel Celeron D 335J LGA775/2.8GHz/256K/533 // Motherboard i915G On-Board VGA // DDR2 DIMM 240pin/ 512MB/ 533 // HDD SATA 80GB // FDD // CD-ROM // Monitor 17" 0.2mm/1280x1024@75Hz/ 1024x768@100Hz // Keyboard // Mouse // SP // | 103 |
| 3 | მონიტორი | LCD 17 | 2 |
| 4 | ქსელური პრინტერი | A4 / 45-50ppm/80-96mb/Duplex/LAN/USB2.0/150000-200000lpm /1200dpi/ | 8 |
| 5 | ლაზერული პრინტერი | A4 /16-22ppm/16-32mb/18000-50000lpm /USB 2.0 & LPT/1200dpi/ | 69 |
| 6 | პროექტორი | True SVGA (800x600 pcs) Resolution; DLP; Brightness 1500 ANSI lum; Contrast 2000:1; Weight 3.0 kg | 3 |
| 7 | ჭავლური პრინტერი | A4 / 30/20ppm/4800x1200/16mb/5000lpm /USB | 13 |
| 8 | ჭავლური პრინტერი | A3 / 30/20ppm/4800x1200/16mb/5000lpm /USB | 1 |
| 9 | სკანერი | A4 2400x2400 48bit 35mm USB 2.0 | 17 |
| 10 | სკანერი | A4 4800x4800dpi 48bit 35mm Slide adapter ADF SD2.0 | 7 |
| 11 | პრინტერი+სკანერი | A4 HP 1100A ან ეკვივალენტი | 5 |
| 12 | ციფრული კამერა | Olympus CAMEDIA C-770 Ultra Zoom + (xD-Picture Card 512Mb) ან ეკვივალენტი | 2 |
| 13 | უწყვეტი კვების წყარო | UPS Back 1000VA 600W 230V | 29 |
| | | UPS Back 650VA 400W 230V | 108 |
| | | UPS Smart 1400VA | 2 |
| 14 | ქსელური კომუტატორი | Switch 3 com ან ეკვივალენტი (24 ან მეტი პორტით) | 5 |
| | | Switch 5/8 port 10/100 Ethernet | 6 |
| | | Switch 4/8 port ps/2 @ USB Switch | 1 |
| 15 | Flash Disk | 256MB | 29 |
| | | 512MB | 22 |
| | | 1024MB | 17 |
| | | 2056 MB | 12 |

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**
- მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
- მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**
- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 8 ივნისიდან 2005 წლის 13 ივნისის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70;**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;**
**სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 15 ივნისს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 17 ივნისიდან 2005 წლის 21 ივნისის 17 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება **ქ. თბილისში 2005 წლის ივლისიდან 2005 წლის სექტემბრამდე.**

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრებს **ირაკლი ათანასოვს და სოფიკო ბერიშვილს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07.**

**სატენდერო კომისია.**

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი – ავტომობილები**
**დაფინანსების წყარო – გრანტი**

**ლოტი 1: მიკროავტობუსი – 5 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური;
- გამოშვების წელი – არანაკლებ 1993;
- მგზავრთა რაოდენობა – არანაკლები 12;
- საწვავის ტიპი – დიზელი.

**ლოტი 2: მსუბუქი კლასის ავტოსატრანსპორტო საშუალება – 30 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**
- ოთხკარიანი;
- ძრავის მოცულობა – არანაკლები 2500 სმ³;
- სიმძლავრე – არანაკლები 150 ცხენის ძალა;
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა);
- გამოშვების წელი – არანაკლებ 1998;
- ფერი – მუქი (შავი, ნაცრისფერი, ლურჯი, მწვანე, შინდისფერი).

**ლოტი 3: მსუბუქი მაღალი გამავლობის (4X4) ავტოსატრანსპორტო საშუალება – 10 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**
- ორკარიანი;
- საწვავის ტიპი – ბენზინი;
- ძრავის მოცულობა – 1600-1800 სმ³;
- სიმძლავრე – არანაკლები 75 ცხენის ძალა;
- სიჩქარე – არანაკლები 120 კმ/სთ;
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა);
- გამოშვების წელი –2005.

**ლოტი 4: ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის, წარმომადგენლობითი კლასის, ავტოსატრანსპორტო საშუალება – 1 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**
- ოთხკარიანი;
- ძრავის მოცულობა –არანაკლებ 3000 სმ³;
- სიმძლავრე – არანაკლები 120 ცხენის ძალა;
- სიჩქარე – არანაკლები 140 კმ/სთ;
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური;
- გამოშვების წელი – 2005.

**ლოტი 5: მსუბუქი კლასის ავტოსატრანსპორტო საშუალება – 14 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**
- ძარა –სედანი;
- ოთხკარიანი;
- საწვავის ტიპი – ბენზინი;
- საწვავის ხარჯი –100 კმ-ზე მაქსიმალური 10 ლიტრი;
- ძრავის მოცულობა 1600-დან 1800-მდე სმ³;
- სიმძლავრე – არანაკლები 80 ცხენის ძალა;
- სიჩქარე – არანაკლები 130 კმ/სთ;
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა);
- გამოშვების წელი – 2005.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**
- მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
- მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**
- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 8 ივნისიდან 2005 წლის 13 ივნისის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70;**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;**
**სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 15 ივნისს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 17 ივნისიდან 2005 წლის 21 ივნისის 17 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის №70, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.**

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება ქ. თბილისში **2005 წლის ივლისიდან 2005 წლის ოქტომბრამდე.**

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრებს **ირაკლი ათანასოვს და სოფიკო ბერიშვილს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07.**

**სატენდერო კომისია.**

№ 121. სამშაბათი, 24 მაისი, 2005 წელი.

◎ პრეზიდენტი

# საქართველო ისევ გახდება მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სპორტული სახელმწიფო



**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას საქართველოს პრეზიდენტი საღამოს 8 საათზე ეწვია. ტრადიციისამებრ, შეხვედრაზე მედიის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ტელეჟურნალისტები მოხვდნენ. რაც შეეხება „საქართველოს რესპუბლიკას“, თავიდან არც ის იყო მიწვეულთა სიაში, თუმცა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის თათია ბურდულისა და სახელოვანი ფალავნის ლუკა კურტანიძის საქმეში ჩარევით ყველაფერი მოგვარდა.**

რაც შეეხება თვით ღონისძიებას, იგი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** კორეიდან მიღებული სასიხარულო ცნობით გახსნა, სადაც ცხინვალელი ძალოსანი არსენ კასაბიევი ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა (94 კგ). — აი, რა კარგად იმოქმედა ათენის ოლიმპიადის შემდეგ ბინით მისმა დაკმაყოფილებამო, — იხუმრა საპასუხოდ მიხეილ სააკაშვილმა. კიდევ ერთი მილოცვა ლუკა კურტანიძეს ერგო, რომელიც ორი კვირის წინათ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლით დაბრუნდა სამშობლოში. — შარშან ჩემს საბერძნეთში ჩასვლას მისთვის, პირიქით, ცუდი შედეგი მოჰყვაო, — ამჯერადაც შეკრებილი საზოგადოების გამხიარულება სცადა პრეზიდენტმა. შემდეგ დეპარტამენტის თავკაცმა კიდევ რამდენიმე წუთის განმავლობაში ისაუბრა ქართულ სპორტში უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ სასიკეთო ტენდენციებზე, სადაც ძირითადი ყურადღება მარტივი ტიპის სპორტული მოედნების, აუზებისა და დარბაზების მშენებლობასა და, ახლო წარსულის მსგავსად, ციფრებს დაეთმო.



ბუნებრივია, ქართველ სპორტსმენთა საამაყო მიღწევებს სახელმწიფოს მეთაურიც შეეხო, თუმცა, აქცენტი მაინც მანკიერებებზე გააკეთა. აი, რამდენიმე ამონარიდი მისი ემოციური გამოსვლიდან:

— უნდა ავაღორძინოთ ქართული ფეხბურთი. ამაზრზენია, რომ ისინი, ვინც გაფლანგა უზარმაზარი თანხები და მოთამაშეები უცხოეთში გაყიდა, ისევ ფედერაციაში მიძვრებიან. მართალია, მე არ ვერევი საარჩევნო კამპანიაში, მაგრამ მოგიწოდებთ, ობიექტურად წარმართოთ სფფ-ს ყრილობა (**ცნობისათვის:** შეხვედრას ნოდარ ახალკაცი — უმცროსი ესწრებოდა, რომელიც გუშინ თბილისის ფეხბურთის საქალაქო ფედერაციასაც ესტუმრა — **რედ**.).

— კურიოზია, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია პოლიტოლოგებს, ინსპექტორებსა და სტომატოლოგებს უშვებდა. მეტიც — მის ტერიტორიაზე რესტორნების ასაშენებლადაც კი მოიძებნა ადგილი და ტროტუარი გაუქმდა, რის გამოც სტუდენტები შემოვლითი გზით აღწევენ ლექციებამდე. სირცხვილია აგრეთვე, რომ აქ აუზი არ არის.

— გეკითხებით, როდისღა უნდა ჩამოერთვას პროფკავშირებს „ქარიშხალას“ სპორტკომპლექსი? უმოკლეს ვადაში უზრუნველყავით ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა, რათა იქ ნამდვილი სპორტული ცხოვრება დაიწყოს.

დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეობისას თბილისში 100 სპორტული მოედნის მოწყობა მოვასწარით, შარშან — 150-ის — უახლოესი წარსულის სტატისტიკა შემოგვთავაზა შემდეგ პრეზიდენტმა და რამდენიმე სიტყვა მომავალსაც შეაწია: გაისად რეგიონებში 10 „მოდული“ (ლითონის კონსტრუქციის დარბაზი, რომელიც ერთი ცალი 300 000 ლარი ჯდება) ავაშენოთ, თბილისში — 5. ყველა გამგებელს ვავალებ — თითოეულ სოფელში მოაწყოს ნახერხმოყრილი საჭიდაო სარბიელი. დამეთანხმებით, ვერაფერს ვერ მივაღწევთ, თუ არ გვეყოლებიან კვალიფიციური მწვრთნელები. პირველ ეტაპზე 2000 სპეციალისტი მაინც დაგვჭირდება. მათი ანაზღაურება, მინიმუმ, 250 ლარი უნდა იყოს. ვამაყობ, რომ საქართველოში გრიქუროვი, კახიაშვილი და დოხტურიშვილი დაბრუნდნენ. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს — ჩვენ არა გვყავანან დასაკარგი შვილები.

თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა მადლიერების გამომხატველი სიტყვებიც არ დაიშურა: ძიუდოს ფედერაციის თავკაც დილარ ხაბულიანზე ამბობენ — სადაც ჩრდილს დაინახავს, ტატამს აგებსო. მადლობა, დედაქალაქის მერიის სპორტის სამსახურის უფროსს გია უდესიანს გლდანში სპორტული მოედნის გახსნისთვის, დათო ნამგალაურს, ცალკეულ სახეობათა სპონსორებს — გოგი თოფაძესა და დავით ბექუაშვილს.

ის-ის იყო, გამოსვლა აკადემიის რექტორმა დურმიშხან ჩიტაშვილმა დაიწყო, რომ პრესას შეხვედრა დაატოვებინეს.

**გია პლატონიშვილი.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

◎ სპელეოლოგია

# საქართველოს მიწისქვეშა სასახლეები

**ბოლო წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ინსტიტუტის საექსპედიციო რაზმებმა დღემდე უცნობი არაერთი მიწისქვეშა ძეგლი აღმოაჩინეს. მათ რიცხვშია ახალი ათონის გიგანტური მღვიმე, რომელსაც გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციები თითქმის ოცი წლის განმავლობაში „უტრიალებდნენ“ და მას შემდეგღა „დამშვიდდნენ“, რაც საექსპლუატაციოდ გადასცეს. შესანიშნავ აღმოჩენათა რიცხვშია აგრეთვე მჭიშთას (შავწყალას) კარსტული მღვიმე. მის წიაღში, ჩვენი მტკიცე ვარაუდით, რამდენიმე ასეული კილომეტრის სიგრძის (!!!) მრავალსართულიანი მღვიმე იმალება.**

საქართველოს კარსტული მღვიმეების გეგმაზომიერი კვლევა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. ამ მხრივ საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა. ავიღოთ თუნდაც ახალი ათონის მღვიმე, რომელიც კეთილმოწყობის შემდეგ ერთ-ერთი სტუმართმრავალი ძეგლი გახდა მსოფლიოში. იგი ექსპლუატაციაში 1975 წელს შევიდა. მას შემდეგ ყოველწლიურად ქვეყანა წმინდა მოგების სახით, დაახლოებით ერთი მილიონ „რუბლზე“ მეტს იღებდა.

აღსანიშნავია აგრეთვე გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეორაზმის (ხელმძღვანელი ჯუმბერ ჯიშკარიანი) მიერ 1984 წელს აღმოჩენილი და გამოკვლეული წყალტუბოს მღვიმური სისტემა ს. ყუმისთავის სანახებში. მისი აგეგმილი და ნაწილობრივ შესწავლილი ლაბირინთული დერეფნების ჯამური სიგრძე რამდენიმე ათეულ კილომეტრს აღემატება. ჯერჯერობით მისი მხოლოდ 15-კილომეტრიანი მონაკვეთია აგეგმილი! ჩვენივე ძალისხმევით დაიწყო და თითქმის დამთავრების სტადიაშია ამ უნიკალური ძეგლის კეთილმოწყობა. მღვიმის ჩასასვლელთან უკვე აიგო ადმინისტრაციული და სამეცნიერო ლაბორატორიის ორსართულიანი კაპიტალური შენობა. მისი დათვალიერება დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ტურიზმის მოყვარულთ.



გასული საუკუნის 60-იან წლებში გეოგრაფიის ინსტიტუტის საექსპედიციო რაზმმა პროფ. ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით, პირველი მაღალმთიანი სპელეოექსპედიცია მოაწყო გაგრის (არაბიკის) კირქვულ მასივზე; გამოვლინდა მანამდე უცნობი ბევრი ძეგლი. ერთ-ერთ მათგანს რუსი კარსტოლოგის პროფ. ალექსანდრე კრუბერის სახელი მივაკუთვნეთ. იმ ხანად ჩვენს ამოცანას ამ ძეგლების მხოლოდ დაზვერვა შეადგენდა; არ გაგვაჩნდა არავითარი სპეციალური აღჭურვილობა. ერთადერთი, რითაც მომარაგებული ვიყავით, ახალი კაპრონის თოკები, ე. წ. აბალაკოვის ქამრები და მეშახტის ნათურები იყო. მღვიმე, რომელიც „შიშველი ხელებით“ დავზვერეთ, დედამიწის უღრმესი შახტი აღმოჩნდა...

1990 წლიდან ვითარება შეიცვალა და აფხაზეთის კირქვული მასივები ქართველი მკვლევარებისთვის „დაიხურა“. ახალი ათონის მღვიმეც კი, რომელსაც ახალგაზრდობის საუკეთესო წლები შევალიეთ, ქართველი მკვლევარებისთვის „მიუწვდომელია“. აფხაზეთში დაგვრჩა ბევრი განუხორციელებელი იდეა. მჭიშთას აუზში ქართველი მკვლევარების აქტიური მონაწილეობით გამოკვლეულ იქნა ნაფრა-მჭიშთას წყალშემცველი სისტემა, რომელიც უღრმესია (2345 მ) დედამიწის ზურგზე. დღესდღეობით ამ უნიკალური მღვიმის მხოლოდ 20-კილომეტრიანი მონაკვეთია აგეგმილი, ფაქტობრივად, ჩასასვლელ-გამოსასვლელები...

კიდევ კარგი, ბოლო წლებში მიღწეულ სპელეოლოგიურ სიახლეებს ჩვენი უკრაინელი კოლეგებისგან ვიგებთ. მათგან გამოვყოფთ მამა-შვილ ალექსანდრე და ოლეგ კლიმჩუკებს. 2001 წლის დასაწყისში უკრაინის სპელეოასოციაციის საექსპედიციო რაზმმა, ჩასასვლელიდან 1710 მეტრს მიაღწია და დაამყარა სიღრმული ჩაღწევის ახალი მსოფლიო რეკორდი, რომელიც მანამდე პოლონელებს ეკუთვნოდათ.

კრუბერის მღვიმეში მიწისქვეშა სამუშაოები 2004 წლის ოქტომბერში განახლდა. უკრაინელთა სპელეორაზმმა 1790 მეტრ სიღრმეზე ახალ განშტოებას მიაკვლია. იგი საფეხურებრივად განვითარებული სისტემა აღმოჩნდა. ადრე მიღწეული რეკორდი ერთბაშად 290 მეტრით „გაღრმავდა“. ამრიგად, სიღრმული ჩაღწევის ახალი მსოფლიო რეკორდი, ისევ ალექსანდრე კრუბერის სახელობის მღვიმეშია და 2080 მეტრს შეადგენს!

მკითხველს გავაცნობთ კარსტულ მღვიმე-უფსკრულებში მიღწეულ შედეგებს. წინა რეკორდი, როგორც აღინიშნა, კრუბერის სახელობის უფსკრულში იქნა მიღწეული და 1710 მეტრს შეადგენდა. მანამდე რეკორდული სიღრმე (1632 მეტრი) პოლონელებს ეკუთვნოდათ და დამყარებული იყო ალპებში; უფრო ადრე რეკორდი ფრანგმა სპელეოლოგებმა ორჯერ გააუმჯობესეს (1602 და 1610 მეტრი). აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოს უგრძესი კარსტული მღვიმე მამონტ-ფლინტრიჯის სისტემაა (აშშ, კენტუკის შტატი, 563,3 კილომეტრი). შემდეგ მოდის უკრაინაში თაბაშირის ქანებში გაჩენილი მღვიმე „ოპტიმისტური“ (212 კმ), ჯოუელი (აშშ, 179,2 კმ) ჰელლოხი (შვეიცარია, (175,2 კმ). უგრძესი მღვიმეების ხუთეულს აგვირგვინებს ლეჩუგიას მღვიმე ისევ აშშ-ში: მისი ჯამური სიგრძე 155 კილომეტრია.

ჩვენს ქვეყანაში ამ მღვიმეებს კონკურენციას გაუწევს მჭიშთას მღვიმური სისტემა აფხაზეთში, რომელიც ბზიფის მასივის წიაღშია. ამ მდინარის (მჭიშთას) წყალშემკრები აუზის ფართობი საგრძნობლად აღემატება ფლინტ-მამონტისა და ჯოუელის მაჩვენებლებს. ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ საქართველოს მიწისქვეშა მდინარეთა აუზებში გიგანტური მღვიმური სისტემების არსებობა ვივარაუდოთ.

**ზურაბ ტატაშიძე,**
**გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;**

**კუკური წიქარიშვილი,**
**გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;**

**გიორგი გელაძე,**
**უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

**სურათზე: წყალტუბოს მღვიმის ერთ-ერთი უბანი.**
**ზურაბ ტატაშიძის ფოტო.**

◎ ფეხბურთი

# შინ და გარეთ

**სათასო ფინალის წინ, რომელიც 26 მაისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება, თბილისის „ლოკომოტივისა“ და „ზესტაფონის“ თავკაცებმა ძირითადი შემადგენლობის მთელ რიგ მოთამაშეებს დასვენების საშუალება მისცეს და, რაღა გასაკვირია, რომ XVI ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში ორივე დამარცხდა.**

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში წაუგებელი რკინიგზელები „თბილისთან“ შეხვედრამდე ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პრიზიორობის შანსს, თანაც მეკარე ზვიად სტურუას რეკორდის გასაუმჯობესებლად უნდა ეზრუნათ, რომელსაც IV წრეში ერთი გოლიც კი არ ჰქონდა გაშვებული. როგორც უკვე მოგახსენეთ, პრაგმატიზმის გამო ეს ოცნებები ოცნებებად დარჩა — ლუის ცაკარიასის გუნდმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნა — 4:1. თბილისურ დერბიში გოლები გაიტანეს ქლენტმა, აფციაურმა, ფიფიამ (2, „თბილისი“) და რამონმა („ლოკომოტივი“).



რაც შეეხება „ზესტაფონს“, მართალია, იგი ბოლნისში გოცირიძემ დააწინაურა, მაგრამ დიდი მკითხაობა არ უნდოდა, რომ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი „სიონი“ მოვლენათა ასეთ განვითარებას არ შეეგუებოდა. მართლაც, დარჩენილ დროში ავალიანმა და გოგოლაძემ მასპინძლებს ამ სეზონის წინ დასახული პროგრამა — მაქსიმუმი შეასრულებინეს — 2:1 და რანგით დაბლა ფოთელები გაისტუმრეს.

**დანარჩენი შედეგები:** „დილა“ — „დინამო“ 0:3, „ბათუმი“ — „კოლხეთი“ 3:0, „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“ 1:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“ — 72, „ტორპედო“ — 70, „თბილისი“ — 69, „ლოკომოტივი“ — 62, „ზესტაფონი“ — 53, „ვიტ ჯორჯია“ — 45, „ბათუმი“ — 39, „სიონი“ — 37, „კოლხეთი“ — 32, „დილა“ — 9 ქულა.

**30 მაისს ითამაშებენ:** „ტორპედო“ — „თბილისი“, „ლოკომოტივი“ — „დილა“, „დინამო“ — „ბათუმი“, „კოლხეთი“ — „სიონი“, „ზესტაფონი“ — „ვიტ ჯორჯია“.

* * *

**იტალია. XXXVII ტური.** „ლივორნო“ — „იუვენტუსი“ 2:2 („იუვე“ ჩემპიონია), „მილანი“ — „პალერმო“ 3:3, „სამპდორია“ — „ინტერი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ — 83, „მილანი“ — 78, „ინტერი“ — 71 ქულა.

**ბომბარდირი:** ლუკარელი („ლივორნო“) — 23 გოლი.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „იუვენტუსი“ — „კალიარი“, „უდინეზე“ — „მილანი“, „ინტერი“ — „რეჯინა“.

**ესპანეთი. XXXVII ტური.** „ბარსელონა“ — „ვილიარეალი“ 3:3 („ბარსა“ ჩემპიონია), „რეალი“ — „ატლეტიკო“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ — 83, „რეალი“ — 77, „ვილიარეალი“ — 62 ქულა.

**ბომბარდირი**: ეტოო („ბარსელონა“) — 24 გოლი.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „სოსიედადი“ — „ბარსელონა“, „სარაგოსა“ — „რეალი“, „ვილიარეალი“ — „ლევანტე“.

**გერმანია. ბოლო ტური.** „შტუტგარტი“ — „ბაიერნი“ 1:3 („ბაიერნი“ ჩემპიონია), „ფრაიბურგი“ — „შალკე“ 2:3 (ანგარიში **ალექსანდრე იაშვილმა** გახსნა), „კაიზერი“ — „ვერდერი“ 1:2.

**საპრიზო სამეული:** „ბაიერნი“ — 77, „შალკე“ — 63, „ვერდერი“ — 59 ქულა.

**ბომბარდირი:** მინტალი („ნიურნბერგი“ ) — 24 გოლი.

**ინგლისი. თასის ფინალი.** „არსენალი“ — „მანჩესტერი“ 0:0 (პენალტებით — 5:4).

აქვე გაგაცნობთ ზოგიერთი სხვა ქვეყნის ჩემპიონთა ვინაობას: საფრანგეთი — „ლიონი“, ჰოლანდია — „ეინდჰოვენი“, ბელგია — „ბრიუგე“, პორტუგალია — „ბენფიკა“, შოტლანდია — „გლაზგო რეინჯერსი“, თურქეთი — „ფენერბახჩე“, შვეიცარია — „ბაზელი“.

◎ ძიუდო

# მხოლოდ ერთი „ბრინჯაო"




**გასულ უქმეებზე როტერდამმა (ჰოლანდია) ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. საქართველოს ნაკრები, რომელიც გაახალგაზრდავებული შემადგენლობით გამოდიოდა (ათენის ოლიმპიადის გმირებს — ზურაბ ზვიადაურსა და ნესტორ ხერგიანს არ უჭიდავიათ), მხოლოდ ერთ „ბრინჯაოს“ დასჯერდა: 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე დავით ქევხიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.**

დამამშვიდებელ ტურნირში გადამწყვეტი ორთაბრძოლები დათმეს და მე-5 ადგილებზე გავიდნენ დავით მარგოშვილი (66 კგ) და ირაკლი ცირეკიძე (81 კგ), რომელმაც, თბილისის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირზე დაგვამახსოვრა თავი.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო**

„საქართველოს რესპუბლიკის“ 6 მაისს 105-ე ნომერში გამოქვეყნდა გარდაბნის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებული კონკურსი რაიონის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დროებით სარგებლობაში გადაცემაზე, რომელშიც დაშვებული იქნა შეცდომა: მეხუთე გრაფაში მითითებული სიტყვისა „მწირი“ უნდა იყოს „კარგი“, ანუ მიწის ნაკვეთის ფართი სახნავი (კატეგორია კარგი) მიწის გადასახადი 1ჰა-ზე 52 ლ. და კონკურსი ნაცვლად 21 მაისისა ჩატარდება 27 მაისს 14 საათზე, გარდაბნის რაიონის გამგეობის შენობაში, მისამართზე: დ. აღმაშენებლის ქ. №73.


## სააქციო საზოგადოება „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია“ აცხადებს კონკურსს

### საბურღი დანადგარი Ф — 400 — ECY-2- სარეალიზაციოდ

1. ინფორმაცია საბურღი დანადგარის Ф – 400 – ECY-2-ის მდგომარეობის შესახებ:

– საბურღი დანადგარი ამორტიზებულია, დაუკომპლექტებელია და იყიდება არსებულ მდგომარეობაში.

– გამოშვების წელი 1989 წ. ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი – 1992 წ.

– საბურღი დანადგარი მდებარეობს ბოლნისის რაიონის სოფელ ქვედა ბოლნისის ტერიტორიაზე.

2. გამყიდველი – სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია“.

3. საბურღი დანადგარის საწყისი გასაყიდი ფასია 700 000 ლარი.

4. „ბე“-ს სიდიდე შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 50 პროცენტს.

5. საკონკურსო პირობა – კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება კონკურსის ის მონაწილე, რომელიც გადაიხდის საწყის გასაყიდ ფასზე მაქსიმალურად მეტ თანხას.

6. კონკურსში გამარჯვებულმა უნდა დაფაროს სრული ღირებულება კონკურსის დამთავრებიდან 10 დღის ვადაში.

7. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

8. კონკურსში მონაწილეობის მიღებისას მსურველებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარმოუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) არსებული ფორმის მიხედვით შეავსონ განაცხადი საბურღი დანადგარის სარეალიზაციო კონკურსში მონაწილეობის მიღებისა და საკონკურსო პირობების შესრულების თანხმობის თაობაზე;

ბ) საბურღი დანადგარი Ф – 400 – ECY-2-ის შესყიდვის მსურველი კონკურსანტის წინადადებები შესათავაზებელი გასაყიდი ფასის ჩვენებით, მოთავსებული ცალკე, მის მიერ დალუქულ კონვერტში;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) გამყიდველის – სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანიის“ საანგარიშსწორებო ანგარიშზე „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ დოკუმენტაციის ასლს, ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას საბურღი დანადგარის სარეალიზაციო კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.

**ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 24 მაისიდან 2005 წლის 22 ივნისის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, მოსაშვილის ქ. 24, IV სართული, სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია“.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 2005 წლის 23 ივნისს 11 საათზე მსურველ მონაწილეთა თანდასწრებით, რის შემდეგაც კომისია განაგრძობს მუშაობას დახურული წესით გამარჯვებულის გამოსავლენად. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება გამარჯვებულს 5 დღის ვადაში.

სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანიის“ საბანკო რეკვიზიტებია: სს „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი. ბანკი კოდი 220101757, ანგარიშის №3606010085.

სხვა დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო ტელეფონი 25-01-14.

**სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია“.**


◎ რეკორდი

## ძალოსანმა გიორგი გოგრაჭაძემ 12 ვაგონი თითქმის 6 მეტრზე გასწია

**საქართველოს რკინიგზის, სპორტის დეპარტამენტის, კომპანია „გუდიარის“ და კავშირი „გიორგის“ გაერთიანებული ხელშეწყობით ძალოსანმა ნუგზარ გოგრაჭაძემ 2005 წლის 22 მაისს, კვირას, მსოფლიო (გინესის) უპრეცედენტო რეკორდი დაამყარა — თავისი ფიზიკური ძალისხმევით ერთი მილიონ 50 ათასკილოგრამიანი, ანუ 1050-ტონიანი სარკინიგზო შემადგენლობა (12 ვაგონი) 5 მეტრისა და 63 სანტიმეტრის მანძილზე გასწია.**

**გვანჯი მანია.**

◎ კონტაქტები

# „რუსთაველი“ დონეცკში ქართველებს მფარველობს

**ამას წინათ დონეცკის ჯანმრთელობის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე — „ფიზიკური კულტურისა და სპორტის სულიერი აღორძინება“ ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველოდან კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ახალგაზრდა მასწავლებელი კახა ხარიტონაშვილი, რომლის ნაშრომმაც („სპორტის როლი მოსწავლე ახალგაზრდობაში სულიერი თვისებების განვითარებისთვის“) დიდი მოწონება დაიმსახურა.**

დღეს ბატონი კახა ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— 2005 წელი უკრაინაში საქართველოს წლად არის გამოცხადებული, — გვითხრა მან, — ამიტომ კონტაქტების გასაღრმავებლად უამრავი ღონისძიება ეწყობა. ერთ-ერთი სწორედ სამეცნიერო კონფერენცია იყო. მისი ინიციატორი გახლდათ დონეცკის ოლქში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოება „რუსთაველი“ და მისი თავკაცი სოსო მაჭავარიანი, რომელიც იმავდროულად უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დონეცკის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე და ოლიმპიური რეზერვის მომზადების ცენტრთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის დირექტორიცაა.



დონეცკის ოლქში 5 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს, რომელთა უმრავლესობა აფხაზეთიდან ლტოლვილია. 2000 წელს დაფუძნებული „რუსთაველის“ საზოგადოება თავგამოდებით იცავს მათს ინტერესებს. მშობლიური ქვეყნის სითბოს დანატრებულ ქართველთათვის აქ ეწყობა საინტერესო ღონისძიებები. საზეიმო შეხვედრა გაუმართეს სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ დავით სალდაძეს, ბათუმიდან და ქუთაისიდან მიიწვიეს ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები „მაჭახელა“ და „იმედი“ კონცერტების ჩასატარებლად.

**— დონეცკელ ქართველებთან შემდგომი ურთიერთობის გეგმებზეც ხომ გისაუბრიათ?**

— ბატონი სოსო მაჭავარიანი მზად არის, ქართველ სპორტსმენებს საწვრთნელი შეკრებების მოწყობაში დაეხმაროს. იქვე გავიცანი დონეცკის ოლქის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი ვიქტორ კირბაბა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, წლეულს ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე ჩვენი ძიუდოისტები, მოჭიდავეები და მოკრივეები მიიწვიოს და, მგზავრობის გარდა, ყველა ხარჯი თავად გაიღონ, გაისად კი დონეცკელები ესტუმრებიან საქართველოს.

ვფიქრობ, ასეთი ორმხრივი კონტაქტები ქართული სპორტისთვის სასიკეთო იქნება.

**ესაუბრა**
**ეკა ტუკვაძე.**

**სურათზე: მარცხნიდან — კახა ხარიტონაშვილი, სოსო მაჭავარიანი და ნოდარ ალავერდაშვილი.**


**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შიდა ქართლის ადმინისტრაციას, გორის რაიონის გამგეობას, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა და საქველმოქმედო ფონდების ხელმძღვანელებს სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით გაცნობებთ, რომ იყიდება:**

**თბილისიდან 90 კმ-ში, გორი-ცხინვალის გზატკეცილზე, ტირძნისში, ორსართულიანი კაპ. სახლი — 128 კვ. მ. (ეზო, „ლომიაურის“ ჯიშის შავი ყურძნის ხეივანი, თონე, სათავსო), ბაღით — 2500 კვ. მ. (სხვადასხვა ხეხილი. კაკლისა და თხილის დიდმოსავლიანი ხეები). სასმელ-სარწყავი წყალი მუდმივად. ფასი 5000 დოლარი, ან იცვლება ბინაზე თბილისში მეტროსთან ახლოს. მაკლერიც დასაჩუქრდება!**

**საკონტაქტო ტელეფონები ნებისმიერ დროს:**
**99-59-09 (ს.), 32-02-15 (ბ.) 899-32-02-15, 899-58-02-15, 877-72-02-15.**


## დაზუსტება

**ჩვენი გაზეთის 19 მაისის ნომერში მე-5 გვერდზე გამოქვეყნებულ „საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადებაში“ მე-5 პუნქტში უნდა იკითხებოდეს: „სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2005 წლის 14 ივნისის 10 საათიდან 15 ივნისის 16 საათამდე“. შემდეგ როგორც ტექსტშია.**


## ყურადღება

მიმდინარეობს შპს „ჯი-აი-სი თრეიდინგის“ ლიკვიდაცია, დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, 300 არაგველის №24, ტელ: 92-29-61, 92-29-62.**
**899 919-913.**

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



წალენჯიხის რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთ-ერთ სამობილიზაციო შეკრებაზე. გადაღებულია 1985 წელს.

წარმოადგინა ბადრი სერგიამ.

თაობა

# რაზე მეტყველებენ მდუმარე ტაძრები

**ისე არ ჩაივლის საბიბლიოთეკო კვირეული, რომ მცხეთის რაიონულმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი თინა გარსევანიშვილი) თანაქალაქეთა ყოფა საინტერესო სიახლეებით არ გაახალისოს. ამჯერად ერთ-ერთზე გიამბობთ.**

თავის აქტიურ მკითხველთაგან ბიბლიოთეკამ სამი მცხეთელი ახალგაზრდის ანა ნოდიას, მაკა გურაშვილისა და მარიამ ქუქჩიშვილის შემოქმედება გამოარჩია და მათ ნამუშევრებს სამკითხველო დარბაზის კედლები დაუთმო. განსხვავებული თემატიკისა და ხელწერის ნამუშევრებმა თითქოს ერთმანეთი შეავსეს და დამთვალიერებელთა სიმპათიებიც დაიმსახურეს.

მაკა გურაშვილი უკვე პროფესიონალი მხატვარია და არაერთი გამოფენის მონაწილეა. მისი მხატვრული სამყარო ნათლად ვლინდება კომპოზიციებში, რომელთაგან ძირითადად სიკეთე და ადამიანობა გამოსჭვივის. განზოგადებული თემები, ტიპაჟები წარმოაჩენს მის მკაფიო ინდივიდუალობას, რომლისთვისაც უცხოა ინერტულობა. ყურადღებას იქცევს ზეთით შესრულებული ნამუშევრები „წუთისოფელი“, „ფესვები“, „ხელოვნება“, „მეზღვაური“, კოლაჟი „გზა“...

მარიამ ქუქჩიშვილი პროფესიონალიზმის გზაზეა. იგი სამხატვრო აკადემიის გრაფიკული დიზაინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. მხატვრულად დამაჯერებელია მისი პეიზაჟები და ნატურმორტები, მარიამის ნამუშევრები ავლენს მისეულ გააზრებას, ფერადოვნებას. პლასტიკურობითა და მდიდარი კოლორიტით ხასიათდება „მოცეკვავე“.

პირველად გამოფინა თავისი ნამუშევრები მცხეთის პირველი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ანა ნოდიამ. დიდი ხანი არ არის, რაც მისი მრავალწევრიანი ოჯახი მცხეთაში დასახლდა. ამ ქალაქმა ანას შემოქმედებითი მუხტი შესძინა და სერიოზულად დაიწყო ფიქრი მხატვრობაზე. მისი პირველი განაცხადი მეტყველებს, რომ ახალგაზრდული ხედვა ყველაფერს ამჩნევს და სწვდება.

ანა, ძირითად, აპლიკაციებზე მუშაობს და ამისათვის სხვადასხვა მასალას იყენებს, მაგალითად, გამხმარ ფოთლებს, ბუმბულებს, პატარ-პატარა ნაჭრებს... ამგვარად იბადება ნაირგვარი კომპოზიციები. რასაც ქმნის, სიყვარულით ქმნის. ასე გაჩნდა ნამუშევრები „დედას სიზმარი“, „პატარა თუთიყუში“, „პეპელა“, „მის მსოფლიოში“ კი თავისი თავი წარმოუდგენია, გაპრანჭული და მედიდური.

როცა აპლიკაციაზე მუშაობას იწყებს წინასწარ თემა მოფიქრებული არა აქვს. მისი თქმით, მუშაობის პროცესში იბადება იდეები. სიმშვიდე და სიმარტოვე უყვარსო, — აღნიშნეს ანას შესახებ გამოფენის გახსნისას. ალბათ ამიტომაც იმზირებიან მისი ნამუშევრებიდან მყუდრო და იდუმალი ტაძრები, საერთოდაც რელიგიური თემა სჭარბობს ანას შემოქმედებაში.

ნამუშევართა სათაური რომც არ იცოდეთ, მაინც მიხვდებით მის სათქმელსა თუ ფანტაზიის ნაყოფს.

მცხეთის №1 საშუალო სკოლის დირექტორმა მარინე ბაზერაშვილმა თავი მოიწონა, რომ გამოფენის მონაწილენი მათი სკოლის აღზრდილები არიან. ხოტბა შეასხეს ახალგაზრდებს სასულიერო აკადემიის ლექტორმა ედიშერ ჭელიძემ და ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების გამგემ მანანა ზარიძემ და იმის იმედიც გამოთქვეს, რომ მომავალში ისინი საინტერესო ნამუშევრებით კვლავაც მიანიჭებენ სიამოვნებას საზოგადოებრიობას.



**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

**სურათზე: ანა ნოდია თავის ნამუშევრებთან.**

გიხაროდენ!

# ოჯახმა პირველი შვილით გაიხარა

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-

სიყვარულით შექმნილი ახალგაზრდა ოჯახი გვარის გამგრძელებელს ნატრობდა. ნანულიმ ამ დღეებში აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში იმშობიარა, შეეძინა ბიჭი, რომელსაც პაპის სახელი ირაკლი დაარქვეს. ნანული ლაგვილავა მომავალი მასწავლებელია, რევაზ გოდაბრელიძე კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. ვაჟიანობით გაიხარა ოჯახმა.



— პატარას რა უჭირს, ორი ქალი სულ თავს დასტრიალებს, ჩემი ოჯახის ბედნიერებაც ეს არის, ბავშვი ჯანმრთელია, გაზრდა არ გაგვიჭირდება, წინასწარ მადლობას გიხდით ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის. ვიცი, კვლავაც შვილთა სიმრავლეს გვისურვებთ, — გვითხრა რედაქციაში მოსულმა რევაზ გოდაბრელიძემ. მართლაც, მის ოჯახს ღმერთმა სიხარული ნუ მოუშალოს.

ცოტაც გავიღიმოთ...



— **რად** გაქვს თვალი ჩალილავებული?

— საყვარელი ქალისთვის ვიჩხუბე.

— ვის ეჩხუბე?

— ცოლს...

* * *

**რუსეთს** არასოდეს მიიღებენ ევროკავშირში, რადგან ერთი კავშირი მან უკვე დაანგრია.

* * *

**ივან ივანიჩი** ღვინისა და არყის მაღაზიის გვერდით დაიბადა. ამით მისი ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ... იგი გაიზარდა, ავეჯის საწარმოში დაიწყო მუშაობა და იქ გალოთდა...

* * *

— **მამი,** მილიონი ევრო ცოტაა თუ ბევრი? — კითხულობს პატარა მიხო.

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ამ მილიონს გამოიმუშავებ თუ ხარჯავ.

* * *

**კლასიკური** სიტუაცია — ქმარი ადრე დაბრუნდა სამუშაოდან.

შედის იგი საძინებელში და ხედავს საწოლში მწოლიარე ცოლს.

— შენ აქ რას ნებივრობ?

— ვნებივრობ კი არა, ცუდად ვარ. გული თითქოს ძაფზე მკიდია. თუ ღმერთი გწამს, ჩაირბინე აფთიაქში, რამე წამალი ამომიტანე...

წავიდა ქმარი კარებისაკენ, მაგრამ მანამდე, მეორე ოთახში შევიდა და კუთხეში მიმალული შვილი დაინახა.

— რას აკეთებ აქ?

— იქ, — საძინებლისკენ ანიშნებს პატარა, — ბორია ბიძია კარადაში იმალება.

ქმარი ბრუნდება საძინებელში, გამოაღებს კარადას და თავის მეზობელ ბორიას არ აღმოაჩენს?

— ბორია, შენი უნამუსო დედა ვატირე! მე აქ ცოლი მიკვდება და შენ კიდევ ჩემ უმცროს ბიჭთან დამალობანას თამაშობ?



●**მორდალი** იგივე მარდალი სამეფო კარის ბეჭდის შემნახველ-გამგებელი გახლდათ.

●**მსაჯულთუხუცესი** მოსამართლეთა უფროსი, მთავარი მსაჯული იყო. XVII საუკუნიდან ეს თანამდებობა მდივანბეგად იწოდებოდა.

●**სახლთხუცესი** შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი ვეზირი იყო, იგივე სამეფო კარის საქმეთა განმგებელი, სამეფო კარის მინისტრი (შეესატყვისება ობერგოფმარშალს). იგი ითვლებოდა დიდ ფეოდალთა სახლისა და მეფეთა კარის სიგელების განმგებლად.

●**ჩუხჩარეხი** მეფის პირადი დაცვის უფროსს ერქვა.

●**ინდონეზიაში** დაიჭირეს მახრჩობელა გველი, რომლის სიგრძეა 14 მეტრი და 94 სანტიმეტრი. იწონის დაახლოებით 450 კილოგრამს.

ეს ნადავლი ალბათ გინესის რეკორდების წიგნში შევა, რადგან, ამავე ტიპის „რეკორდსმენი“ ქვეწარმავალი, 182,5 კილოგრამს იწონიდა და 9 მეტრი და 75 სანტიმეტრი იყო.

ამჟამად გველი კუნძულ იავას ზოოპარკშია მოთავსებული და დღეში 3-4 ძაღლს ჭამს.

●**მსოფლიოში** ყველაზე ძვირფასიანად „ტრეუსურერის“ მარკის სიგარეტი ითვლება. ერთი კოლოფი დაახლოებით 24 ევრო ღირს და სპეციალიზებულ მაღაზიებში იყიდება.

ტრადიცია

# ქართული ადათ-წესების ერთგულებით...

**ამ ბოლო დროს გახშირდა საღამოები, რომლებიც გაჯერებულია ქართული ტრადიციების, ზნე-ჩვეულებებისა და ცხოვრების წესების პოპულარიზაციით.**

18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღეს, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში, ორიგინალური, მართლაც შთამბეჭდავი ფორუმი „მუზეუმების ღამე“ გაიმართა, აქ იყვნენ ჩოხოსანთა საზოგადოების წარმომადგენლები, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ქართველობა, აგრეთვე თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ერის შვილები თავიანთი ეროვნული სამოსით, პრესისა და ტელევიზიების ჟურნალისტები...

უჩვეულოდ ლამაზი საღამოს ორგანიზატორი ამავე მუზეუმის დირექტორი ანა ელიზბარაშვილი გახლდათ.

— ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა მულტიკულტურა. უძველესი კალას უბანია და აქ დიდი ხანია სხვადასხვა ერის შვილები ძმურად ცხოვრობენ. ხაზი გავუსვით ტოლერანტობას. ჩვენი მიზანია ძველი ადათ-წესების წარმოჩენა. ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი ექსპონატები გამოვფინეთ. აქვეა ძველი ქართული ღვინის ნიმუშები, — გვითხრა ქალბატონმა ნანა ელიზბარაშვილმა და მოწვეულ სტუმრებს დიდი მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის.

შეხვედრაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მუზეუმების საერთაშორისო დღე მიულოცა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობას და საკუთარი ლექსი წაიკითხა.

ღონისძიების ბოლოს, ნაშუაღამევს გაიმართა კონკურსი სახელწოდებით: „თამადა“... საუკეთესო სადღეგრძელოს მთქმელ თამადისთვის პრიზები უნდა გადაეცათ. შეირჩა კომპეტენტური ჟიურიც. დიდი „შერკინებისა“ და სჯა-ბაასის შემდეგ პირველი პრიზი გადაეცა ჩოხოსან ვაჟთა მომღერალი გუნდის წევრს გელა შალოშვილს, მეორე პრიზი კი ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა მიიღო. იმ საღამოს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ქართველი ქალი ვაჟკაცთა სწორია.

საღამო მართლაც განუმეორებელი იყო და იგი რიჟრაჟამდე გაგრძელდა...

**ნანა სულავა.**

კურთხევა

# ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი წიგნები

***სავაჭრო-გასართობ ცენტრ „მეგალაინში“ წიგნის მაღაზია „ლიბრა“ გაიხსნა, სადაც ნებისმიერი ასაკის მსურველისთვის სხვადასხვა ჟანრის წიგნები, ქართული და უცხოური ლიტერატურა იყიდება.***

**მაღაზიაში დიდი ადგილი საბავშვო გამოცემებს უკავია. — ეს არც არის გასაკვირი, წიგნის სიყვარული ხომ ბავშვობიდან იწყება. ალბათ ამიტომ, მაღაზია „ლიბრაში“ პირველად „ელფის“ პატარა მკითხველისთვის ახალი წიგნების კურთხევა მოეწყო.**

ინგლისის გამომცემლობა Usborne Publshing-ის წიგნების სერია — მსოფლიოს საბავშვო ბესტსელერები (სულ 20 წიგნი) პირველად 2002 წელს გამოიცა და მაშინვე დიდი მოწონება დაიმსახურა, ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე. ქართულ ენაზე გამოცემის უფლება „ელფის“ გამომცემლობამ შეიძინა და წელიწადში 8 დასახელების წიგნს გამოსცემს. ოთხი წიგნი უკვე ერთი კვირაა იყიდება და გამომცემელთა თქმით, წარმატებულადაც.

პირველ წიგნში — **„კლეოპატრა“** საუბარია ეგვიპტელი დედოფლის საოცარი თავგადასავლებით აღსავსე ისტორიაზე, რაც ბავშვს არაერთ ისტორიულ პიროვნებასა და ომებს გააცნობს. წიგნში — **„რაინდების ისტორიები“** მოთხრობილია ლეგენდად ქცეული მეფე არტურისა და მისი რაინდების საოცარი თავგადასავლები. (ტექსტი შედგენილია თომას მელორის კრებულის — „მეფე არტურის სიკვდილის“ მიხედვით). **„იასონი და ოქროს საწმისი“** არა მარტო ძველი საბერძნეთის, არამედ ძველი კოლხეთის დიდებაზეც მოგვითხრობს. ბავშვი ინტერესდება ისტორიით, მედეასა და იასონის ამბავი მისი განსჯის საგანი უნებურად ხდება... ბავშვს უამრავი კითხვა გაუჩნდება და პასუხების ძებნას დაიწყებს... (წიგნი შედგენილია როდოსელის „არგონავტების“ მიხედვით) მეოთხე წიგნი — **„ქრისტეფორე კოლუმბი“** არის ზღვაზე თავდავიწყებით შეყვარებული კაცის ისტორია. ბავშვი კოლუმბთან ერთად მოგზაურობს, იგებს მაშინდელი მსოფლიოს ამბებს.

**„ჩვენი მიზანია ოჯახებში სიკეთის მარცვალი ვთესოთ. ამ წიგნებს მოზარდი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავს და ამ სერიის ყველა წიგნის წასაკითხად განაწყობს. მათი გემოვნება ასეთმა გამოცემებმა უნდა აამაღლონ“**, — ამბობს „ელფის“ დირექტორი თინათინ დიდებულიძე.

წიგნები ინგლისურიდან ქართულ ენაზე ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ქეთი ჩიხრაძემ თარგმნა.

მაღაზია „ლიბრას“ დამფუძნებლის ლიკა ფოფხაძის თქმით, დიდუბის რაიონში ეს ერთადერთი წიგნის მაღაზიაა: — მისი გახსნა, ვფიქრობ, ძალიან გაახარებს აქ მცხოვრებ წიგნის მოყვარულებს. ჩვენთან წიგნები საგამომცემლო ფასში გაიყიდება, — აღნიშნა ლიკა ფოფხაძემ.

„ლიბრაში“ სასექტემბროდ სასკოლო სახელმძღვანელოებსაც გაყიდიან, მანამდე კი საზოგადოებას არაერთ საინტერესო გამოცემას წარუდგენენ და თვეში ერთხელ საყვარელ ავტორებთან შეახვედრებენ.






**ლელა ხვადაგიანი.**

ქუთაისის კულტურული ცხოვრება

## ფერთა სიმფონია „ვარლაში“

უფროსი, საშუალო და ახალგაზრდა მხატვრების ფერთა მომხიბლავი ჰარმონია მეფობს სამხატვრო გალერეა „ვარლაში“, სადაც 9 მაისიდან ქუთაისისათვის ტრადიციული საგაზაფხულო გამოფენა-გაყიდვა მიმდინარეობს. ხელოვნების მოყვარულთა ფართო სამსჯავროზეა გამოტანილი ძმები ჩოგოვაძეების, ოთარ ქანდარიას, ჯაბა ჭეიშვილის, ვიტალი კაპანაძის, თეიმურაზ თადუმაძის, დიმიტრი შანიძის, ზაურ მჟავანაძის და სხვა ცნობილი მხატვრების, მათ შორის ახალგაზრდა ფერმწერის, ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის — გოჩა ჩხაიძის ნაწარმოებები.

ბატონი გოჩა ქუთაისში მეუღლესთან — ელკე პოლაკისთან ერთად იმყოფება.

სხვათა შორის მათ ერთმანეთი გაიცნეს 4 წლის წინათ ქუთაისში გამართულ მხატვართა მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმის მიმდინარეობისას, როცა მათი ფერწილოები გვერდიგვერდ იყო გამოფენილი.

უცხოეთში მოღვაწე სახელგანთქმული ქუთაისელი მხატვრის ფელიქს ვარლამიშვილს საგამოფენო დარბაზ „ვარლაში“ ბევრია ისეთი ნაწარმოები, რომელიც მნახველის ცხოველ ინტერესს იწვევს, მაგრამ მათი მყიდველი, ალბათ, ძალზე ცოტა იქნება, რადგან ვისაც ეს სურათები მოსწონს, მას ფული არა აქვს, ხოლო ვისაც ფული აქვს, როგორც წესი, მსგავს გამოფენებზე არ დადის.

## გოეთეს დღეები უნივერსიტეტში

დიდი გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის — გოეთეს დღეები გაიმართა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ საინტერესო ღონისძიების თაოსნები იყვნენ ის მომავალი ფილოლოგები, ისტორიკოსები, იურისტები და ეკონომისტები, რომლებსაც გერმანული ენა და კულტურა აინტერესებთ.

დასკვნით საღამოს, რომელიც გერმანული ენის კათედრის ხელმძღვანელობით მომზადდა, მრავალ სხვა სტუმართან ერთად ესწრებოდნენ გერმანელი პროფესორი, ბატონი შმიდტ ბლანტი და „დიადეს“ წარმომადგენელი საქართველოში ბატონი ანდრია თომასი.

არაგერმანისტი ჭაბუკებისა და ქალიშვილების მიერ გამართულმა ღონისძიებამ და დასკვნითმა საღამომ დიდი მოწონება დაიმსახურა.

**ალ. შენგელია,**
**„სრ“ საკ. კორ.**



ქუთაისელთა რძალი ელკა პოლაკი, მისი მეუღლე გოჩა ჩხაიძე და მათი მეგობარი, მხატვარი გოგი ლომთაძე.

შოთა ხახიაშვილის ფოტო.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრები და ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სოსო სტურუა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი თანაგრძნობას უცხადებს ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელს მალაქია დვალს დის

თამარ დვალის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლეილა ჩიქვინიძე, შვილები მარიკა, ნანა, სიძეები ვასილ მაჭავარიანი, დავით ხუციშვილი, შვილიშვილები ანი მაჭავარიანი, სანდრო, ნინუცი ხუციშვილები, ცოლისდა ცარო ჩიქვინიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ ტრიფონის ძე მინაძე

პანაშვიდი 24, 25 V, 16 სთ. გამოსვენება 26 V, 15 სთ. ალ. ყაზბეგის 25 ა. IV სად. I სართ.

მეუღლე მერი გორდელაძე, შვილები პაატა, მაია თოიძეები, რძალი ირმა გიგინეიშვილი, სიძე დავით ბერძენიშვილი, შვილიშვილები ავთო, მარიამი, ანი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ თეიმურაზის ძე თოიძე

პანაშვიდი 24, 25 V, 16 სთ. გამოსვენება 26 V, 15 სთ.
ქ. ოზურგეთი, თამარ მეფის ქ. 14.

ლარის კურსი

**24 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3.3352 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8249 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2893 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0650 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.3824 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4066 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.6208 ლარი. |

ამინდი დღეს

| 24 მაისი | ☼ | ☾ |
|---|---|---|
| თბილისი | 28° | 15° |
| ბათუმი | 26° | 18° |
| თელავი | 26° | 12° |
| სოხუმი | 25° | 16° |
| ქუთაისი | 33° | 22° |

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;

გენერალური პროკურატურა — 99-74-10;

ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;

იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;

ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;

შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;

კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;

თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;

საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;

თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;

შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;

ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.

კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK